გაზაფხული შემოსულა, ლენ.
ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს...
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გასრესილი ანწლის,
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის
და ცისფერი უბორკილო დღე...
მოგანატრე სათიბი და ტყე!




აწი აღარ გაგაჩერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დაარქმევ „დილეგს“,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს-
მწევარივით გამიხტუნე წინ!
აწი აღარ გაგაჩერებ შინ!

გაზაფხული შემოსულა, ლენ.
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს...
მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!



პარადოქსი

**ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი!**

კინოდარბაზი

**«ფესვები» დღემდე არ გაუხმოვანებია**



#3

ასავალ დასავალის
ჰარმონიით

# მამული

მარტი 07
2003 წლიდან



**ლევან ფანჩვიძე**
შავი ჩოხა

ვინ ჩააცვა საქართველოს შავი ჩოხა?..
ნატყვიარი ისევ რჩება ღიად,
შენს საფლავთან უკვდავებამ დაიჩოქა,
ქართველები დაგტირიან, ზვიად!

ლარსის გზაზე ქალის სწვდება მთებს გოდება,
ხარბად ითვლის ვიღაც მიყრილ ხურდებს...
მე ის ბრიყვი ყვავ-ყორანი მეცოდება,
არწივისას რომ დაანგრევს ბუდეს!

გული ვთხოვე, მაგრამ ნიავს სად აქვს გული?!
მთაწმინდაზე მზე განთიადს ლამბავს...
მჯერა, მალე მოგიყვება გაზაფხული
ივერიის გაბრწყინების ამბავს!

# დია - ცოლი და ქალი საქართველოსა

## (იდეა, სახე და განსახიერება)

### 1. ქართული ენის ფესვებში გახსნილი დასაბამითი მუხტი

ყველა თავის მშობლიურ ენას აქებს, ეს ბუნებრივია, ყველას მოსწონს თუ როგორი მელოდიკით გამოითქმება თავიანთი მშობლიური ენის წინადადებებში ესა თუ ის გრძნობა, ყველას ხიბლავს, თუ როგორი ტევადია თავიანთი ენის ლექსიკა.

არც ჩვენ ვართ გამონაკლისები. ჩვენც გვიყვარს ჩვენი ენა, სიტყვით მაინც, ცოდნით და საქმით თუ არა. ერთია, რომ ქართული ენა მაინც გამორჩეული ენაა მსოფლიო ენებს შორის, ღვთაებრიობამდე სასწაული საიდუმლოებებით გადატვირთული რომაა, სწორედ ისაა მისი გამორჩეულობა.

სიყვარული, სიბრძნე, სიკეთე, სითბოა გაბნეული ქართული ენის მარგალიტებში, ამიტომ თითოეული მიგნება განსაკუთრებულია. გეუბნება მადლიანი სიტყვის ხმა - მოდი და მომაგენიო, შენს თვალსაწიერში ვარო. სწორედ ამ მიგნებებით და გონების აზროვნებით დასაბამისეულ სურნელს შევიგრძნობთ, ღვთის ხელი რომაა მასში გამოჩინებული.

ქართულმა ენამ უთუოდ შემოინახა ენათა აღრევამდელი კაცობრიობის ცოდნა, საწყისი ცოდნისა, როგორც ცოდვისა. ცოდნა ხომ ცოდვის ტოლ-ფასად დასაბამისეული საიდუმლოების კოდით გაიხსნა ლირიული ტონუსით. სწორედ პირველი და პირველადი ქართულმა მეტყველებამ პოეტურობით გამოხატა და მიანიჭა მეტყველების გამომხატველ ფორმებს.

ამ შემთხვევაში ყურადღება მსურს გავამახვილო ქალის რაობაზე ქართველი კაცის შეგნებაში და უმთავრესად შემეცნებაში.

ქართულ მეტყველებაში ზებუნებრივობის ლექსიკური ერთეულებით გამოითქმებოდა და დღემდე გამოითქმება ადამიანთა (მდედრობითი და მამრობითი სქესის) სახელწოდებები. ქრისტიანობამდელ ეპოქაში მამაკაცს - მამაცი, ქალს კიდევ დიაცი ერქვა, გურიაში დღემდე დიაცებს - ცას უწოდებენ, ე.ი. ზესკნელის ასოციაციას წარმოშობს ეს სიტყვა.

დიაო, - ვამბობთ და ვგულისხმობთ დედასაც და დასაც, ცაა მიმატებული გურული კილოკავის მიხედვით. მამრის აღმნიშვნელმა პირვანდელმა სიტყვამ შინაარსობრივი ცვლილება განიცადა დროთა განმავლობაში და დღეს-დღეობით ,,მამაცი'' - გულადსა და გამბედავს აღნიშნავს, სწორედ იმას, რა თვისებითაც უნდა გამოირჩეოდეს კაცი, როგორც ასეთი. მას კიდევ ჩაენაცვლა სიტყვა - მამაკაცი, უფრო სწორად დაემატა პირვანდელ ფორმას სუფიქსი ,,კა'', რითაც კარგის, კაის აღმნიშვნელი სიტყვაა. ანალოგიურად ქალის აღმნიშვნელმა დიაცმაც განიცადა გართულებული ცვლილება იმ სხვაობით, რომ ორთავე ფორმა ერთი სიტყვისა თანაბარზომიერად გამოიყენება ქალთან მიმართებაში.

კეთილი და პატიოსანი, ეს საყოველთაოდ ცნობილი ლინგვისტური გადანაცვლებები სწორედ რომ აზრობრივმა დატვირთვამ განაპირობა. უპირველეს ყოვლისა თავდაპირველობის მარცვალი სწორედ რომ ,,დია''-ში გამოიხატა. სამურზაყანოში დიას დედასაც უწოდებენ და დასაც. დია - დალი ნადირობის ქალღმერთის ადეკვატი უნდა იყოს. სიცოცხლის გადაგრძელების ფორმულაც ამ ხაზით წარიმართება, გრამატიკული ფორმაც მიესადაგა ცხოვრების ამ კანონს - კავშირი ,,და'' იგივე დიას, ანუ დედმამიშვილთან (დასთან) მისადაგება უნდა იყოს, რადგან დიასგან მოდის სიცოცხლის გადაგრძელება. ასევე წინადადების გადაგრძელებაც, როგორც გრამატიკული ფორმისა, მეტყველების ამ ნაწილისაგან მომდინარეობს. ქართველმა ეს შინაგანად იცის, იცის ფუნქცია დიასი და იგი გაანივთა თავის მეტყველებაში.

უფრო მეტიც — ჩვენ იმდენად ვაფასებდით ქალის მშვენიერებას, რომ მას ,,ცა'' ვუწოდეთ, — ღვთიური საჩუქრის ერთი უმნიშვნელოვანესი ნიუანსი და რადგან იგი ღვთისგან მოდიოდა და ღმერთი ზეცაში გვეგულებოდა, ქალსაც ამიტომ ვუწოდეთ ცა.

როგორი საოცარი ლირიზმია?!! და მე ხმამაღლა მსურს გავიმეორო გალაკტიონის სიტყვები - ,,აი, რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს!!!''

და რაც მთავარია: ჩვენ ოდითგანვე ვიცოდით ღვთისმშობლის მნიშვნელობა და დანიშნულება მის შობამდეც კი. ჩვენ თუ ცას ღმერთად აღვიქვამდით და ზეციურობის გამგებლად ღმერთი მიგვაჩნდა და ის იყო თვით ცა, მაშინ დია-ცის ეტიმოლოგიური კოდი ღვთისმშობლის მისიის წინასწარგანჭვრეტად უნდა მივიჩნიოთ, რამეთუ იგი ცის (ღვთის) დია (დედა) არის, ერთ სიტყვად ჩამოძერწა ქართულმა აზროვნებამ - დიაცი, ალბათ ამიტომაც არ შეეცვალა მას მნიშვნელობა, უბრალოდ განმტკიცდა გართულებული ფორმით: დია დედად გარდაისახა, ცა ცადვე დარჩა და დაემატა კარგის, კაის, ანუ სანიმუშოსი და საუცხოოს აღმნიშვნელი სუფიქსად ჩამოყალიბებული სიტყვა კაი [დია-კაი-ცა].

ალბათ ამდაგვარი სიტყვა იქნებოდა პირველი სიტყვათშეთანხმება. დია-დიდა-დედა; კაისთან შეიკვეცა ,,ი'', ,,ცა''-ს შემთხვევაში შეკვეცილი ,,ი'' უნდა შენაცვლებოდა ,,ა''-ს სიტყვის დაბოლოვების ზოგადი მოდელის ჩარჩოებში. ასე მივიღეთ სიტყვა ,,დედაკაცი'', მაგრამ მეხსიერებას სათუთად შეუნახავს სიტყვა ,,დიაცი'', რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ხმარობს და ისიც არქაულობის ეგზოტიკური შეფერილობით.

სამაგიეროდ, როგორც გურიაშია მიღებული საყოველდღეო სახმარ სიტყვად ,,ცა'', ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და გარეკახეთში აქტიურ სახმარ სიტყვად გამოიყენება - ,,დიაცი''.

როდესაც ფიქრობ ამ ფენომენალურ მოვლენაზე და შიფრავ თითოეული ასობგერის მნიშვნელობას, მხოლოდ და მხოლოდ გრძნობ იმ თავდაპირველობას და დასაბამითი ველურობის სიტკბოებას, ამ სახელწოდებებში რომაა განთავსებული, მხოლოდ და მხოლოდ გრძნობ და ენით ვერ გამოგიხატავს ეს გრძნობა, რადგან ისეთი უცნაურია ქართული ენა, რომ შეგიყვანს თავის საგანძურთა უსასრულო ლაბირინთში და მთლიანად შეგითვისებს თავისი სიბრძნით და ამ სიბრძნის მუხტით დადუმებული იცი რა არის, გრძნობ რაც არის, ვერ კი ამოგითქვამს და ასე შევსებული მადლით დარჩები საკუთარ თავთან და დაგენანება ენათა და ერთა აღრევის შემდეგ დაკარგული და გაბნეული მარგალიტები.

ძაღლი ყეფს და ჩვენ არავინ ვიცით, რას ამბობს ძაღლი თავის ენაზე, ან რა უნდა მას. გვგონია, რომ თითქოს საკბენად მოიწევს ჩვენსკენო. რაღაც შემთხვევაში ეს ასეა. იქნებ ძაღლი იმას ამბობს, რასაც ჩვენ სანთლით დავეძებთ დღისით. ჩვენ კი ძაღლის ენა არ გვესმის. რუსებიც ხომ უწოდებდნენ ქართულ ენას ,,საბაჩი იაზიკო...''. დასანანია, რომ იმ უცხოელს არ ესმის ეს სილამაზე და ჩვენი ლაპარაკი ძაღლის ყეფასავით ჩაესმის ყურში, მაგრამ ენა ისეთი რამაა, რომც არ იცოდე, მაინც გაიგებ, რას გეუბნება ძაღლი, თუ ყური გაქვს, მოისმინო, და ვისაცა აქვს ყურიო, ის მოისმინოსო და გაიგებსო... უფალმა ბრძანა.

### 2. ალაზას მისტიური ფენომენი (სახე)

ქართულ ლიტერატურაში ბევრი შედევრია დავანებული, საუცხოოდ მიგნებული სიტყვის მასალით გამდიდრებული თუ აზრობრივი სრულყოფილებით გასაოცრად დახვეწილი და ჩამოყალიბებული, სიუჟეტებიც შესაშურად მოხდენილი, პოეტური და ორიგინალურია, მათში ქართული ხასიათი მთელი სიცხადით არის წარმოჩენილი.

თითოეული გმირიც თავისებური განუმეორებლობით გამოირჩევა არათუ ქართულ არეალში, არამედ მსოფლიო ასპარეზზეც. ესაა, რომ მსოფლიო სათანადოდ არ იცნობს ქართულ მწერლობას. ალბათ იმიტომ, რომ ძაღლის ყეფის პრინციპი თუ კომპლექსი მოქმედებს მსოფლიო აზროვნებაში.

ჩვენი ლიტერატურული გმირები ზოგ შემთხვევაში თავიანთი ზნეობრივი სახით თავიანთ პროტოტიპებსაც ჯაბნიან და ისე, რომ ხალხში ლიტერატურული ქმნილებები უფრო პოპულარულები არიან, ვიდრე მათი რეალური ცხოვრებისეული პირველსახენი. ხალხში მფრინავ ფრაზებად ქცეულა მათი სხარტი და გონებამახვილი გამონათქვამები.

მაგრამ თავისი მნიშვნელობით, სირთულით, აუხსნელობით, ამოუხსნელობით, სილამაზითა და დრამატიზმით ანალოგი არ მოეპოვება, არც თუ ტოლ-ფასოვნებით, ალაზას ლიტერატურულ ტიპაჟს ვაჟა-ფშაველას პოემიდან ,,სტუმარ-მასპინძელი''. იგი მსოფლიოს აზროვნების გალერეაში განცალკევებით დგას, რადგან ლიტერატურული გმირები მეტნაკლებად ერთმანეთს გვანან ან ასახავენ ერთი-მეორეს.

ჩვენმა მწერლობამ მრავლად დახატა ოფელიას სახე, რადგან ჩვენში ჰამლეტის ტიპაჟი სანთლით საძებარი არაა. ჩვენ განებივრებულები ვართ დულსინეა ტობოსელითა და მერის მითიურ-წარმოსახვითი მარადი სატრფოს სახებით, არაფერს ვამბობ ნესტან-დარეჯანზე, თინათინზე, ასმათზე. აქეთ, უფრო გვიან ნატაშა როსტოვა და ანნა კარენინაც ჭარბად მოიპოვება ჩვენს მწერლობაში - კოლონკელიძის ასული შორენა და თამარ შარვაშიძე სხვა რაა, თუ არა გმირთა გალერეადან აღებული კონკრეტული ეს მაგალითები.

ოთარაანთ ქვრივი საკუთარ შვილს იტირებს, ბუნებრივია, თავისთავად სხვა თემაა, მაგრამ არა უცხო, გზააბნეული ქალი მეუდაბნოესთან ილიას ,,განდეგილში'', არ გვაკლია ქათინაურები ჰიუგოსი (ესმერალდა), ფლობერის (მადამ ბოვარი) და ბალზაკის თუნდაც (ოცდაათი წლის ქალი). ყველა ლიტერატურული სახეები თავისთავად ერთმანეთზეა გადაბმული, ერთმანეთით საზრდოობენ და ერთმანეთს რაღაცაში ბაძავენ.

სულ სხვაა ალაზა. იგი არავის არ ჰგავს, ის იმთავითვე თავისთავადია და მეტი არაფერი. სამაგიეროდ მას ჰგავს ბევრი. იგი წყაროთსათავეა ქალობისა მთელი მისი საიდუმლოებებით და რაში ჰგვანან?

- სიყვარულში, ცრემლში, ერთგულებასა და ღალატში, თითოეულში ცალ-ცალკე, აი, ერთიანობაში, მას ბადალი არა ჰყავს არც ქართულ და არც მსოფლიო ლიტერატურაში.

და რაა ასეთი ეს ალაზა?

ბევრი არაფერი! - მასში ცნობიერებაა მრავალფეროვანი. ვკითხულობთ პოემის მეშვიდე თავს და იხატება შურისძიების სცენა სასაფლაოზე: თავს სჭრიან კაცს და ჩასძახიან აგონიაში ჩავარდნილს - ,,დარდიამცა შაეწირებიო''. ის კიდევ ვერც სიკვდილის გარდაუვალმა მოახლოვებამ შააშინა და - ,,ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო!'', უპასუხებდა ხალხსაო.

ბუნებრივია ჟინის დაოკება ზვიადაურის სიკვდილით მოხდა, მაგრამ ქისტები ამასაც აკვირდებოდნენ: ,,ლამის რომ არ შეეწიროს, ერთი უყურეთ ძაღლსაო''; ,,უცქირეთ, უცქირეთ, არ ახამხამებს თვალსაო!''.

ასეთ რიტუალურ მსხვერპლშეწირვისას, ვაჟას თქმით, შემდგომში ალაზა, დასტირის, გლოვობს, ჭირისუფლობს მისთვის სრულად უცხო ადამიანს. პოემის ამ მონაკვეთში თითქოსდა ყველაფერი გასაგებია. ვიღაც ჩაიქირქილებს ირონიულად და ფიზიკური ლტოლვის ჟინს დააბრალებს ამ დატირებას. ვიღაც კიდევ იფანტაზიორებს და იტყვის, ყოფილი სატრფო იყოო და ჩაალილინებს ,,შატილის ასულო, ლერწამო ტანისაო'', - ამ სიმღერას. არადა, არაა ეს საკითხი ასე მარტივი.

აბა შემდეგ მეშვიდე თავი დავასრულოთ, იქვე იცვლის ფერს ეს უცნაური ახსნა. ,,სიბნელეს უცდის, მივიდეს, ღამით იტიროს მკვდარიო; იმას აღარა ჰფიქრობდა ჯოყოლა როგორ არიო.'' (აი, უცნაურობა აზრობრივ შრეებში გადანაცვლებული ღალატისკენ, ჯოყოლა ქმარი იყო ალაზასი, და მიტომ). სრულად მიცვალებულთა სულები გამოედევნენ ალაზას, რათა არ დაეტირა მკვდარი. ამ მიცვალებულებში ალაზას ძმაცაა (,,ვაჰ დაო, დაო, რა მიყავ? რისხვა რად დამეც მედგარი? მეორეს საფლავში ჩამდევ, ერთის სამარეში მდებარი! მაგით მიმტკიცებ დობასა, შენი ქალობა ეგ არის?!'')

აქ სიუჟეტის სრული მისტიფიკაციაა, არც თუ გაზღაპრება ან ფანტაზია, აქ ბრძოლაა მსოფლმხედველობრივი ღალატისა და ერთგულების სულიერ შრეებშიც კი, ასევე ბრძოლაა ადათსა და პიროვნულ ტოლერანტობას შორის. და იმდენად ძლიერია პაექრობა, რომ თვით არამატერიალური სამყაროც არის ჩართული ამ ომში და ომია ერთ ქალთან და მის ოჯახთან.

რა არის ეს დატირება ალაზასთვის?!

- ეს მისი შინაგანი სიბრალულიცაა, სიყვარულიცაა, ერთგულებაცაა (პირველყოვლისა ქმრისა, მერე მკვდრისა), აქ მამაკაცში გაორება არაა, რადგან ერთი მკვდარია, მეორე ცოცხალი, ერთი ქმარია, მეორე ქმრის მეგობარი, ერთიც უყვარს და მეორეც, მაგრამ ქმრის მეგობარში ის ქმარს ხედავს, რადგან მისი მსოფმხედველობა ქმრისმიერია, ერთი შეხედვით შეიძლება ივარაუდო, რომ იგი ქმარს დასტირის, მაგრამ არა, და ეს არა - საბოლოო ჯამში. იგი ზვიადაურს დასტირის და მას სულაც არ ელანდება ქმრის აჩრდილი.

ეს რომ ასე ყოფილიყო, იგი ალაზა კი არა ჯულიეტა იქნებოდა რომეოს ტრაგედიით გულდამწვარი. არა, ის ალაზაა და იგი სახელდობრ სხვას (,,მე''-ს გა- ,,ჩვენ''-ებას კი არა, არამედ მას, მესამე პირს, რომელიც ,,მე'' და ,,შენ'' არ არის, რომელმაც შეიძლება წარმოადგინოს არა ,,ჩვენ'', არამედ ,,ისინი'') დასტირის. აი, ამას ტირის ალაზა.

როგორ, ეს ხომ ღალატიაო! - დაუკვირვებლად წამოისვრიან სიტყვას.

ვაჟა კი გასაოცარი სიდინჯით გაიღიმებდა, რადგან ღალატის ობიექტი მკვდარი სხეულია (,,ვინ გაჭმევს კაის ყმის ლეშსა? ძაღლო, დაგადგა თოლები! შენს საჯიჯგნადაც გამხდარა ზვიადაურის ძვალები?!''). ეს იმას ნიშნავს, გახურებულს რომ უცებ ცივი წყალი დაასხა.

და მაინც ყველაფერი მიდის აუცილებელი კულმინაციისაკენ - რას ეტყვის ალაზა ჯოყოლას და რას გადაწყვეტს ჯოყოლა. მოატყუილებს თუ სრულ ჭეშმარიტებას ეტყვის, შეულამაზებს სურათს თუ დაამახინჯებს. აქ გამოცდის წინაშე არათუ გმირები, თვით ავტორიც დგას - როგორ გადაწყვეტს თავისი გმირების ბედს. იგი არ უნდა შეცდეს, თორემ სადავეები გაექცევა ხელიდან და ის აღარ იქნება, რაც უნდა იყოს.

უკვე მერვე თავის შუა-წელში ნაწარმოები შეუდგა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას არათუ მხოლოდ სახელდობრ ნაწარმოებისა, არამედ თვით ვაჟა-ფშაველას როგორც მწერლისა და მოაზროვნის სრულყოფისას. ჯოყოლა განიცდის ცოლის დაგვიანებას (,,-რა დაგემართა, დიაცო? - ჩაეკითხება მშფოთვარე, - სხვა სადარდელი მაკლია, ახლა შენ მექნე მოზარე?!''). თითქოს ყველაფერი ბანალურად მიდის - ექვიანობის სცენა, -და ეკითხება ,,ხომ არვინ მოიწადინა გადაეგორე მკლავზეო?''. მერე იქადნება - ,,ჩემის ნამუსის შემბღალავს მალე მოვიყვან ჭკვაზეო''. მაგრამ ეს არა, უფრო სიღრმისეულად სურს ჩაწვდეს ალაზას სულს და რაღაცით მაინც გული უთრთის. ეს შინაგანად იკითხება ქვეტექსტებით, სულის ფორიაქი თავისთავად გამოწვეული იყო ზვიადაურის დატყვევებით და მისი ოჯახის თავლაფის დასხმით, უფრორე მეტად ცოლის გრძნობებით.

ალაზა ამშვიდებს, თავისი გულის ფორიაქს გადაატანს ალეგორიულ თქმას - ,,სასაფლაოდამ დავბრუნდი, შენს ცხენს ვეძებდი ხევებში, ცხენის მაგივრად ბედკრული, შიგ შევეყრიე დევებში''.

ალეგორიამ ახალ სიმაღლეზე ასწია სიუჟეტი და მსოფლმხედველობრივი კონფლიქტის გზისგასაყარი გამოჩნდა - ჯოყოლა თავისი დაპირისპირებით საზოგადოებასთან მარტო დარჩებოდა, თუ მას გვერდს ღირსეულად დაუმშვენებდა ცოლი?! აი, ეს შიში ჰქონდა ჯოყოლას ალაზასთან მიმართებაში და ერთიც, განხეთქილების ვაშლივით ღირსებისა თუ უღირსობის დამღა - ცრემლის (,,ნამტირალევი რადა ხარ? ღაწვებზე ცრემლი გდენია''). მე წარმომიდგენია როგორ ეტყოდა ალაზა ჯოყოლას პასუხს. იგი დაღლილი, დაცლილი, მზადმყოფი, გულზე ჯავრ-მიშვებულად უპასუხებს ისე, რომ შეხედავს იმ სივრცეს, სადაც თავისი გონების განცდების ნაომარი იყო და სულიერ გამარჯვებამდე ამაღლდა, ნადავლად რომ ღალატი და ერთგულება გამოჰყვა. ალაზამ შინაგანი დაძაბულობისაგან დაღლილმა ერთბაშად ჰპოვა განტვირთვა და მთელი ეს შეგრძნება პასუხში გამოხატა, აღარ ჯავრობდა რა შედეგს - ,,-რა დაგიმალო, ჯოყოლავ, ან რად შემრისხავ თქმისადა... ცრემლები შემიწირია იმ შენი მეგობრისადა''. ბოლოს კი დაასკვნის - ,,იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!..'' - წყნარად, მშვიდად და რაც მთავარია აუღელვებლად უპასუხა ქმარს.

ამ შემთხვევაში მამაკაცურ დაძაბულობას არა მხოლოდ ჯოყოლა, როგორც ცნობილია ვაჟაც განიცდიდა და თვეები ფიქრობდა პასუხი გაეცა ალაზასთვის - მოეწონა თუ შეერისხა.

აი, ქალის ხასიათით გამოწვეული მამაკაცური ტანჯვა.

ბევრი იყო ლიტერატურული ვარიანტები, მაგრამ ყველა უვარგისი, არ შეეფერებოდა ალაზას. სწორედ ესაა ის გრძნობა, მთლიანად რომ აგავსებს საკუთარი თავით და სიტყვასაც არ გათქმევინებს, რომ ვერ მიმხვდარხარ, შენ თავს რა ტრიალებს, გაწვალებს და ბოლოს ფიქრით გატანჯული ვაჟა და თავისთავად ვაჟასთან ერთად ჯოყოლაც წამოიყვირებს ბუნებრივად, ყველაზე მარტივად, ყველაზე საყვარლად, ყველაზე სათნოდ, ყველაზე ზნე-კეთილად, რადგან დაიღალა ამდენი ფიქრით, და რომ იცის ცოლი და რომც არ იცის ცოლი ბოლომდე და ეს ამოუთქმელი ამოთქვა ვაჟამ და მასთან ერთად დინჯად და დარბაისლურად დაამტკიცა ჯოყოლამ: ,,- მაგისთვის როგორ შეგრასხავ? ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო. იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა? დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა''.

აი, პასუხი, ღირსეული პასუხი ღირსეული ცოლისა. ამ სიტყვებშივეა დავანებული შეფასებაც და დაფასებაც.

უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოებთა ავტორები ვერ გრძნობენ წერის პროცესში რა სიმდიდრე შექმნეს, ეს გვიან ხვდებიან, ან სულაც ვერასდროს. მკვლევარები თუ აგნებენ ღირებულს ასეთ შემთხვევაში.

ასეთი მაგალითიც არის - მომაკვდავ აკაკის, როცა წაუკითხეს ,,გამზრდელი'', მან ბოლოში დაასკვნა - ,,კარგად დამიწერიაო''. ესეც უნიკალური ღირსებაა შემოქმედის: ,,კარგად დამიწერიაო'', - ალაიარა. არათუ კარგად დავწერეო (ე.ი. თავიდანვე ასე მქონდა ნაფიქრიო). ,,კარგად დამიწერიაო'' (ვწერდიო კარგად, მაგრამ იმაზე უკეთესად გამომივიდა, ვიდრე ჩაფიქრებული მქონდაო). ვაჟასთანაც ესაა თითქმის: წვალობდა, მთელი თვეები არ ასვენებდა ალაზას ნათქვამი, სიზმრადაც ესიზმრებოდა, აჩრდილივით თან დასდევდა, ბორგავდა, სანამ არ ამოაყვირა (ვაჟას) გაბრაზებულს, (ჯოყოლას კი) სიამაყით - ,,იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისაო...''

კარგად დამიწერიაო, - ვაჟაც დაასკვნიდა, რადგან კარგად წერდა და უმჯობესი გამოუვიდა.

აი, ესაა ქართველი ქალის მადლი, მისი საკრალობა და დიაცობა (მისი პირვანდელი უხრწნელი და ველური გაგებით).

### 3. მეხსიერებაში აღბეჭდილი შარავანდედი (განსახიერება)

ყველა იდეას სახედ ჩამოსხმა სჭირდება, სახედ ჩამოსხმულს კი განსახიერება. რეალური ცხოვრება სხვას არაფერს აკეთებს, თუ არა განსახიერებას ნებისმიერი სახედქმნილი იდეისა. ყველა ქართველ ქალში დევს შარავანდედი ალაზასი: ზოგში რა დეტალი და ზოგშიც რა. არიან დიდებული მსახიობები, რომლებიც საუკეთესოდ ითვისებდნენ ივდითიასა და ოთარაანთ ქვრივის ამპლუას, ირგებდნენ ოლღა ბებიასა და ასინეთას ნიღბებს, მაგრამ ცხოვრება გრიმებისა და ნიღბების მიღმა ყველაზე მთავარია და ყველაზე მიმზიდველი: ქალი, რომელიც არაა არც ალაზა, არც მსახიობი, არც მოდელი, არც მომღერალი, არის უბრალოდ ოჯახისთვის თავდადებული, უყვარს ქმარი, უყვარს შვილები, შრომობს და იხარჯება მათთვის, არ აწუხებს პრობლემა დიაცის, არც ალაზას შინაგანი ფორიაქით დაუტვირთავს თავი, არც სცენაზე ეჩქარება და არც გადაღებებზე. მისი სიჩქარე და პრობლემა ქმარ-შვილია. ამაზე კარგი ცხოვრებაში რა უნდა იყოს.

კარგია კონკრეტიკა საკითხის სრულმომცველობისთვის, მაგრამ იმდენად მრავლობითია, რომ ძნელია დაიჭირო მათში ნათი ,,საზოგადოდ ქალის'', ყველა მათგანშია იგი და მაინც თვითმყოფადი სჭარბობს საზოგადოს. ყველა ქართველ ქალშია ათინათი მშვენიერების. ამოუხსნელია და აუხსნელი მათი კდემა, მიმზიდველია სიმხურვალე მათი სხეულის. და ჩვენ გვიყვარს ისინი ისეთი თავდავიწყებით, რომ გვსურს მათთვის განვასახიეროთ ყველა რაინდი, რათა მათაც განასახიერონ მარადი სატრფონი. და ეს ურთიერთგრძნობები გრძელდება უსასრულობამდე...

უსასრულობამდეც მივდივართ და უსასრულობაშიც შევდივართ და ვეძებთ ისეთი გულმოდგინებით, რომ მათი ყოველი წასვლა ხელოვნების ნიმუშად ვაქციეთ: -

მიდის ცხოვრებით გადაღლილი ბუღალტერი სახლში. დავთრებს ქუჩაში უყრის უფროსობას და უთავჯამობით თავგაბეზრებული გაიძახის: ,,გაგწყვიტათ ყველა ჭირმა, მე სახლში წავედი...'' უკან კი ინგრევა სათუთად ნაგები ყველაფერი. არადა, ამ სიტყვებში ადამიანთა სიყვარული ჩანს, თითქოს გაბრაზებულის, გადაღლილის, მაინც უმათოდ თამარა ბუღალტერს არ შეუძლია.

,,წავედი მე სახლშიო'', - იძახის და უსასრულობაში მიდის.

ვიღაც უცნობი ქალი, ფუფალას მორთულობით აღმართზე ადის. შეჩერდება, შეისვენებს და ტაძრამდე მისასვლელ გზას კითხულობს. ,,არაო, - ეუბნებიან, - ეს გზა ტაძრამდე არ მიგიყვანს, ეს ვარლამის ქუჩააო''. გაიკვირვებს ქალი, მოხუცი ქალი - ,,მაშ რა საჭიროა გზა, რის მაქნისია გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიდისო''. კითხვებით გააქნევს თავს საყვედურის ნიშნად და თავის აღმართს აუყვება თავისივე ბარგით.

ეს გზა რომ სწორედ საბედისწერო უსასრულობაა.

აი, კიდევ მედეა ჯაფარიძე, თეთრ გემზეა ქმარ-შვილთან ერთად. უხარია, ერთად რომ არიან თავმოყრილნი და ამითაა იგი ბედნიერი. ოდითი ოცნება აუსრულდა, ის ოცნების ციხე-გალავანი ნახა, ბავშვობაში რომ უოცნებია. ბრუნდება შინ შთაბეჭდილებებით სავსე, იღიმის და მისი თეთრი კაბა ზღვის ჰორიზონტს ეთამაშება და იგი ლოცულობს, მხურვალედ ლოცულობს ქმარ-შვილისათვის: ,,მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები...'' და ისიც უსასრულობაში მიდის.

**მანუჩარ კაჭახიძე**
3 მარტი, ნიუ იორკი



     









# ეს საკრალური შვიდი წელი...

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მეშვიდე წელიწადს წიწამურის გზაზე მოკლეს ილია ჭავჭავაძე...

მეოცე საუკუნის დასასრულამდე შვიდი წლით ადრე ოდიშის ტყეებში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ზვიად გამსახურდია.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან მეშვიდე წელიწადს ზვიადი თერგდალეულივით საქართველოში დაბრუნდა ახალი და ზეადამიანური ცხოვრების დასაწყებად, დაბრუნდა და ასი წლის წინანდელი გზა გაიარა დიდი თერგდალეულივით მცხეთიდან მთაწმინდის პანთეონამდე, ესაა მხოლოდ, რომ ილია სვეტიცხოველში არ დაუსვენებიათ.

ასი წელი საქართველო ჭედდა ქართველი ერის თვითშეგნებას წმინდანების და გმირების სიცოცხლის ფასად, დიდი კაცების წამებულის გვირგვინით მოსილი მაღალი შუბლიდან დადენილი სისხლი ქართველობის ტკივილად რომ შეიცნობოდა და ასუფთავებდა ერის ცნობიერებას, რათა ყოფიერებაში მტკიცენი შერკინებოდნენ ხილულ და უხილავ მტრებს.

ზვიადი დაბრუნდა საქართველოში, მას უსაზღვრო მოთმინებით ელოდა სამშობლო.

რას არ ამბობდნენ მასზე ამ ხნის განმავლობაში, ბევრსაც იტყვიან და ბევრსაც დააბრალებენ, მერსედესის ინციდენტიც კმარა გასახსენებლად.

ილიასაც არ ასცდა ასეთი ღვარძლი, თითქოს საგურამოელ გლეხებს ჭოკებს ამტვრევდა თავზეო. ასეთი უსუსური ბრალდებები მხოლოდ უსუსური კაცუნების უღღეური ფანტაზიის ნაყოფია, სასაცილოდან სასაცილომდე კაცუნების ფანტაზიისა.

დრო ყველაფერს დაწმენდს, ისევე როგორც დაუწმინდავს ოდით და ოდით შხამ-ნთხეული ბალლამისგან გასვრილი დიდი კაცების ხსოვნა. ზვიადის წინააღმდეგ აღმართული მახვილი ისეთივე სამარცხვინო და საშვილთაშვილო ცოდვა და დამღა იქნება შთამომავლობაზე წყევად გარდამავალი, როგორც ეს ილიას მკვლელთა მიმართაა. აკი, -

ილიას მკვლელებიც ტრაბახობდნენ - ,,ამ მარჯვენით მოვკალი ილიაო‘‘...

ზვიადის ხელმყოფნით ასევე ტრაბახობდნენ - ,,ჩვენ დავამხეთ გამსახურდიას ხელისუფლებაო‘‘...

შეცდომა ბევრია დაშვებული, დანაშაული უფრო მეტი. ამის შესახებ მოიცლიან, ახლა კი უნდა დავიტიროთ ზვიადი და ეს იქნება საუკეთესო და სანიმუშო აღნიშვნა ილიას დაღუპვის 100 წლისთავისა, რადგან ხალხი ისევ ის ხალხი ვართ, რაც 100 წლის წინათ ვიყავით, და ცხედარიც ისევ ის წამებულია, რაც იყო 100 წლის წინათ. ჩვენ ამით ზოგად-ეროვნულ ტკივილს ვამცნობთ კაცობრიობას.

სვეტიცხოველი კი დარჩა, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი...

**მანუჩარ კაჭახიძე**















## გთავაზობთ ფრაგმენტს პროფესორ ელიზბარ ჯაველიძის ნაშრომიდან „რაიც მეხსიერებას შემორჩა“

### უსამართლობას ვერ იტანდა

ნამდვილი დისიდენტები მართლაც ებრძოდნენ არსებულ სისტემას და აქტიურად მოღვაწეობდნენ კიდეც. ახლა ვწუხვარ, რომ მე მათ გვერდით ვერ ვიყავი. ვერ გავაცნობიერე, რომ მათი გარჯა და ბრძოლა წარმატებით შეიძლება დაგვირგვინებულიყო. ამის განჭვრეტა მაშინ ძალიან ძნელი იყო. ამიტომაც მათ მოღვაწეობას მხოლოდ ინტერესით ვადევნებდი თვალს და ოდენ გულწრფელად თანავუგრძნობდი. მხოლოდ ახლაღა დავრწმუნდი, რომ ზვიადის და მერაბის თავდადება და ბრძოლა, რომელიც რეალობას და პერსპექტიულ საფუძველს მოკლებული მეგონა, უფრო სჭირდებოდა ქართველ ერს თვითობის და სულის გადასარჩენად, ვიდრე ჩემი მეცნიერული ნააზრევი.

არადა, ისინიც ახალგაზრდული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ქუჩაშიც იდგნენ. ჩხუბსაც არ ერიდებოდნენ, მკლავიც მოსდევდათ და, თუ საჭირო იყო, უკან არ დაიხევდნენ. უყვარდათ პურის ჭამაც, ლხინი და კარგი სიმღერა... ერთი სიტყვით, თბილისელები იყვნენ, რომელთაც არსად არაფერი ეშლებოდათ. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ეროვნულ მოძრაობაში უცბად წამოჩეკილი, ერთხანს ვითომც თავგადაკლული პატრიოტი და „შეკოწიწებული“ მწერალი დათო ტურაშვილი ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ დიდ ნაკლად იმას ასახელებდა, რომ იგი „ბირჟაზე“ არ მდგარა, ქუჩის აკადემია არ გაუვლიაო.

მდგარა, ბატონო, მდგარა და, თუ ხელის მოქნევა იყო საჭირო, ისიც იქნევდა ხოლმე და ვაჟკაცურადაც. მაგრამ ერთი რამ უეჭველად თვალში გეცემოდათ - ათ კაცს რომ ეჩხუბა და დაელეწა ქვეყანა, ყველაზე დიდ ბოროტმოქმედად და ხულიგნად მაინც ზვიადი გამოჰყავდათ. ოფიციალური პრესა ატეხდა ხოლმე უსაშველო აურზაურს და მისი ლანძღვით მაზოხისტურ სიამოვნებას განიცდიდა. მახსოვს, ახალგაზრდებმა იჩხუბეს, ჯგუფური ჩხუბი იყო. ზვიადიც იყო გარეული. ვიღაცა მწარედ გაილახა, ვიღაცას თავი გაუტყდა, ვიღაცა დაიჭრა... ამოძრავდა სახელმწიფო ბოროტების მანქანა, სურდათ, ყველაფერი ზვიადისთვის დაებრალებინათ. იგი ციხეში გამოემწყვდიათ. მაგრამ მაშინ ივაჟკაცა ცხონებულმა ჯემალ გოლეთიანმა და ყველაფერი თავის თავზე აიღო, რაც რამდენიმე წლის პატიმრობად დაუჯდა...

ვერ ვიტყვი, ჯეელი ზვიად გამსახურდია უცოდველი კრავი იყომეთქი. ვერ იტანდა უსამართლობას, შინაგანად ღიზიანდებოდა და ზოგჯერ იქ იღებდა ხმას, სადაც მას თითქოს არაფერი ესაქმებოდა და ეხებოდა.

ჩემი მეგობრის ლერი გამრეკლიძის დაბადების დღეა. ივლისის თვეა. გაგრაში, რესტორან „გაგრიფშის“ მეორე სართულის აივანზე გრძელი სუფრაა გაშლილი. საოცარი სიმღერები იღვრება, დახვეწილი იუმორი ამშვენებს იქაურობას. ომარ ხაიამის რობაიების დეკლამაციაც ქეიფს ეშხს მატებს. არის კოცნა-ხვევნა და ურთიერთსიყვარული, ღვინით თრობას რომ მოაქვს ხოლმე. მარჯვენა მხარეს ზვიადი მეჯდა, მარცხნივ კიდევ ლერი და კოკა იგნატოვი, შესანიშნავი ქართველი მხატვარი, რომელსაც არც სილამაზე აკლდა და ქალების მოხიბვლაც ეხერხებოდა. მყავდა მეგობარი, ანზორ მარგალიტაძე, ბრგე ვაჟკაცი, საოცარი ძალის პატრონი, მაგრამ კეთილი და დამთმობი. მას დიდად არ ეხერხებოდა, როგორც მაშინ ვამბობდით, ქალების შებმა, მაგრამ, ჩანს, მისმა ვაჟკაცურმა გარეგნობამ მოხიბლა ცნობილი მოსკოველი ქართველის ერთობ მომხიბვლელი მეუღლე, იმჟამად რომ გაგრაში ისვენებდა. ანზორს სწორედ ეს მიმზიდველი ქალბატონი ახლდა, რომელიც მაგიდასთან კოკა იგნატოვის გვერდით აღმოჩნდა. შეზარხოშებულმა კოკამ არშიყი დაუწყო ქალბატონს, ცხადია, ისიც აჰყვა, რამდენიმეგზის იცეკვეს ერთად. ანზორ მარგალიტაძე წუხს, მაგრამ ვერაფერს ამბობს. ზვიადი თვალყურს ადევნებს უცბად გათამაშებულ სასიყვარულო სამკუთხედს, შფოთავს, მეუბნება: - ურჯულოსავით იქცევა კოკა, ახლობელ ადამიანს ართმევს ქალს, ვგონებ, წაჰგვარა კიდეც, არ ეკადრება... არ ეპატიება...

- შეეშვი, - ვეუბნები მე, - ხომ ხედავ, როგორ სიამოვნებს... თანაც ვიღაც გამოუსწორებელი კახპის გამო არ ღირს დავიდარაბა.

- კახპა რას იზამს, არ მაინტერესებს, კაცი უნდა იქცეოდეს კაცურადო - მეუბნება და უეცრად კოკას მიუბრუნდება, კბილებში გამოსცრის - შენ ამ ქალს აღარ ეცეკვები, თავს დაანებებ.

- შენ რა გესაქმება - ეუბნება კოკა და გაკვირვებით მხრებს იჩეჩს.

- სწორედაც მე მევალება ურჯულოების მორჯულებაო...

- ურჯულო თავად ხარ, შენს თავს მიხედეო, - უკმეხად პასუხობს მხატვარი.

მომავალი პრეზიდენტიც გვარიანად შეუკურთხებს, გადასწვდება და ისე გაულაწუნებს ყბაში, რომ კოკა სკამიანად უკან გადავარდება. აყალმაყალი, გაწევ-გამოწევა, გინება... ერთი სიტყვით, აირია მონასტერი, ჩინებული ლხინიც ჩაიშალა... განცვიფრებული მანდილოსანიც სხვა ვიღაცას ნახავს და იმას აეტორღიალება... ქალი ქალია, დიდხანს უქმროდ რამ არონია...

მეორე დღეს უკვე გაგრის სადგურის რესტორანში შევიყარეთ საქმის გასარჩევად კოკას და ზვიადის მომხრეები. რეზო ჯორჯაძე კოკას იცავდა, ჯემალ გოლეთიანი - ზვიადს... სიმწვავე და სიცხარე არ აკლდა საქმის გარჩევას, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა და შერიგებით დაგვირგვინდა. მერე ხშირად მიფიქრია, რატომ ჩაიდინა ზვიადმა ეს?! ეტყობა, მისი ბუნება ვერ ეგუებოდა ელემენტარულ უზნეობას და უსამართლობას, სწორედ ამ ხასიათის გამო ხშირად იგემა მან უსამართლო დარტყმა, მაგრამ ბუნება ვერ შეიცვალა - ამხედრდა და ებრძოდა უსამართლობას, ასე რომ ზეიმობდა მთელ საბჭოთა კავშირში და ყველაფერს სრესდა, რაც კი ოდნავ მაინც ხელს უშლიდა და წინ ეღობებოდა. საბჭოთა სისტემა არავის ინდობდა, განსაკუთრებით კი იმათ უსწორდებოდა, ვინც მის სტანდარტულ აზროვნებას არ ესადაგებოდა, ვინც მისი თარგით გამოჭრილი და მისი სისხლ-ხორცით შექმნილი ადამიანი არ იყო.

### იმთავითვე გამორჩეული იყო

ზვიადს ყოველთვის უთვალთვალებდა ყოვლისმხედველი ავი თვალი, წამითაც არ ეშვებოდა, უყურადღებოდ არ ტოვებდა, სურდა მისი მოჯადოება, მოდუნება და სულიერი თუ ფიზიკური განადგურება, მაგრამ ის მაინც აგრძელებდა მძიმე ჯვარის ზიდვას შეუპოვრად, გაუტეხელად, უშიშრად.

სტუდენტობის ჟამს სულ მესმოდა ზვიად გამსახურდიას სახელი ხან დადებით და ხან უარყოფით კონტექსტში, მაგრამ ზვიად გამსახურდიას თავგამოდებული მაგინებლებიც კი აღიარებდნენ, რომ იგი ღრმად განათლებული და დიდად ნიჭიერი კაცი იყო.

მართლაც, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში გაზრდილს საკადრისი განათლება ჰქონდა მიღებული, მრავალ უცხო ენას ფლობდა და შეეძლო, დედანში წაეკითხა გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი კლასიკოსები, წარმართი ფილოსოფოსები. პირადად მე მიჭირს, დავასახელო მეორე კაცი, რომელიც ისე ღრმად იცნობდა უძველეს აღმოსავლურ ცივილიზაციას, მათ ეზოტერიულ ნააზრევს, კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიას, ქრისტიანობის და ისლამის თეოლოგიას და მისტიციზმს, შუა საუკუნეების მსოფლიო კულტურას და ლიტერატურას და, ბოლოს, ახალ და უახლეს დასავლურ ხელოვნებას, ფილოსოფიასა და მწერლობას, ასევე ძველ თუ თანამედროვე ქართულ მწერლობას, არქიტექტურას, ფერწერას, ისტორიას, რელიგიას, ტრადიციებს და მისთ., როგორც ზვიად გამსახურდია. ამიტომაც მისი ინტერესის და კვლევის სფეროს თითქოს სამანები არ აქვს. უძველესი მითოლოგიისა და ილიადა და ოდისეას პრობლემებით დაწყებული და მსოფლიოს უახლესი ფილოსოფიის და კულტურით დამთავრებული. მაგრამ კვლევის სფეროს ეს დაუსაზღვრელობა და ყოვლისმომცველობა არ ასვამს მის ნააზრევს ერთგვარი ზერელობის ნიშან-დაღს, არამედ ღრმა განსჯის და საოცარი განზოგადოების, საინტერესო პარალელური სიდიდეების შედარებისა და შეფასების საფუძვლად გვევლინება.

მაგრამ ამჯერად მისი მეცნიერული ნაღვაწის შეფასებას არ ვაპირებ, ამის შესახებ ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი რამდენიმეგზის. გარდა ამისა, მემუარული ჟანრი მაიძულებს, უფრო მის ბუნება-ხასიათსა და თავგადასავლებზე გავამახვილო ყურადღება, ვიდრე მის მეცნიერულ ნააზრევზე, რაც უდავოდ ცალკე გამოკვლევას იმსახურებს.

დიახ, ზვიადს ძალიან უყვარდა წიგნი და მრავალ უნიკალურ გამოცემაზეც მიუწვდებოდა ხელი. ქვეყნად მრავალი ეგოისტი მკითხველი შემხვედრია, რომელიც ხარობს იმით, რომ ის, რაც მან წაიკითხა, სხვას არ აქვს წაკითხული, არც უნდა, რომ სხვამ წაიკითხოს, რადგან ამით ის ერთგვარ უპირატესობას უსვამს ხაზს და თვითკმაყოფილების გრძნობა ეუფლება. ზვიად გამსახურდიას, პირიქით, ის ანიჭებდა დიდ სიხარულს, თუკი ვინმეს რაიმე საინტერესო წიგნს წააკითხებდა, ხშირად დაგირეკავდა, გკითხავდა, თუ იცი ამ წიგნის არსებობაო; გირჩევდა, აუცილებლად წაიკითხეო. მახსოვს, მან მათხოვა ფოტოპირები შმაკოვის უზარმაზარი გამოკვლევისა ეზოტერული მოძღვრების შესახებ. ეს ნაშრომი კარგა ხანს მქონდა, ვამუშავებდი, ვიწერდი, რამდენიმე თვე რომ გავიდა, ზვიადი მირეკავს:

- ძმაო, ეგ ფოტოპირები ჩემი არ არის. რა ქენი, ხომ არ დაკარგეო, - მეკითხება ოდნავ გაბრაზებული.

- არა, ზვიად, - ვეუბნები, - შრომა ძალიან საინტერესო მეჩვენა და ვამუშავებ-მეთქი.




- თუ გამოგადგა და ამუშავებ, რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს გქონდეს, - მპასუხობს გახარებული.

ასე ბავშვივით უხაროდა, თუ ვინმეს ხელს გაუმართავდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა სხვისი წარმატება და მართალი გზით სიარული. რა შხამი არ ანთხიეს მასზე, ადამიანი მაინც ვერ შეაჯავრეს...

ერთი ეპიზოდიც: უნივერსიტეტის ბაღში ხალხმრავლობაა. სამგლოვიარო მიტინგია, უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფუძემდებელს კრძალავენ... ვდგავარ ჩემთვის, ორატორების ორატორულ გამოსვლებს ვუსმენ. ვიღაცამ მხარზე მომხვია ხელი. მივიხედე, ზვიადი მიღიმის:

- შენი წერილი წავიკითხე გურჯი ხათუნის და ჯელალ-ედ-დინ რუმის ურთიერთობის შესახებ. ყოჩაღ! ძალზე მომეწონა... მაგრამ ცდები, როცა ჯელალ-ედ-დინ რუმის პანთეისტად ნათლავ. კარგად ჩაუკვირდი ამ საკითხს! - მეუბნება მისთვის ჩვეული თვითდაჯერებით.

მაშინ სადოქტოროზე ვმუშაობდი, ჯელალ-ედ-დინ რუმის მსოფლმხედველობას ვსწავლობდი. ღამეებს ვათენებდი სუფიურ პრობლემებზე ფიქრით. გავბრაზდი, მინდოდა მეთქვა - ზვიად, შენს წიგნიერებას პატივს ვცემ, მაგრამ ჩემს დარგში ჭკუას როგორ მასწავლი-მეთქი, მაგრამ ერთი გავხედე, გავუღიმე და არაფერი მითქვამს.

მისმა შენიშვნამ კი მოსვენება დამიკარგა. ერთი სული მქონდა, როდის მივუჯდებოდი მაგიდას და ჩემს ნააზრევს გადავხედავდი. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ზვიადი მართალი აღმოჩნდა. მერე ეს პრობლემა სპეციალურად შევისწავლე და როგორც ჩვენში, ისე დასავლეთში შუა საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული აზრი პოეტის პანთეისტობის შესახებ უარვყავი და იგი პანენთეისტად გამოვაცხადე, რაც ახალ თვალსაზრისად გაჟღერდა აღმოსავლეთმცოდნეობაში...

სავსებით ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიამ ჰომეროსის „ილიადასა“ თუ „ოდისეას“, თუ ძველეგვიპტური „მკვდართა წიგნის“ ნაწყვეტების, მათეს სახარების თუ ინგლისელი ლეონარდ კოტლერის მხატვრული ნარკვევის, შექსპირის თუ ბოდლერის, ოსკარ უაილდის თუ უიტმენის, რობინსონის თუ ფროსტის ქმნილებების ბრწყინვალე თარგმანებით საზოგადოებრიობას აუწყა, რომ ქართულ მთარგმნელობით სკოლას უნიჭიერესი მთარგმნელი მოევლინა, ხოლო მისმა საინტერესო წერილებმა და გამოკვლევებმა, რომლებიც ეხებოდა თარგმანის, პროტოიბერიულ კულტურას, მითოლოგიას, რელიგიას, ფილოსოფიას, ქრისტიანული კანონიკური თუ ეზოტერიული მოძღვრებების, ქართული ენის, სულიერი მისიის, ძველი თუ ახალი ლიტერატურის და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებს, ყველა, ვისაც ძალისძალით არ ჰქონდა გონება დახშული, დაარწმუნა, რომ ქართულ მეცნიერულ სამყაროში გამოჩნდა ფართო ერუდიციის, ღრმად მოაზროვნე, დახვეწილი გემოვნების ლიტერატურათმცოდნე და მეცნიერი, ორიგინალური აზროვნებით და თვალსაზრისებით იმთავითვე რომ მიიპყრო სამეცნიერო წრეების ყურადღება.

ბოროტი ენები, სახელმწიფო საიდუმლო შეკვეთას რომ ასრულებდნენ, არ იშლიან თავისას, სურთ, დაამცირონ იგი და უაზროდ თუთიყუშივით იმეორებენ: უნიჭო და ხელმოცარული კაცი იყო, დიდების მოყვარული და თავისი შემოქმედებითი საჭურისობა რომ გაექარწყლებინა, დისიდენტის გამრუდებულ გზას დაადგაო, სახელის და დიდების ჭია არ ასვენებსო, ყველაფერში ცხვირს ჰყოფს, ეკითხება თუ არ ეკითხებაო...

ჭია მართლაც არ ასვენებდა, მაგრამ არა პატივისა და დიდების მოპოვებისა, არამედ საქართველოს ბედი გაეთავისებინა, სამშობლოს ლომის ხახიდან გამოხსნა სურდა, ამიტომაც ყველაფერი, რაც ქართულ სულს და ზნეობას აკნინებდა, თავისი ზრუნვისა და განსჯის საგნად აქცია.

გულს უკლავდა ქართველთა სარწმუნოების დამცირება და ურწმუნობის გაბატონება; წუხდა, რომ ეკლესია სუკის აგენტთა და ანაფორაგადაცმული ყაჩაღების თავშესაფრად ქცეულიყო, იბრძოდა მისი განწმენდისათვის.

მოსვენებას უკარგავდა ქართული ტრადიციების დავიწყება და გადაგვარება, ნამდვილი ქართული ჩვევების უგულებელყოფა და მის ნაცვლად მახინჯი ფორმების დამკვიდრება. იბრძოდა მათი აღდგენისათვის.

დიდად აღელვებდა ქართულ საზოგადოებაში მორალის და ზნეობის დაცემა, ქრისტიანულ-რაინდული სულის დაკნინება და მუცლის გაღმერთება და ცხოვრების უკადრისი წესების და მეთოდების გაბატონება. იბრძოდა უზნეობის ასალაგმავად და სათნოების ასამაღლებლად.

ვერ ეგუებოდა ქართული ისტორიისა და წარსულის დამცირებას, მისი შესწავლის შეგნებულად გამრუდებულ ფორმებს. სწადდა, საკადრისი სრულყოფილებით ასახულიყო ჩვენი გმირული წარსული და, საერთოდ, საქართველოს კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევა სწორი მეთოდოლოგიით წარმართულიყო.

სძულდა სიყალბე და ტყუილი, ცრუ სახელების გაბრწყინება ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში. ებრძოდა უნიჭობას, მოჩვენებით პატიოსნებას და ნიღბად აფარებულ პატრიოტიზმს, ყველაფერს თავის სახელს არქმევდა...

გულს უკლავდა რუსული ფენომენის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრება, რუსული ენის გაბატონება, ქართული ენის დამცირება. თავდაუზოგავად ებრძოდა რუსიფიკაციას, საქართველოში საშიში ფორმა რომ მიეღო, და იღვწოდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დამკვიდრებისათვის.

აწუხებდა ადამიანის უფლებების შელახვა, მისი უუფლებო ყოფნა, მონობის უღელი რომ დაედო საბჭოთა სინამდვილეს. ებრძოდა ძალმომრეობას, უკანონობას და იცავდა ადამიანის ადამიანურ ღირსებას.

სულის ძირისძირამდე სძრავდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და რუსეთის გუბერნიად ქცევა. მზად იყო, საკუთარი სიცოცხლე შეეწირა, ოღონდაც სამშობლოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინა და საქართველო დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოდ ეღიარებინათ.

დიახ, აწუხებდა ყველაფერი, წვრილმანი თუ მსხვილმანი - სასაზღვრო-გამშვები პუნქტით დაწყებული, ქვეყნის თავისუფლებით დამთავრებული!

წუხდა, წუხდა, წუხდა... სტკიოდა, აღაშფოთებდა, აღელვებდა... ახლა, რიტორიკაში თუ არ ჩამომართმევთ, ვიკითხავ: რა?! არ უნდა შეწუხებულიყო, არ უნდა სტკენოდა, არ უნდა აღშფოთებულიყო?!

განა ყველა პატიოსან ქართველს არ აღელვებდა და არ აწუხებდა ეს ყოველივე?!

ჰაი, ჰაი, რომ აწუხებდა! ოღონდაც ამ წუხილს საკუთარ გულში ხარშავდა, მის გაცხადებასაც კი ვერ ბედავდა, ერიდებოდა. ზვიად გამსახურდიას კი „ჭია არ ასვენებდა“, იბრძოდა, ვეშაპს ერკინებოდა წმიდა გიორგივით!

### ფსიქოლოგიური ტერორი

ზვიად გამსახურდიას არასოდეს დაჰკლებია სუკის „ყურადღება“ და „სახელმწიფოს მზრუნველობა“. მაგრამ შევარდნაძის დროს ეს „მზრუნველობა“ ათმაგად გაიზარდა, უკიდურესი ფორმები მიიღო.

სუკი ფსიქოლოგიურად ამუშავებდა მას სხვადასხვა მეთოდებით, ნორმალური ადამიანი რომ ვერ წარმოიდგენს, წამლავდა მის სულს და თანაც ათასგვარ საზიზღარ ჭორს უვრცელებდა: დევნის მანიით არის შეპყრობილი, სისულელეებს ჩმახავს, სულიერად ვერ არის ჯანსაღიო.

გვიანი გაზაფხული იდგა, შაბათი დღე იყო. სოლოლაკში, რესტორან „სამადლოში“ მეგობრებთან ერთად ვსადილობდი. ვხედავ, ზვიადი მოგრიალდა თავისი „ვილისით“, ორი კაცი ახლდა, გვერდით მაგიდას მიუსხდნენ, კარგა ხანია, არ მენახა, მისი დანახვა გამიხარდა. წესისამებრ, სასმელები თავისი ატრიბუტებით მივართვი და ცოტა ხნით მათ სუფრას მივუჯექი, მოვიკითხე:

- რას შვრები, ზვიად, როგორ ხარ? -მეთ-ქი.

- რა, როგორ ვარ, ჩემო ელიზბარ, სუკი არ მეშვება, სიცოცხლეს მიმწარებს, ჩიტი ვერ გადაფრენილა ჩემს გზაზე, ფრინველი ვერ დაბუდებულა - ყველაფერს წამლავენ. გამოვალ, მკვდარი ჩიტი გდია, იქით - მკვდარი ქათამი. ხან კატაა მკვდარი, ხან - ძაღლიო. - ეტყობა, სახეზე განცვიფრება შემატყო, თანაც ჩემი საეჭვო მზერა დაიჭირა და გულდაწყვეტით განაგრძო: აი, ხომ ხედავ, შენც არ გჯერა, შენც ფიქრობ, ალბათ, რას როშავს ეს კაციო, გონს გადავიდაო.

ადამიანის ფსიქოლოგიას კარგად იცნობდა, შეეძლო, კაცის სულში ჩაეხედა. ჩემი ფიქრიც თითქოს ზუსტად წაიკითხა. შემრცხვა და, უხერხულობა რომ გამეფანტა, გადავიხარხარე და ლაღად ვუთხარი:

- რას ამბობ, ზვიად? ეს როგორ იფიქრე-მეთქი!

დიდხანს აღარ გავჩერებულვარ, ვადღეგრძელე და ჩემს სუფრას დავუბრუნდი, თავში კი ის ფიქრი მიტრიალებდა, რაც მან ასე ზუსტად დაიჭირა ჩემს მზერაში:

- რა ჩიტი, რა ქათამი?! რის მოწამვლა?! ეტყობა, ბიჭი ზედმეტი დაძაბულობისგან გადაიღალა, დასვენება ესაჭიროება-მეთქი.

**სამწუხაროდ, ასე ვიფიქრე, რადგან მაშინ კარგად არ ვიყავი ჩახედული სუკის „ფსიქოლოგიური ბრძოლის“ მეთოდებში. მერე, მოგვიანებით გავიგე, რომ ის, რასაც ზვიადი მიყვებოდა ფრინველთა და ცხოველთა მოწამვლის შესახებ, ერთობ მიღებული და ფართოდ გავრცელებული ხერხი ყოფილა ადამიანის ფსიქოლოგიური დამუშავებისას.**

ასე უწამლავდნენ სულს განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს და თანაც იმასაც ახერხებდნენ, რომ ამდაგვარ, თითქოს არარეალურ ფაქტებზე წუწუნი აეხსნათ, როგორც პიროვნების ავადმყოფური სულის ფანტაზიის შედეგი. ყოველ შემთხვევაში, ამ აზრის ჩანერგვას ფართო საზოგადოებაში ახერხებდნენ.

სუკის „დიდი ყურადღება“ თვალთვალითაც იყო ნიშანდებული. **ზვიადის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ: თუ მანქანით გავიდოდა, რამდენიმე მანქანა ჩაუდგებოდა კუდში; თუ ფეხით გავიდოდა, ერთი-ორი კაცი აუცილებლად აეკიდებოდა, სადაც მიდიოდა, თან მიჰყვებოდა** - მოკლედ, სახელმწიფოს „დიდი თვალი“ წამით არ ტოვებდა, მის ყოველ სიტყვას თუ ქმედებას აკონტროლებდა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეხუთე სართულის ტალანში, სადაც ჩემი სამუშაო ოთახი მდებარეობდა, მოულოდნელად ზვიადი შემეჩეხა შეშფოთებული სახით, ხელი ჩამოვართვი და ვკითხე, რა ხდებოდა:

- ორი სუკელი ამეკიდა, ვერაფრით ვერ დავაღწიე თავი, აქ შემოვედი და აქაც შემომყვნენო, - მეუბნება შემცბარი.

ჩემს ოთახში შევიყვანე, სავარძელში ჩავსვი და ვუთხარი:

- მე კარს გადავრაზავ გარედან, აქაურობას დავივლი და უცხოებს თუ აღმოვაჩენ, გეტყვი-მეთქი.

ასეც მოვიქეცი - ზვიადი ოთახში ჩავკეტე და დასაზვერად გავედი. მეხუთე სართულის სარკმლიდან დავინახე, ორი უცნობი როგორ გავიდა გარეთ, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. გადავწყვიტე, ყველა სართული ფეხით დამევლო, შენობა კი ცხრასართულიანი იყო. მის მოვლა-დათვალიერებას, ჩანს, კარგა ხანი მოვანდომე და ცოტა დაღლილიც დავბრუნდი. კარი რომ გავაღე, ასეთ სცენას შევესწარი: ზვიადი ბოლთას სცემს, სახე ალეწილი აქვს, ეტყობა, ნერვიულობს. როცა დამინახა, ბავშვივით გამიღიმა შემცბარმა:

- მოხვედიო, - მითხრა გახარებულმა.

- აბა, აქ ხომ არ დაგტოვებდიმეთქი, - მივუგე მშვიდად. არც ის გამიკვირდებოდა, უსაზღვროდ დაძაბულ ცხოვრებაგადატანილ კაცს, ყოველ ნაბიჯზე მახეს რომ უგებდნენ, ჩემშიც ეჭვი შეეტანა და ათასი ცუდი ფიქრი წამოშლოდა. ყოველ შემთხვევაში, ზვიადის აფორიაქებული სული და შეშფოთებული მზერა ამაზე მეტყველებდა. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ არაფერი გვითქვამს, მხოლოდ დინჯად ავუხსენი, რომ ორი უცნობი უკვე წავიდა და სხვა უცხო კი ვერცერთ სართულზე ვერ აღმოვაჩინე-მეთქი. შემდეგ ორივემ აუჩქარებელი ნაბიჯებით დავტოვეთ ინსტიტუტის შენობა, ზვიადი მანქანაში ჩავსვი და გავისტუმრე სახლში, სადაც, ალბათ, სხვა მოთვალთვალენი ელოდნენ. დიახ, „კოლხურ კოშკს“ და მის ბინადართ არც დღისით აკლდა „მზრუნველი“ თვალი და არც ღამით.

### ვერ გატეხეს, გაიმეტეს

პრესა, რადიო და ტელევიზია ზვიადის ლანძღვა-გინებით გულს ვერ იჯერებდა. საერო თუ სასულიერო პირები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებდა მას. რას აღარ უწოდებდნენ: ადამიანის უფლებათა „თვითმარქვია დამცველს“, რელიგიის „არამკითხე ქომაგს“, „დოყლაპიათა“ მეთაურს, ხელმოცარულ და უნიჭო შემოქმედს, ფსევდოინტელიგენტს, გამოუსწორებელ ხულიგანს, გაწვრთნილ შანტაჟისტს, დახელოვნებულ პროვოკატორს, მამის ავტორიტეტს შეხიზნულ ცრუპატრიოტს, ჭორების და ტყუილების შემკოწიწებელს, ყველაფრის მკადრებელ მანიაკს... თათხავენ და ლანძღავენ, თითქოს მუხრუჭი მოეშალათო, ვეღარ ჩერდებიან. გაუგიათ, შეძახილმა ხე გაახმოო და ესენიც უკიჟინებენ, სიტყვით ქოლავენ, უსაზღვრო ლანძღვით საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილს გამოსარჩლების უფლებასაც არ უტოვებენ... ამას ზედ ერთვოდა საშინელი ჭორები, სუკის ინსტიტუტი რომ გეგმაზომიერად ავრცელებდა და წითელი ინტელიგენცია უმალვე აიტაცებდა ხოლმე. მოკლედ, ნიადაგი სავსებით დამუშავებული იყო, რომ ამ „სარეველასგან“ გაეწმინდათ კომუნისტური სასუქით გახარებული მშვენე ჯეჯილი, რომელსაც მშიერი ხბორებივით მისიოდა და ლაღად ბალახობდა იმდროინდელი ქართული საზოგადოება.

მაგრამ საბოლოო განაჩენის გამოსატანად კიდევ იყო რაღაც საჭირო... ჰო, კომუნისტური კრებების გამართვა... მართავენ კიდეც! წინ რა დაუდგებათ?!

**ჯერ სახელმწიფო უნივერსიტეტი ისახელებს თავს. ცხადია, აიძულებენ, თორემ თავისი ნებით ამას არ იზამდა. გაიმართება რექტორატის გაფართოებული სხდომა, სადაც დაგმობენ ზვიად გამსახურდიას და მის თანამებრძოლთა მოღვაწეობას, შეაფასებენ მას, როგორც ანტისაბჭოთა ქმედებას, მიმართულს სოციალიზმის წინააღმდეგ და მოითხოვენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და თავიანთ „საერთო აზრს“ გამოაქვეყნებენ გაზეთ „კომუნისტში“ (1977 წ. 1 აპრილი).** ფაქტობრივად, ეს უკვე დაპატიმრების სანქციის გაცემის მოთხოვნა იყო.

ასე გაიმეტეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, მეცნიერებმა თავიანთი უნიჭიერესი კოლეგა - ზვიად გამსახურდია... ციხისათვის!..

მეტი რაღა უნდოდათ ბნელეთის მოციქულთ?! თავად ქართული მეცნიერების სამჭედლო, ქართული ალმა-მატერი ითხოვდა მეცნიერის დაჭერას!

მაგრამ ნურას უკაცრავად, ნუ აჩქარდებით! რადგან თავად კომუნისტებს არ უყვარდათ აჩქარება. ყუდის ძირამდე ჩაყოლა...

ზვიადი დიდი ქართველი კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას ძე იყო, თავადაც მწერალი და მწერალთა კავშირის წევრი. ასე რომ, **საბოლოო სეფე-სიტყვა მაინც მწერალთა კავშირს უნდა ეთქვა, საბოლოო განაჩენიც მას უნდა გამოეტანა.**

**გამოიტანდნენ, რატომაც არა?! მე შენ გეტყვი და არ იყვნენ გაწაფულნი ამგვარი განაჩენების გამოტანაში?!**

ზვიად გამსახურდია კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, გაუტეხელი, ამიტომაც მარტო გაშოლტვა არ იკმარებდა, საბოლოოდ უნდა გადატეხილიყო წელში.

შევარდნაძის მითითებით 1977 წლის პირველ აპრილს პრეზიდიუმის სხდომა იმართება, ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირის წევრად ყოფნა-არყოფნის საკითხს რომ განიხილავს. განაჩენი წინასწარვე გამოტანილი. იქ დამსწრე ყველა მწერალმა იცის, რომ კონსტანტინეს ძე უნდა გაირიცხოს. ისიც კარგად უწყიან, თუ რა მოჰყვება ამ გარიცხვას. ფაქტობრივად, მწერლებმა უნდა გასცენ დაჭერის სანქცია. ახლა არ შევუდგები ამ სხდომის გადმოცემას, ამის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა. ოღონდ აღვნიშნავ, რომ პრეზიდიუმის წევრთაგან არცერთს არ ეყო გამბედაობა, რომ სიტყვა დაეძრა ახალგაზრდა კაცის, მეგობრის და დიდი მწერლის შვილის დასაცავად. მხოლოდ ორი პოეტი - მუხრან მაჭავარიანი და ჯანსუღ ჩარკვიანი, არ დაესწრებია სხდომას და ამგვარად ამ ყოვლად სამარცხვინო მასკარადში არ მიიღებს მონაწილეობას. დანარჩენები კი ერთხმად დაუჭერენ მხარს მის გარიცხვას. ვიცი, მრავალს უჭირდა ხელის აწევა, ტყვიასავით დაუმძიმდათ ხელი, როცა თავიანთი დასტურით ლამის ტყვიაზე იმეტებდნენ ყმაწვილ კაცს, მაგრამ ვერ გაბედეს, შევარდნაძის რისხვის შეეშინდათ, ნეტარი ცხოვრებით გალაღებულნი შოლტს გაურბოდნენ.

ზვიადმაც კარგად იცოდა, რომ განაჩენი უკვე გამოტანილი იყო, მაგრამ მაინც არ კარგავდა იმედს - იქნებ არ გამიმეტონო, მაინც მწერლები არიან, ადამიანის სულის მკურნალნიო. ცდილობდა, თავიც გაემართლებინა და მათაც ხელი დაებანათ ამ ბინძური საქმისგან. არ გამოვიდა...

გაიმეტეს. პირველი ხომ არ იყო ის! რამდენი გაიმეტეს!.. თუმცა, მაშინ 37 წელი იდგა, სისხლიანი, კაცთა მოდგმის შემსანსლავი! ახლა?!

ახლა - შევარდნაძის დრო, 30-იანი წლებისაგან დიდად რომ არ განსხვავდება, ადამიანთა წამებითა და სისხლით ვერდაოკებული!..

ამ სხდომის შემდგომ რამდენიმე დღეში ზვიადს დააპატიმრებენ. მერაბს ვიღა დატოვებდა გარეთ?!

**მზია ბაქრაძე:**

***1991 წლის 21 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოს რადიოში მოვიწვიეთ პირდაპირ ეთერში სასაუბროდ. საქართველოს რადიოს არსებობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ქვეყნის ხელმძღვანელი თავად სტუმრობდა რადიოს, თან პირდაპირ ეთერში, თან წინასწარ დაწერილი ტექსტის გარეშე. მე და ჩემი მეგობრები ვღელავდით, მაგრამ გვჯეროდა, რომ მოვიდოდა... გარეთ კი უკვე სხვა ეპოქა იდგა... საღამოს, ზუსტად დათქმულ დროს -21 საათზე შემოაბიჯა ტელერადიოკომიტეტის ჰოლში თავის დაცვასთან ერთად. ის ისე მსუბუქად და ლაღად შემოვიდა, როგორც ეს თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტს შეეფერებოდა, ჩვენც ასეთივე განწყობით დავხვდით, „მეათე სტუდიაში“ გავუძეხით, სადაც მას ცხელი ყავა, თავისუფალი ეთერი და მთელი საქართველოს ყურადღება ელოდა. 1991 წლის 26 მაისს კი, საქართველოს მოსახლეობა მას პრეზიდენტად აირჩევს.***



ზვიად გამსახურდია:

# ქართველ ერს ჰპირდება თავისუფლება!

**მანამდე ზვიად გამსახურდია იტყვის:**

- ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!

**მზია ბაქრაძე:**

**- ბატონო ზვიად, სანამ სხვა საკითხებს შევეხებოდეთ, მანამდე ხომ არ გვეტყოდით, რას აკეთებდით დღეს?**

- დილით რუსულენოვანი მოსახლეობის დელეგაცია იყო ჩემთან, გრიბოედოვის თეატრის წარმომადგენლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ვისაუბრეთ ძალზე კონსტრუქციულად, საინტერესოდ: შემდეგ წავედი მარნეულში და შევხვდი მოსახლეობას, როგორც ქართველებს, ასევე აზერბაიჯანელებს.

**- როგორია განწყობა?**

- ძალიან კარგი, შედარება არ არის, რაც იყო უწინ და სადღაც ამას მივაწერ ჩვენს სწორ პოლიტიკას არაქართველი მოსახლეობის მიმართ. მოიხსნა ყოველგვარი დაძაბულობა, გაუგებრობები, აქაც და სხვა არაქართულ რაიონებშიც. მე ვთვლი, რომ კარგად მიდის საქმე მარნეულში და სხვა მსგავს რაიონებშიც. მოიხსნა შიში, რომელსაც ნერგავდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეები, რომ ჩვენ არაქართველების მტრები ვართ და მათ გაძევებას ვაპირებთ საქართველოდან და ა.შ. ეს ყველაფერი უკვე ჩაბარდა წარსულს... შემდეგ დავბრუნდი, სხვადასხვა საქმეები იყო... ახლა თქვენთან ვარ სტუმრად...

**- პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, პირველად რა პრობლემების გადაწყვეტას შეუდგებით და რა კანონებს მიიღებთ?**

- მივიღებ იმ კანონებს, რომლებიც უკვე მზადების პროცესშია, კერძოდ, კანონს პოლიტიკური პარტიების შესახებ, კანონს პრესის შესახებ. როდესაც ეს პროექტები განხილული იქნება საჯაროობის სრული დაცვით, მოსახლეობის აზრის სრული გათვალისწინებით, მაშინ ამ კანონებს მივიღებთ. იყო ოპონენტების საყვედურები ჩვენს მიმართ - რატომ სასწრაფოდ არ მიიღეთო, მაგრამ მათ არ უწყიან, თუ რამდენად დიდი სამზადისი სჭირდება თითოეული ასეთი სერიოზული კანონის მიღებას.

**- რადიომსმენელები გვეკითხებიან - საერთაშორისო სამართლის ნორმებით არის თუ არა რაიმე ისეთი კანონი მიღებული, რომელიც რამენაირად ხელს შეუშლის საქართველოს დამოუკიდებლობას?**

- არავითარი ასეთი კანონი არ არსებობს. პირიქით, საერთაშორისო სამართალი მოითხოვს ერთა თვითგამორკვევას. ყოველი ერისთვის საკუთარი ბედის გამგებლობის უფლების მინიჭებას, პირველ რიგში ამას ითვალისწინებს ჰელსინკის ხელშეკრულება.

**- რუსულ ჟურნალში „ნოვოე ვრემია“ ამას წინათ დაიბეჭდა თენგიზ გუდავას მორიგი არასასიამოვნო წერილი: „თავისუფლება სრულწლოვან ასაკამდე“, რომელიც კრემლისა და „კგბ“-ს პოზიციით უფრო არის დაწერილი, ვიდრე საქართველოს კეთილმოსურნე ადამიანისა. მითუმეტეს, ემიგრაციაში მყოფ ქართველს არ შეშვენის მსგავსი პოზიციის დაფიქსირება ახალფეხადგმული, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს მიმართ... იგი ე.წ. ოპოზიციის აზრებს იზიარებს...**

- ესენი არიან კრემლის პროპაგანდისტული მანქანის ჭანჭიკები: **გუდავები, ჭანტურიები, კონზრესები, „მხედრიონის“** წარმომადგენლები და სხვა და სხვა... ჩვენი ღრმა რწმენით, ესენი აშკარად მართულნი არიან. ყველა სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთ პიროვნებებს პასუხისგებაში მისცემდნენ სამშობლოს ღალატისათვის. ადამიანი, რომელიც მიზნად დაისახავს თავისი ერისათვის სახელის გატეხას საზღვარგარეთ და თავისი ერის ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას, ვერ ჩაითვლება სამშობლოს ერთგულად, ამას ერი თავად განსჯის. ჩვენ ზედმეტად დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და სამართლებრივ შეფასებებს არ ვაძლევთ მსგავს გამოხდომებს... პასუხის გაცემა ხდება პრესისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ასეთ მძიმე დროში, როდესაც ქვეყანას მხარში ამოდგომა სჭირდება, არავის ეპატიება სახელის გატეხა ერისათვის.

**- ძალიან ხშირად იგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პროტესტის წერილები, უფრო ხშირად, სამაჩაბლოში არსებული რთული მდგომარეობის გამო, იქიდან კი შესაბამისი რეაქცია ან პასუხი არ არის...**

- რეაქცია იმიტომ არ არის, რომ ჩვენ არა ვართ გაეროს წევრი და გაერო ჩვენ კვლავ მიგვიჩნევს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გეოგრაფიულ პროვინციად, მაგრამ ამ წერილებს მაინც დიდი საპროპაგანდო მნიშვნელობა აქვს, ეს ყველაფერი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს, ამიტომ მაინც აქვს შედეგი. მე ვთვლი, რომ ამერიკის კონგრესის ის დიდი გააქტიურება ჩვენს მხარდასაჭერად - ამითაც არის განპირობებული. ადრე თუ გვიან, გავხდებით გაეროს წევრი...

**- თქვენ იცით, რომ ედუარდ შევარდნაძე აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას და ფართო კონტაქტები აქვს უცხოეთის წამყვან პოლიტიკოსებთან. მისი ამასწინანდელი ვიზიტი ამერიკაში ჯორჯ ბუშთან ყველასათვის ცნობილია. რა როლი შეუძლია შეასრულოს ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში?**

- მას შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი და ეს ყოველივე მის სინდისზეა დამოკიდებული, სინდისზე! **სამწუხაროდ, მან ამ რეფერენდუმში ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას.** ეს შეკითხვა მე მას პირადად დავუსვი და მისგან დუმილი მივიღე, თუმცა კი ის სიტყვიერად აცხადებს, რომ მაინც რაღაცით ცდილობს დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ რეალურ შედეგებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

**- ბატონო ზვიად, რუსეთის საოკუპაციო ჯარი რომ უნდა გავიდეს საქართველოდან - ნათელია, მაგრამ, ალბათ, ეს უნდა მოხდეს თანდათანობით, როგორც ევროპის ქვეყნებში მოხდა...**

- ეს საკითხი სხვა საკითხებთან ერთად უნდა დავაყენოთ გორბაჩოვის წინაშე. მე რატომღაც მგონია, რომ აქ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ადგილი არ ექნება; იმიტომ, რომ ეს მსოფლიოს წინაშე წამგებიანი იქნება.

თუ ისინი ჩვენ გვაღიარებენ როგორც უცხო სახელმწიფოს (როგორც ეს ცხრათა განცხადებაშია), მაშინ ლოგიკური იქნება, გაიყვანონ საოკუპაციო ჯარი საქართველოდან. ადრე თუ გვიან, ეს უნდა მოხდეს მოლაპარაკებების საფუძველზე. ჩვენ ამ მოლაპარაკებისათვის მზადა ვართ და თავდაცვისათვისაც ვემზადებით. გარდა ამისა, თუ საქართველო გახდება გაეროს წევრი, გვეძლევა შესაძლებლობა, გართულების შემთხვევაში გაეროს ჯარების შემოყვანისა.

**- დღეს კინოს სახლთან გავიარე, სანამ ჩვენი გადაცემისათვის ვემზადებოდი. იქ ოპოზიციის მიტინგი იმართებოდა და ლოზუნგი ჰქონდათ გამოტანილი: სასწრაფოდ დატოვონო საოკუპაციო ჯარებმა საქართველო. გეგონება, ვინმეს არ უნდოდეს...**

- სასაცილოა ასეთი განცხადებები და მუქარა ჯარის მიმართ: თუ არ წახვალთ, აქციებს მოვაწყობთ, ვიშიმშილებთ თქვენი შტაბის წინ... ეს არარეალური ამბავია, ჩვენ უნდა დავუცადოთ პოლიტიკურ პროცესებს.

**- რა მდგომარეობაა ამჟამად სამაჩაბლოში, თუ შეიძლება იქ სიტუაციის სტაბილიზაცია?**

- ესეც დამოკიდებულია რუსებთან ჩვენი მოლაპარაკების დაწყებაზე. ცენტრის ძირითადი იარაღი ჩვენი წინააღმდეგ არის სამაჩაბლო. ამით მოსკოვს სურს, რომ გვაიძულოს გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რაც ჩვენ არ გვინდა, მაგალითად, ხელი მოგვაწერინოს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. მაგრამ საბოლოოდ მათ ეს იმედი გადაეწურათ. ახლა უკვე ისეთი ექსცესები აღარ ხდება, თუმცა კი არის ცალკეული უსიამოვნო ამბები. დღეს მომივიდა სოფელ ერედვიდან ცნობა, რომ ერთი პიროვნება, ჩვენი კარგი მეგობარი, დაიკარგა, ერთი კიდევ მკვდარი იპოვეს. თუმცა ფართომასშტაბიანი ექსცესები აღარ არის. სამმხრივი კომისიაა შექმნილი, იგი არჩევნების შემდეგ ამოქმედდება და იმედი გვაქვს, რომ რაღაცას მივაღწევთ სტაბილიზაციის თვალსაზრისით. თუმცა ეს ქრონიკული პროცესი იქნება... იურიდიულად სამაჩაბლოს ჩამოშორება ჩვენგან არავის შეუძლია. ეს საკითხიც (სტაბილიზაციის თვალსაზრისით) გადაწყდება გორბაჩოვთან ჩემი შეხვედრის შემდეგ.

**- რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამერიკის კონგრესის 94-ე რეზოლუციას?**

- ეს არის შედეგი სწორედ იმ ჩვენი ცდებისა საზღვარგარეთ, რომ ყურადღება მოაპყრონ საქართველოს პრობლემებს. ამერიკის კონგრესის თვალსაზრისზე ვერ იმოქმედებს იმ არაკეთილმოსურნე პროვოკატორმა ქართველებმა, რომლებიც იქ აქტიურობენ. დღეს მათ ძალზე ეფექტურად უპირისპირდება, ამხელს აქედან წასული ახალგაზრდა, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ბატონი **ირაკლი კაკაბაძე.** მიუხედავად ამ არნახული ვაკხანალიისა, რაც კრემლის მიერ არის უცხოეთში ინსპირირებული, ამერიკის კონგრესი ჩვენ გვიჭერს მხარს.

**- თქვენს პატივსაცემად იქ, კაპიტოლიუმზე დროშაც კი აღმართეს.**

- იყო ასეთი ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ყოველდღიურად იბრძვიან ჩემს წინააღმდეგ, მათ კარგად იციან კრემლის პროპაგანდის ხრიკები და ილეთები, ამიტომაც არ სჯერათ...

**- ბატონო ზვიად, როგორ შეაფასებთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შეხვედრას ჯორჯ ბუშთან?**

- იცით, ამ შეხვედრას ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ სამწუხაროა, რომ ოფიციალური ამერიკა თავს იკავებს ჩვენი რესპუბლიკების თავისუფლების აღიარებისაგან, მაინც ფრთხილობს და ყოყმანობს, მაგრამ თვით ფაქტი მიღებისა, ეს უკვე ნუგეშის მომცემია. ივნისის მეორე ნახევარში დაგეგმილია ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექნება შეხვედრა ჯორჯ ბუშთან. ამ ვიზიტს კიდევაც რომ არ მოჰყვეს ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული ცნობა (ბუშის ადმინისტრაციის მხრივ), ამას მაინც დადებითი მნიშვნელობა ექნება, ისევე როგორც ბალტიისპირეთის შემთხვევაში.

**- ბატონო ზვიად, გვირეკავენ რადიომსმენელები და მათ რამდენიმე შეკითხვასაც ვუპასუხოთ.**

- მეკითხებიან, რა ხდება მთავრობის სასახლესთან, ამ წუთას იქ არაფერი არ ხდება. მოსულები იყვნენ კონგრესის და მხედრიონის წარმომადგენლები, დაახლოებით სამასი კაცი, ისინი მოითხოვდნენ ჯაბა იოსელიანის განთავისუფლებას და ჩემს მიმართ რაღაც შეურაცხმყოფელ სიტყვებს ყვიროდნენ. ცოტა ხანში დაიშალნენ...

**- პედაგოგი ნელი რობაქიძე გვეკითხება, თუკი რუსეთი სუვერენულ ქვეყნად გვაღიარებს, როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა, განსაკუთრებით პირველი ერთი წლის განმავლობაში?**

- საკმარისია, საბჭოთა კავშირმა გვაღიაროს სუვერენულ ქვეყნად, რომ ქართული ეკონომიკისათვის არნახული პერსპექტივა დაისახება. უცხოეთის ქვეყნებთან დასაკავშირებელი ყველა გზა გაიხსნება, დამყარდება ეკონომიკური კონტაქტები, (ამას უკვე ეყრება საფუძველი). მე ვფიქრობ, თავის რიგზე ლაპარაკი აღარ იქნება...

**- გადაცემის დასაწყისში თქვენ უკვე ბრძანეთ ამის თაობაზე, მაგრამ გვირეკავს აზერბაიჯანელი, ბერძენი და სომეხი მოსახლეობა... გვეკითხებიან, როგორი იქნება არაქართველების მდგომარეობა თავისუფალ საქართველოში.**

- **არაქართველი მოსახლეობა ყოველი თვალსაზრისით ბაცილებით უკეთ იცხოვრებს თავისუფალ საქართველოში, ვიდრე კომუნისტების დროს ცხოვრობდა - უფლებების თვალსაზრისით, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ჩვენი პრინციპი არის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემა.** ჩვენ დავაკანონებთ ამ უფლებებს. უახლოეს ხანში ვაპირებთ კანონის მიღებას ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. მე ძალიან ვთხოვ არაქართველ მოსახლეობას, ნუ იჯერებენ ჩემი მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებულ ცრუ ხმებს, თითქოს ჩვენ რაღაც უარყოფითი გეგმები გვაქვს. ჩვენ რომ ასეთი გეგმები გვქონოდა, განვახორციელებდით მათ მაშინვე, როგორც კი მოვედით ხელისუფლებაში - გასული წლის 28 ოქტომბერს, მაგრამ არაფერი მსგავსი არ ჩანს ჩვენს პოლიტიკაში. ვთხოვ მათ, დამშვიდებულნი იყვნენ და იმედიანად.

**- ჩვენც უმცირესობა ვართ, ქართველები, თავის დროზე სწორედ ამ უმცირესობის დასაცავად დაიწყეთ თქვენ ეს მოძრაობა და არ შეიძლება, რომ თქვენმა პოლიტიკამ სხვა პატარა ერები დაჩაგროს. ქართველებმა საკუთარ თავზე ვიწვნიეთ, რას ნიშნავს დაჩაგვრა.**

- რა თქმა უნდა.

**- რადიომსმენელი რიტა თაქთაქიშვილი გვეკითხება კონგრესის არჩევნების შესახებ. ყველა ამბობს: ხმა არ მიგვიცია, საიდან მოგროვდა ამდენი ხმა, შემოწმდა თუ არა ეს სიები.**

- დიახ, შემოწმდა. ეს იყო ყალბი სიები, არავითარი არჩევნები არ ჩატარებულა, კონგრესი არავის არ აურჩევია. უცხოელი მეთვალყურეები არ ესწრებოდნენ, არჩევნები გრძელდებოდა რამდენიმე დღე, ეს ცნობილია საყოველთაოდ...

**- ბატონო ზვიად, საინტერესო იქნებოდა, გაგვიხსენებინათ რაიმე თქვენი დისიდენტური წარსულიდან, როგორ გდევნიდათ სუკი, როგორ ავიწროებდნენ თქვენს ოჯახს. თითქოს ნაწილობრივ იცის ეს საზოგადოებამ, მაგრამ დეტალების გახსენება მაინც საჭიროა.**

- დეტალები ნამდვილად არ იციან. ამას, ალბათ, ერთი ტომიც ვერ დაიტევს. ძალიან ძნელად წარმოსადგენია დღევანდელი ადამიანისთვის ის, რაც ხდებოდა ჩემს გარშემო. ფაქტიური შინაპატიმრობა, ეს რასაკვირველია ოფიციალურად არ ცხადდებოდა. ჩემს სახლთან 24 საათი ყარაულობდნენ ოპერატიული მანქანები, ყველგან დაგყვებოდნენ, აფიქსირებდნენ ყველა შენს ნაცნობს, ვისაც შეხვდები, დაელაპარაკები, სადაც მიხვალ და შემდეგ ამ ხალხის ტოტალური დარბევა იწყება. ნამდვილი ტერორი იყო გამოცხადებული იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვისაც ჩემთან რაიმე კავშირი ჰქონდა. ასე რომ, ქუჩაში გამვლელნი ან ჩემს სამსახურში, ადამიანების გამარჯობის თქმაც კი ეშინოდათ. ლიტერატურულ ან სამეცნიერო საქმეზე დავდიოდი სულ რამდენიმე ადგილას. ისინიც კი გაფრთხილებულნი იყვნენ - არ გაეცათ ჩემთვის ხმა... იყო შემთხვევები, როდესაც მიდიოდი დაწესებულებაში, ჩამოვარდებოდა ხოლმე სამარისებური სიჩუმე. თავდაპირველად ვერ ვხვდებოდი, რაში იყო საქმე, შემდეგ უკვე იძულებულნი გახდნენ ეთხოვათ, - ნუღარ მოხვალ ჩვენთან, იმიტომ, რომ გვარბევენ, გვხსნიან სამსახურიდანო. მეც იძულებული ვიყავი, აღარ მივსულიყავი. თუ, ვთქვათ, რედაქციაში რაიმე მქონდა მისატანი, მე კი არ მივდიოდი, სხვას ვატანდი. რაც შეეხება ოჯახს და შვილებს, იძულებული ვიყავი, ბავშვები გამომეყვანა სკოლიდან, ვინაიდან საშინლად იდევნებოდნენ. შექმნილი იყო ჯგუფები, ბანდები, რომლებიც ბავშვებს ავიწროებდნენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ახლაც კი ჰქონდა. იგივე არ ხდება, მაგრამ გარკვეული უსიამოვნებები მაინც არის. ვფრთხილობთ, თქვენ იცით, რომ ჩვენ კომუნისტური რეჟიმი გავაუქმეთ, მაგრამ აგენტურა მაინც მოქმედებს, კრიმინალებად არიან შენიღბულნი. მათი საფრთხე კიდევ არსებობს, ეს იმავე ძალისაგან მომდინარეობს, იმავე ცენტრისაგან.

ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო. ავარიების მოწყობის მცდელობები, ე.წ. ხულიგნების თავდასხმები ჩემს სახლზე - ამას სისტემატურად აკეთებდნენ. მიზანი კი ერთი იყო - გამოვსულიყავი წყობიდან და ისეთი რამ ჩამედინა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავესავით გავესამართლებინე.

**- ბატონო ზვიად, უფრო ხშირად ახსენებენ ხოლმე მამათქვენს - ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას, ბუნებრივიც არის... მაგრამ დედას - ქალბატონ მირანდას, ნაკლებად...**

- დედა ქველმოქმედი ადამიანი იყო და ნიადაგ სხვებზე მზრუნველი, საოცარი ალტრუისტი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, საკუთარი ჯანმრთელობაც კი შესწირა სხვა ადამიანების სამსახურს, სხვების კეთილდღეობას. არასოდეს ფიქრობდა თავის თავზე, თითქოს ყოველივე ამას მეც შთამბეჭდავდა. მახსოვს, დასასვენებლად ვიყავით ზაფხულში, სანატორიუმში (მე ბავშვი ვიყავი), მთელი ზაფხული გაიუფერულა იმით, რომ უვლიდა ერთ უპატრონო ავადმყოფ მრეცხავს, დადიოდა მასთან, წამლები მიჰქონდა... გასაკვირია, მაგრამ თავად სანატორიუმის პერსონალი ამ მრეცხავს ახლოს არ ეკარებოდა, ისე იყო დაავადებული. ასეთი იყო დედა მთელი სიცოცხლე. საოცარი დემოკრატი, საოცარი... უბრალო. ადამიანების შემწე და ქომაგი, მოყვარული, ეს იყო მთავარი მასში.

**- რა გაძლევდათ ძალას ყველაზე უიმედო, ტერორის წლებში ისევ საქართველოს საქმე გეკეთებინათ?**

- რწმენა! ხშირად მახსენდებოდა მამაჩემის ნათქვამი: „როგორც XIX საუკუნე იყო საუკუნე პიროვნების საბოლოოდ განთავისუფლებისა, ასევე XX საუკუნე არის საუკუნე ერების განთავისუფლებისა! იცოდე, რომ საბოლოოდ ერები განთავისუფლდებიან და საქართველოც განთავისუფლდება ამ საუკუნის ბოლომდე“, - აი, ამას შთამაგონებდა ყოველთვის და ეს გამომდინარეობდა საერთოდ ისტორიის ლოგიკიდან. ეს ძალიან დიდ ძალას მაძლევდა, ამის რწმენა! მაშინ, ბუნებრივია, იყო უიმედობა, ისეთი ატმოსფერო და ისეთი სასტიკი დიქტატურა და ტერორი სუფევდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა ამ ტენდენციამ, როგორც ხედავთ, ეს არის ერების განთავისუფლების საუკუნე.

**- ღვთის შეწევნით და თქვენი მეცადინეობით. ვინ გეხმარებოდათ იმ ძნელბედობის ჟამს?**

- ბევრი აღარც არის ცოცხალი. ბევრი შეეწირა ამ ურჩხულთან ბრძოლას. ის ძალა, ის სისტემა ხშირად პირდაპირი ტერორით არ ანადგურებდა ხალხს, მორალურ ტერორს მიმართავდა, ათასგვარ ფარულ მეთოდს. ბევრი დაიღუპა და, რაც მთავარია, აღარ არის ჩემი უახლოესი სულიერი მეგობარი და სულიერი ძმა მერაბ კოსტავა. ვინც შემორჩა, არ არის დასამალი, ზოგი გატეხეს კიდევაც; შეიძლება ითქვას, გადამიდგნენ... სხვადასხვა მიზეზით მოხდა ეს... ზოგი ანგარებით გადამიდგა.

მე დავასახელებ ერთ-ერთ ჩემს ერთგულ თანამებრძოლს, რუსთავის პრეფექტს **თემურ ჟანელიძეს.** იგი ჩემი და მერაბ კოსტავას გვერდით იდგა, გვეხმარებოდა და დიდი წვლილი აქვს ეროვნულ მოძრაობაში. თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრს, ვინც მაშინ მეხმარებოდა, დღესაც კი არ სურთ, რომ მათზე ღიად ვილაპარაკო (ისეთი ტრავმა და ისეთი საშინელი ცხოვრება გაიარეს). უნებართვოდ შეიძლება გამიჭირდეს კიდეც მათი დასახელება. მართალია, ოფიციალურად გავაუქმეთ, მაგრამ დრაკონი კვლავ ცოცხალია და ისევ მოქმედებს!..

**- ჩვენ ახლა მოვუსმინოთ მერაბ კოსტავას ხმის ჩანაწერს. 1989 წლის 9 აპრილს წარმოთქვა ეს სიტყვა ტელევიზიასთან...**

- მერაბი ძალიან დააკლდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, საქართველოს დააკლდა. საქართველო, ალბათ, სხვა იქნებოდა დღეს, მერაბი რომ გვყოლოდა გვერდით. ჩვენი ბრძოლა!.. ეს დიდი გოდოლი შემუსრა მტერმა, ბურჯი და იმედი ჩვენი, საოცარი შემართების კაცი. მართლაც, აი, იმ ძველი ქართველი გმირების დღევანდელი განსახიერება.

**- ბატონო ზვიად, კვლავ გვირეკავენ რადიომსმენელები... ერთ-ერთი შეკითხვა ასეთია: რა მდგომარეობაა დღეს ჯავახეთში?**

- ჯავახეთში არის გარკვეული უპასუხისმგებლო ელემენტების არამართლზომიერი მოქმედება. ცდილობენ იქ ხელისუფლების უზურპაციას, დაპირისპირებას ჩვენთან; ჩვენ ვგმობთ ამას, იმიტომ, რომ არ გვინდა, ჩვენი ისტორიული მეგობრობა სომეხ ხალხთან შეიბღალოს და რაღაცით ჩრდილი მიადგეს ყოველივე ამას. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ, დიპლომატიური და სხვა საშუალებებით ჩავაცხროთ ეს ვითარება.

ვხედავ, ერთ რადიომსმენელს ლექსიც კი გამოუგზავნია. დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ერთ რამეს ვთხოვ ამომრჩევლებს, წინა არჩევნებში - 28 ოქტომბერს, ძალიან ბევრ ბიულეტენზე, სადაც ჩემი გვარი იყო შემოხაზული, იმ უბანში, სადაც მე კენჭს ვიყრიდი დეპუტატად, იმის გამო, რომ ბიულეტენებზე დააწერეს ჩემდამი მოძღვნილი ლექსები (იცინის) - ეს ბიულეტენები გაუქმდა. ვის არ ახარებს მისდამი მიძღვნილი ლექსი, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი ზიანი მომაყენეს. დაახლოებით 1200 ბიულეტენი ბათილად ცნეს (ეს მოხდა ნუცუბიძის პლატოს საარჩევნო უბანზე).

**- ძალიან რთულია პოლიტიკური მოღვაწისათვის ყველა ქრისტიანული მცნების დაცვა. დიდი ხანია საქართველოს არ ღირსებია ქრისტიანი წინამძღოლი... როგორ ახერხებთ ამას პირადად თქვენ, როგორც მორწმუნე ადამიანი, როგორ უმკლავდება ამას თქვენი სული?**

- მაქსიმალურად ვცდილობ, რამე ისეთი სისასტიკე არ ჩავიდინო, ან ანტიადამიანური კანონი, ან ქმედება. ერთმა კანდიდატმა დაგვაბრალა, თითქოს ჩვენ ვმალავთ სიკვდილით დასჯის სტატისტიკას. არც ერთი ადამიანი არ დასჯილა სიკვდილით მას შემდეგ, რაც მე მოვედი ხელისუფლების სათავეში. კანონით მრავალი დანაშაულისათვის გაუქმდა სიკვდილით დასჯა. ვისაც უყვარს ხოლმე ჩემი პიროვნების შედარება სადამ ჰუსეინთან - ეს გაითვალისწინოს *(იცინის).*

**- არა მხოლოდ პურითა ერთითა ცხონდებისო ადამიანი, ნათქვამია, და, ქართველი ერიც სარწმუნოების, სახარების, ქრისტესმიერი პურით უნდა ცხონდეს. როგორც მორწმუნემ და ქრისტიანობის ღრმად მცოდნემ, ქართველ ხალხს ქრისტეს მიერ ხუთი პურის გამრავლების სასწაულზე, მის მნიშვნელობაზე და მის ღვთიურ არსზე უთხარით...**

- ამ იგავს არ უყურებენ სერიოზულად, მარტო განყენებული ჰგონიათ. არადა, უაღრესად ცხოვრებისეული ამბავია და ამას ადასტურებს ყველა, ვისაც განუცდია ლოცვის ძალა, იცის, რა არის ლოცვა და სულიერი პური. მე გავიხსენებ ჩვენი ოჯახის ახლობელი ადამიანის, პოლიტპატიმრის, გულაგის წამებული ადამიანის - **რაფიელ ნიჟარაძის** მონათხრობს. გადასახლებაში მასთან იყო ერთი მეპურე კახელი კაცი. ისეთი შიმშილი იყო ბანაკში, რომ პურის ნამცეცების შოვნა დიდი ბედნიერება იყო! პატიმრების ჯგუფი, როგორც კი იშოვიდა პურის ნარჩენებს, ამ მეპურეს სთხოვდა, ხელახლა გამოეცხო პური. მეპურე გამოაცხობდა პურს, თავად არ ჭამდა, დაურიგებდა პატიმრებს და იტყოდა: წავალ, ვილოცებ და დავნაყრდებიო. პატარა მთაზე ავიდოდა, თურმე, ილოცებდა, ჩამოვიდოდა, იყო მაძღარი. ამას სისტემატურად აკვირდებოდა რაფიელი. ეს კაცი ადასტურებს, რომ ეს მართლაც ასე ხდებოდა. შემდეგ უკვე, როცა ციხეში მოვხვდი, ხშირად ლოცვას ჩემთვის შეუცვლია საჭმელ-სასმელი. რწმენით შეიძლება იცხოვროს კაცმა და რწმენამ და ლოცვამ შეიძლება შეცვალოს ფიზიკური საზრდელი. ამიტომაც არის სახარებაში ნათქვამი: ნუ ზრუნავთ, რა შეიმოსოთ, რა ჭამოთ, რა სვათ, ეძიეთ სასუფეველი ღვთისა და ესე ყოველი მოგეცეს თქვენ. ამაშია ქრისტიანობის არსი და ეს მარტო ცალკეულმა ინდივიდმა კი არა, ერმა უნდა გაითვალისწინოს. მთავარია, უფლის სასუფევლის ძიება და დანარჩენი ყველაფერი მოგვეცემა. ხოლო როდესაც მხოლოდ დანარჩენზე ვფიქრობთ და უფლის გზაზე - არა, მასაც დავკარგავთ, რაც გვაქვს. აი, ეს არის ქრისტიანობის არსი.

**- რას ჰპირდებით ქართველ ერს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში?**

- მოკლედ ვიტყვი: ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!

**- არ შემეძლო, რომ ბატონი კონსტანტინეს „მთვარის მოტაცებიდან“ ერთი იგავი არ გამეხსენებინა. ლუკაია ლაბახუა თარაშ ემხვარს უამბობს: „მე ერთი ამბავი უნდა გიამბო, შურიგე, - დაიწყო ლუკაიამ, - თორმეტი კაცი მდგარა თურმე ერთ მაღალ, ძლიერ მაღალ ხის ქვეშ. მათ შორის თერთმეტი ბრმა ყოფილა და ამ ერთმა თვალხილულმა შეამჩნია ამ ხის ზეთავზე ცისფერი ფრინველი იჯდა, ტურფა რამ ნაკრტენით მოსილი, სახილველად საშური იყო ფრინველი იგი, მაგრამ დანარჩენნი ვერ ხედავდნენ მშვენებას მისას. თვალხილული ალუტაცნია იმა ფრინველის შეპყრობის წადილს, მაგრამ ვაგლახად კოჭლი ყოფილა კაცი იგი დედის საშოდანვე, ხე მაღალი იყო, ქაცვებიანი. არც თუ კიბე სჩანდა სადმე. მაშინ უქადაგა კოჭლმა ბრმებს, დაიყოლია, კაცი კაცზე შემდგარიყო და მეთერთმეტეს თავად ზედ მოექცეოდა. და როცა კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმა, მეთერთმეტეს შეადგა ფეხი, სულ ქვევით მიწაზე მდგარმა ზევიდან დათვლით, კაცმა უკანასკნელმა, არ ინდომა თერთმეტივე სულის ტვირთვა. წაიქცა მაშინ განგებისად კაცი იგი უკანასკნელი და ცოცხალი კიბეც ძირს დაინარცხა. თვალხილულმა ხელი ააცდინა იმ საოცარ არსებას, ხის წვერზე შემომჯდარს და ხელშეუხები გაფრინდა თურმე იგი ფრინველი“. „რად ამბობ ამას, ლუკაია“, - შეეკითხა თარაშ ემხვარ. „ისე, ჩემთვის ვამბობ“.**

**ბატონო ზვიად, მე რაღაცით ეს იგავი ჩვენს დღევანდელ სიტუაციას მაგონებს.**

- ჭეშმარიტად. აი, იმ კაცს, ვინც დაბლა დგას, დიდი გამძლეობა უნდა და დიდი ძალა. უმადურობა ზოგჯერ სახიფათოა, შეიძლება ძალა გამოაცალოს. საბოლოოდ, მადლიერება და კეთილი ნება ჩვენი ერისა სძლევს, ეს მაძლევს ძალას.

**- უღრმესი მადლობა.**

- გმადლობთ თქვენც.

*ესაუბრა მზია ბაქრაძე*

*იბეჭდება შემოკლებით*

რეპორტაჟი ისტორიული მოვლენის ეპიცენტრიდან

# მცხეთაში პომპეუსის ხიდს რომ მიადგა კუბო, ქარი ამოვარდა უცაბედად და დროშები აათამაშა




**ქრისტეს დიდებით შესვლას იერუსალიმში მართლმადიდებელი ქრისტიანები ბზობას უწოდებენ, ხოლო „ახალი იერუსალიმიდან“, ანუ მცხეთიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტის მთაწმინდაზე დაკრძალვას ზვიად გამსახურდიას ალმასვლა ჰქვია...**

საქართველოს ისტორიაში მე ვერ ვიხსენებ ვერცერთ ხელმწიფეს, რომელიც ასე აგდებულად, უპატივცემლოდ დაეკრძალოს სახელმწიფოს, მაგრამ მისთვის ამდენი ცრემლი და ნაღველი ჩაეყოლებინოს სამარეში ქართველ ერს!..

როცა ეგვიპტის ფარაონის - **რამსეს მეორის** მუმია საფრანგეთში ჩაიტანეს, საფრანგეთის ხელისუფლებამ ძველთაძველი მსოფლიოს ამ მართლაცდა უნიჭიერეს მხედართმთავარს, პატივისცემის ნიშნად, ალლუმი გაუმართა, მაგრამ **არ გაინტერესებთ, როგორ მოექცა ზვიად გამსახურდიას ქართული სახელმწიფო?**

**ვიდრე ცოცხალი იყო, ჰაუბიცებით დასდევდნენ მოსაკლავად და ჩვენმა სახელოვანმა „სტრატეგოსებმა“ საიდან და რა აღარ ესროლეს ზვიადს, მაგრამ როცა გამსახურდია მოკვდა, მისთვის ზარბაზნების კანონადებზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთი ტყვიაც კი არ გაასროლინეს ჯარისკაცებს, ისე მიაჩუმათეს, მიაყურისძირეს და დაამთავრეს ყველაფერი, თითქოს საქართველოს პრეზიდენტს კი არა, ვილაც უთვისტომოს, ყარიბსა და დერვიშს მარხავდა.**

თუმცა, ზვიადის ძვლებს ახსოვს **1994 წლის 24 თებერვალი, როცა გმირმა ჩეჩენმა ერმა და პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა მეფური პატივით მიაბარა იგი იჩქერიის მიწას** და გამსახურდიას სამხედრო ალლუმი გაუმართა...

**ზვიად გამსახურდიას ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში აჩქარებდნენ...**

შეიარაღებული ქართული ბანდფორმირებები, ანუ ე. წ. ოპოზიცია მისგან სასწრაფოდ ითხოვდა **„ჯერ დემოკრატიას და მერე - თავისუფლებას“**... ქვეყნიდან განდევნილს, სამშობლოში დაბრუნებას აჩქარებდნენ ჯერ კიდევ 1993 წელს... ხოლო 2007 წლის 28 მარტს, ღამის 2 საათზე, როცა ცოტნე გამსახურდია მამის ძვლებით მოადგა დარიალის ხეობას, **სააკაშვილის ხელისუფლების სამედიცინო მანქანებმა კიდევ ერთხელ ააჩქარეს გამსახურდია და ქარზე უსწრაფესად გაიტაცეს პირველი პრეზიდენტის ძვლები.**

ამბობენ, რეანომობილმა, რომელშიც ზვიადის ცხედარი განისვენებდა, მცხეთიდან რომ აიწყვიტა, საათში 150 კილომეტრი სიჩქარით შემოვარდა თბილისში, **რათა გზაზე მანქანების კოლონა არ წარმოქმნილიყო და ახალ რევოლუციაზე თუ ე. წ. „ცეცხლოვან რკალზე“ ფიქრი სიზმარშიც კი ვერავის გაებედაო!..**

სხვათაშორის, მანქანების ერთობლიობის, ანუ ავტოკოლონის წარმოქმნას ათასგვარი ბინძური მეთოდებით ეწინააღმდეგებოდა მცხეთაში საგანგებოდ გადმოსროლილი პოლიცია, რომელიც ზვიადის დაკრძალვის დღეს მანქანებს ხელოვნურ ბარიერს უქმნიდა და თბილისისკენ არ ატარებდა...

**მაინც როგორ ჰყვარებია ხალხს ზვიად გამსახურდია და როგორ მონატრებია საქართველოს თავისი პირველი პრეზიდენტი!..**

**მცხეთაში პომპეუსის ხიდს რომ მიადგა კუბო, ქარი ამოვარდა უცაბედად და დროშები აათამაშა...**

მაღლიდან ზვიადი მთები გადმოგვცქეროდნენ და კიდევ ის უამრავი ადამიანი, რომლებიც სამშობლოს მწვერვალებზე მოკალათებულნი შინდისფერ დროშებს აფრიალებდნენ.

საყვირების გაბმული ხმა არ წყდებოდა, მოსრიალებდა ავტომანქანების დაუსრულებელი კოლონა დიღმის ტრასაზე და არ თავდებოდა ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული უბრალო ადამიანების რიგი... **თითქოს ცალკეულ კოჰორტებად გამოსულიყვნენ ისინი ქუჩის პირას და ტიროდნენ... ტიროდნენ კაცები, ტიროდნენ ქალები, ტიროდნენ ბავშვები...** მუშტად შეკრული მარჯვენა მაღლა აღემართათ და ზვიადის პლაკატები გულში ჩაეკრათ.

ბედნიერია საქართველო, რომ ასეთი შვილი ჰყავდა!..

აკი საქართველო აპლოდისმენტებით უხდიდა კიდეც მადლობას ზვიადს!..

**გამსახურდიას სიდიადემ ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტიც კი გააყუჩა... როცა პარლამენტის წინ დასვენებულ კუბოსთან სააკაშვილი გატრუნული იდგა, ათეულ ათასობით ადამიანი რუსთაველის პროსპექტზე პატივცემული მიხეილის გასაკვირად სჭექდა, - „ზვიადი!“, „ზვიადი!“**

ასეთი წყნარი სააკაშვილი მე დიდი ხანია, არ მინახავს...

არც ხალხის ჯარი მინახავს ესოდენ მრავალრიცხოვანი...

**დიტო ჩუბინიძე**




**დღეს არ შევჩერდები იმ მომენტებზე, თუ რატომ ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია გროზნოდან ზუგდიდში 1993 წლის 24 სექტემბერს, ვინ შეუთვალა რამდენიმე დღით ადრე, არ ჩამოსულიყო სამეგრელოში, რატომ იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი თავისი მეგობრისა და მასწავლებლის საქართველოში წამოსვლის წინააღმდეგი, რა ინფორმაციას ფლობდა იგი და რა უთხრა გამომგზავრების წინ მან გამსახურდიას, ვინ დაიქირავა თვითმფრინავი და ვინ შეუთანხმა რუსეთის აერონავიგაციის ხელმძღვანელობას იმ თვითმფრინავის ხელშეუხებლობა, რომლითაც გამსახურდია მგზავრობდა, ვინ გამოჰყვა მას გროზნოდან და, საერთოდ, იმაზე, თუ რატომ მიიღო ზუგდიდში გამართულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომამ გადაწყვეტილება კანონიერი პრეზიდენტის საქართველოში უპირობო დაბრუნების თაობაზე.**

მე ვთვლი, რომ გამსახურდიას მომხრე პარლამენტარებმა, ნებსით თუ უნებლიეთ, **დაუშვეს სავალალო შეცდომა,** როცა პრეზიდენტს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენეს, დაბრუნებულიყო ზუგდიდში და იქიდან დაეწყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პროცესები. საქართველოს სიყვარულით სავსე ზვიადისათვის ყოველივე ეს ეგზომ მაცდური და ამასთან ერთბაშად ასატაცებელი წინადადება აღმოჩნდა. თუ ამის მერეც იგი არ ჩამოვიდოდა საქართველოში, გამოვიდოდა, რომ საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას უგულებელყოფდა და მშიშარა კაცის არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ზუგდიდში ჩამოსვლა დიდ რისკთან რომ იყო დაკავშირებული, ეს, უპირველესად, ზვიად გამსახურდიამ იცოდა. მაგრამ მან უკან არ დაიხია. პირიქით, **სამშობლოდანატრებულ გამსახურდიას ერთი სული ჰქონდა, ჩამოსულიყო ზუგდიდში, მოეხდინა საჯარისო ფორმირებების გაერთიანება და კონსოლიდირება, ერთიანი ფრონტით შეეტიათ აფხაზ სეპარატისტებისა და მათ უკან მდგარი რუსი სამხედროებისათვის, რათა ხელიდან გამოეგლიჯათ ჩვენი მიწა-წყალი.** არადა, ზვიადს მართლაც შეეძლო ქუდზე კაცის გამოყვანა და სოხუმის გადასარჩენად თავდადებაც. თქვენ წარმოიდგინეთ, შევარდნაძის დაქვემდებარებული საჯარისო შენაერთების ხელმძღვანელებიც კი მზად იყვნენ ზვიადის სარდლობით გაეგრძელებინათ ბრძოლა აფხაზეთის გადასარჩენად. დღეს არ ვაპირებ გავიხსენო ის დეტალები, რაც ოჩამჩირის სამხედრო შტაბში მოხდა, არც იმ დაზავების დოკუმენტს მოვიხმობ, რომელზეც შევარდნაძის მაღალჩინოსნებმა მოაწერეს ხელი. **ოჩამჩირიდან ზუგდიდისაკენ მომავალ საქართველოს პრეზიდენტს გზაში წამოეწია სოხუმის ჩაბარების ამბავი.** შევარდნაძე სასწრაფოდ გამოიქცა სოხუმიდან და ამით სისხლით და მახვილით მოპოვებული სკამი გაიმყარა. **შევარდნაძემ იცოდა, რომ, თუ ზვიადი ბრძოლას უხელმძღვანელებდა, აფხაზეთი არ დაეცემოდა, მტერი უკან დაიხევდა, სამაგიეროდ, გამარჯვებული ზვიადი საქართველოში კანონიერ ხელისუფლებას აღადგენდა.** სწორედ ამით შეშინებული და დაზაფრული პუტჩისტები ყალყზე შედგნენ და სამტრედიაში საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს. შევარდნაძის ბრძანებით, სოხუმის დაცემის მეორე დღესვე, **1993 წლის 28 სექტემბერს, საქართველოს ციხეებიდან და საპატიმროებიდან გამოუშვეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებული პირები, ქილერები და ნასედკები, რომლებიც ქართველების გასაწყვეტად იარაღით ხელში სამტრედიაში ჩაიყვანეს.** შევარდნაძისა და საქართველოს მტრების მიერ შედგენილმა გეგმამ მოქმედება დაიწყო. კვლავ უნდა დაღვრილიყო ქართველის ხელით ქართველის სისხლი, რომელიც აუცილებლად ზვიად გამსახურდიას დაბრალდებოდა. იმდროინდელ **საქართველოს ტელევიზიას მიეცა დავალება, დიდი მგზნებარებით გაევრცელებინა ინფორმაცია აფხაზ სეპარატისტებთან გამსახურდიას კავშირებზე.** მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით, **გურამ აბსანძემ** *(ამ დროისათვის მან აიღო ხელში პრემიერ-მინისტრის, ფინანსთა მინისტრის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციები)* შევარდნაძის სპეცსამსახურებისა და ბანდფორმირებებისგან მოსალოდნელი საშიშროებისა და აფხაზებთან სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვის ეგიდით ზვიად გამსახურდია მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფთან ერთად აფხაზეთის ტერიტორიაზე, უფრო სწორად, სამურზაყანოში, ილორში, გადაიყვანა. უბრალო ადამიანებმა იქ ჩასულ ზვიად გამსახურდიას ღირსეული დახვედრა მოუწყვეს. **გამსახურდია 26 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე ტუმბას ოჯახში ცხოვრობდა. გურამ აბსანძე** პრეზიდენტს ეუბნებოდა, როგორც კი ერთობლივ დოკუმენტს მოაწერთ ხელს, პრობლემები უმალვე მოგვარდებაო. რა დოკუმენტზე ესაუბრებოდა აბსანძე პრეზიდენტს? როცა შეხვედრა შედგა და გამსახურდიას აფხაზებმა შესთავაზეს კონფედერაციაზე ხელისმოწერა (ამ დოკუმენტით აფხაზეთი ხდებოდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა), ზვიადმა კატეგორიული უარი განაცხადა ყოველგვარ გარიგებაზე და იძულებული გახდა, ილორი დაეტოვებინა.

მთელი კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ საქართველოში ზვიადის ჩამოსვლამდე, **მოსკოვში, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბში გურამ აბსანძემ გაიარა ინსტრუქტაჟი, რომლის მიხედვითაც, გამსახურდიას გროზნო უნდა დაეტოვებინა, შემდეგ კი, როცა ზვიადი სამეგრელოში იქნებოდა, მისთვის დახმარების მიზნით, სამეგრელოში აფხაზეთიდან უნდა გადაეყვანა ჩეჩენ ბოევიკთა ბანდები.** ვინ იყვნენ ის ჩეჩნები, რომლებიც **აბსანძემ** ზუგდიდში მხოლოდ რამდენიმე საათით შემოიყვანა? ისინი **ჯოხარ დუდაევის** ოპოზიციაში მყოფი მთიელ ხალხთა კონფედერაციის ავაზაკები და ბანდიტები იყვნენ. ჩემი აზრით, **ეს იყო დიდი, გამიზნული პროვოკაცია ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით.** ვფიქრობ, ეს ნიუანსი ძალზედ მნიშვნელოვანია და თუ ამ მიმართებით ოდესმე დაიწყება კომპეტენტური და საფუძვლიანი გამოძიება, აუცილებლად აეხდება ფარდა **გურამ აბსანძის „ღვაწლს“ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ განხორციელებულ მზაკვრულ შეთქმულებაში.** აქვე მინდა შევნიშნო, რომ **ერთადერთი პიროვნება, რომელმაც თავი აარიდა ჩემთვის ინტერვიუს მოცემას, ეს გურამ აბსანძეა.** მე მას ხშირად ვეხმიანებოდი და ვახსენებდი მოცემულ პირობას ინტერვიუსთან დაკავშირებით, თუმცა, ის ისე გაუჩინარდა საქართველოდან, რომ შეხვედრა არ შედგა. **„ვარდების“ ხელისუფლებაში თავის დროზე შემძვრალ გურამ აბსანძეზე, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, საკმაოდ ნეგატიური აზრი ჩამოუყალიბდათ დღევანდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებსაც. ახლა მივყვეთ იმ გზას, რომელიც ზვიად გამსახურდიამ ტანჯვითა და წამებით გაიარა 1993 წლის 5 ნოემბრიდან დეკემბრის ბოლომდე.**

**1993 წლის 5 ნოემბერს ღამის 12 საათზე,** ზვიად გამსახურდია და მისი მცირერიცხოვანი გარემოცვა ოთხი მანქანით რუხის ხიდისკენ გამოემართა. მოადგნენ ენგურს გაღმა მხრიდან. გზების შემოწმებისა და დაზვერვის შემდეგ გადმოიარეს რუხის ხიდი და 200-300 მეტრში აუყვნენ **ჯვარის ხეობას.** პირველი, სადაც შეჩერდნენ, ეს **ზედა ეწერი** იყო, რომელსაც სვანების დასახლებას უწოდებენ. ხერგიანის ქუჩაზე გაჩერდნენ. სწორედ აქედან გაუჩინარდა **გურამ აბსანძე,** რომელიც მანქანაში ჩაჯდა და ისე გაქუსლა, რომ მეორე მანქანით დადევნებულმა დაცვის წევრებმა მის გზა-კვალს ვერ მიაგნეს. **ამის მერე გურამ აბსანძე გამსახურდიას აღარ უნახავს.** ყველგან პიკეტები იდგა, ამიტომ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დაცვის რამდენიმე წევრთან ერთად სვანეთის მიმართულებით წავიდნენ. **ხოკოს ულელტეხილზე** სვანეთიდან გადმოსული ბიჭები დახვდნენ პრეზიდენტს. მათ სვანეთში გადასვლა შესთავაზეს, რაზეც პრეზიდენტმა კატეგორიული უარი განუცხადა. სვანები მესტიაში გადასვლის შემთხვევაში, ვერტმფრენის შოვნასა და გროზნოში გადაყვანას სთავაზობდნენ ზვიადს. მაგრამ მას საქართველოდან წასვლა აღარ უნდოდა. **ხოკოს ულელტეხილიდან ჯვარისკენ გაემართნენ.** დაბა ჯვართან, 5 კილომეტრში შეჩერდნენ, **6 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ზვიადი ჩქვალერის გამგებლის ოჯახში მიიყვანეს.** იქ მას დახვდა **წალენჯიხის გამგებელი ზურაბ გუჩუა,** რომელმაც არსებული საშიშროების შესახებ უამბო პრეზიდენტს და უთხრა, რომ აქ მისი გაჩერება საშიში იყო, ვინაიდან მისი ცოცხლად აყვანისთვის შევარდნაძის ბანდები დაძრწოდნენ. მეორე დღეს, უთენია, ხუთი საათის სავალზე წავიდნენ ჩქვალერის ტყეში, სადაც მწყემსი ვანიჩკა დახვდათ. ვანიჩკასთან მყოფ პრეზიდენტს კვლავ საშიშროების შესახებ მოახსენა **ზურაბ გუჩუასთან მოსულმა კაცმა.** იმავე საღამოს **პრეზიდენტი, ბესარიონ გუგუშვილი, დაცვის სამ წევრთან და ზურაბ გუჩუასთან ერთად ფიფიების დასახლებაში მივიდნენ.** სწორედ ამ დღეს, ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა **ენგური** გადაცურეს. წარმოიდგინეთ, როგორია ნოემბრის ცივ და ავდრიან ამინდში მთის სწრაფ და გაყინულ წყალში შესვლა და მეორე მხარეს გადასვლა. სველი ტანსაცმელი თითქმის ზედ შეშრობია ამის მერე პრეზიდენტს, ისევე როგორც სხვებს. ამის მერე მივიდნენ **სოფელ მუჟავაში, „წრუწუნას“ ოჯახში.** სწორედ ამ ოჯახში დახვედრია გამსახურდიას **ბადრი ზარანდია,** რომელმაც თავის ბანაკში თითქმის ძალდატანებით წაიყვანა მდევარადევნებული პრეზიდენტი და მისი გარემოცვა. **14 ნოემბრამდე პრეზიდენტი მუჟავას ხეობაში იყო ათასი ჯურის შეიარაღებულ, უცხო პირთა გარემოცვაში, რომლებიც ბადრი ზარანდიას მომხრეები იყვნენ.** ბადრი ზარანდია, ისევე როგორც ზურაბ გუჩუა, გეგმაზომიერად და საკმაოდ ხშირად ახსენებდა პრეზიდენტს, რომ მისი ადგილსამყოფელი გაყიდული იყო, რომ მისი ცოცხლად ჩაგდება სურდათ ხელში და ამიტომ ეს ბანაკი პრეზიდენტს უნდა დაეტოვებინა. მაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის იქ მოსვლამდე გია გულუა სტუმრობდა ბადრი ზარანდიას ბანაკს. სხვათაშორის, მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთხსენებულ **„წრუწუნას“ ოჯახში პრეზიდენტს ორი ჭიქა ღვინო დაულევია და მაშინვე დასძინებია.** წარმოიდგინეთ, ზარანდიას ბანაკიდან, პრეზიდენტი და მისი მეგზურები კვლავ ფეხით დასდგომიან ტყიან ქედებსა და მთებს და 5 საათი ფეხით სიარულის მერე ფაცხას შეფარებიან. დაცვის წევრებთან ერთად აქაც იყო **ზურაბ გუჩუა.** პრეზიდენტის ფაცხაში ყოფნისას ზარანდიას ბანაკიდან მისულა **„პუშკინა“** (ის მოკლეს გოჩა ესებუას დაკრძალვაზე), რომელსაც ათასი სისულელე უთქვამს პრეზიდენტისათვის ჯერ ის, რომ მებრძოლები ვიშლებით და სახლში მივდივართო, მერე უთქვამს, იქნებ აქედან წავხვიდეთ და კახეთში გადავხვიდეთო, ბოლოს, ისიც დაუყოლებია, შეიძლება პარტიზანული მოძრაობა წამოვიწყოთო. **ამის მერე ზურაბ გუჩუასთან მოუტანიათ წერილი, რომელშიც ვინმე ჯაყო, იგივე ავთო კინწურაშვილი სწერდა გუჩუას, რომ მე და მესხია მოსკოვში წავედითო.** არადა, რამდენიმე დღის წინ ისინი სამეგრელოში მათთან ერთად ყოფილან. ასეთი გაუგონარი ღალატის, დაქსაქსულობისა და ფსიქოლოგიური ტერორის პირობებში ამყოფებდნენ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და დაცვის წევრებს. უნდა ითქვას, რომ ბოლოს პრეზიდენტთან არ დარჩა არც ერთი იმ კუთხის მცხოვრები, რომლებსაც ეყოლებოდათ ნაცნობები და ნათესავები, სადაც მიიყვანდნენ პრეზიდენტს. ის დაცვის წევრები, რომლებმაც ზვიადი არ მიატოვეს და ბოლომდე მის გვერდში იყვნენ, ფაქტობრივად, არავის იცნობდნენ სამეგრელოში და ამასთან, არ იცოდნენ გზა და კვალი.

**მდევარი კი მართლაც ფეხდაფეხ დასდევდა სამეგრელოში გამსახურდიას. იმ ოჯახებიდან, სადაც ზვიადი ჩერდებოდა, მაინც ჟონავდა ინფორმაცია მეზობლებში. შესაძლოა, ყოველგვარი წინასწარგანზრახულობის გარეშეც ხდებოდა ეს, მაგრამ, ფაქტია, რომ საიდანაც ინფორმაცია არ გადიოდა, იმ ოჯახებს არბევდნენ და აწიოკებდნენ. ეს, ერთი მხრივ, იყო სამაგალითო და საჩვენებელი დაწიოკებები, რომელიც უბრალო მოსახლეობის დაშინებას ისახავდა მიზნად.**

არსებობდა თუ არა რაიმე გეგმა, რომელიც ზვიად გამსახურდიას განადგურებას ისახავდა მიზნად? ჟურნალისტური გამოძიების პროცესში ბევრი საგულისხმო დეტალი გამოჩნდა. ანალიზის შედეგად დავასკვენი, რომ **შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას ცოცხლად ჩაგდება სურდა ხელში. მას ცოცხალი ზვიად გამსახურდია სულ ერთი საათით სჭირდებოდა. შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ სანამ გამსახურდია არ გადადგებოდა პრეზიდენტის პოსტიდან, მანამდე იგი ლეგიტიმური ვერ გახდებოდა, ვინაიდან სისხლიანი გადატრიალების შედეგად მოსული ედუარდ შევარდნაძე ზვიადის გარდაცვალების შემთხვევაშიც ლეგიტიმურობას ვერ მოიპოვებდა. გამოსარკვევია ჩუხუების როლი ზვიადის სიცოცხლის ბოლო დღეებში. მაგრამ, ერთი რამ, რაც რესპოდენტებთან საუბარში გამოიკვეთა, ის არის, რომ მათ პრეზიდენტს მტრის გეგმების შესახებ მართლაც მიუტანეს ინფორმაცია,** ანუ უამბეს, რომ **არსებობდა სპეცოპერაციის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა გამსახურდიას ცოცხლად შეპყრობას, და როცა ის უკვე ოფიციალურად გადადგებოდა და მის გამოსვლას ვიდეოკამერებით ჩაიწერდნენ უშიშროების თანამშრომლები, ამის მერე მას დაცვის წევრებთან ერთად გაანადგურებდნენ.**

ჩუხუების წასვლიდან რამდენიმე საათში **კარლო და ლუდმილა ღურწკაიების** სახლში, **1993 წლის 30 დეკემბერს,** შუაღამისას გასროლილმა ტყვიამ გეგმები ჩაუშალა სისხლმოწყურებულ მდევარს. უშიშროების სამინისტროს მიერ უცხო ქვეყნიდან მოწვეულ გადამთიელ სპეცნაზელებს უნდა განეხორციელებინათ ეს სპეცოპერაცია და არავითარ შემთხვევაში მხედრიონელებს ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის ყოფილ თუ იმჟამინდელ წევრებს. ასეთი იყო შევარდნაძის მოთხოვნა. **ქართველ მკვლელსაც ბოლომდე ვერ ენდობოდა შევარდნაძე, მას მხოლოდ უჯიშო ქილერები ეიმედებოდა.** მოხდა ისე, რომ ზვიად გამსახურდია მტერს ცოცხალი ხელში არ ჩაუვარდა.

**ზვიადის ცოცხლად შეპყრობის სპეცოპერაცია თავად ზვიადმა ჩაშალა.**

**ამიტომაც იყო, როცა გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ სამეგრელოში მითქმამოთქმა გავრცელდა, გაგულისებულმა პუტჩისტებმა ათობით საფლავი გადათხარეს წალენჯიხის და ზუგდიდის რაიონში.**

დიახ, ეს იყო ის **ერთი საათი, რომელიც ზვიად გამსახურდიამ არ აჩუქა შევარდნაძეს.**

**ლეილა კვირიკაშვილი**

# ჩვენ ქართველები აღარა ვართ!

**_იმ დღეებში, როცა თითქმის მთელი საქართველო 14 წლის ზერეკიძისთვის სასჯელის შესამსუბუქებლად დაირაზმა, კიდევ ერთი უბედურება მოხდა - 16 წლის ფუხაშვილი დოლიძის ქუჩაზე დანით მოკლეს. როგორც ამბობენ, მკვლელი მისივე თანატოლია, ასევე 16 წლის ბიჭი._**

ჩემდა გასაოცრად, ეს შემზარავი ამბავი არცერთხელ არ უხსენებიათ მრავალდღიანი დებატებისა და დისკუსიების მონაწილეებს, რომლებიც თავგამოდებით ცდილობდნენ ეხსნათ არასრულწლოვანი ზერეკიძე მკაცრი და ულმობელი მართლმსაჯულების კლანჭებისგან.

არ გახსენებიათ ეს ამბავი იმ ბავშვებსაც, რომლებიც საპროტესტო აქციებს აწყობდნენ დაპატიმრებული თანატოლის მხარდასაჭერად.

არ გახსენებიათ ეს ამბავი ამ ბავშვებს, მიუხედავად იმისა, რომ ფუხაშვილიც მათი თანატოლი იყო და ეს მათი თანატოლი ახლა დანით განგმირული იწვა დოლიძის ქუჩაზე, გაუბედურებული მშობლების წინ.

**ზერეკიძეს დღეს თუ ხვალ აუცილებლად ეშველება რაღაც, მაგრამ არაფერი ეშველება ფუხაშვილს, რომელსაც სიცოცხლეს ვერავინ დაუბრუნებს.**

აი, ეს ულმობელი რეალობა რატომღაც გაუცნობიერებელი დარჩა დებატებსა თუ აქციებში მონაწილე საზოგადოებისთვის - დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც.

სამწუხაროდ, 16 წლის ბიჭის სიკვდილიც ვერ გახდა იმის მიზეზი, რომ **მსხვერპლისკენ შემოვტრიალებულიყავით და ის უხილავი კავშირი დაგვენახა, რაც ფუხაშვილის გულში ჩარჭობილ დანასა და ზერეკიძის მიერ წარუმატებლად მოქნეულ ჯაყვას შორის არსებობს.**

არადა, ეს კავშირი რომ არსებობს და ეს ორი ფაქტი ერთი საერთო ტრაგედიის დეტალები რომ არის, ცხადია.

საქართველოში დიდი ხანია, მოზარდები ერთმანეთს ხოცავენ, მაგრამ ეს ეროვნული კატასტროფის ტოლფასი მოვლენა ჯერაც არ გამხდარა ხელისუფლებისა თუ საზოგადოების მსჯელობის საგანი, არ გამხდარა მიზეზი განგაშის ზარების დარისხებისა, არ ქცეულა იმ მთავარ საკითხად, რომლის გადაწყვეტაზეც არის დამოკიდებული ქვეყნის აწმყო და მომავალი.

●

**მოზარდთა შორის კრიმინალური მენტალიტეტის მომძლავრება, მათ მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულობები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა ემართება ქვეყანას, რომელიც უარს ამბობს თავის ეროვნულ მენტალიტეტზე, ტრადიციად ქცეულ ურთიერთობის ნორმებზე, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში იხვეწებოდა და საფუძვლად ედებოდა თაობათა ცხოვრების წესს.**

ტყუილად ჰგონია ვიღაცას, რომ ტრადიციის მოშლა, ზნეობრივი და მორალური კანონების რღვევა და მათი ჩანაცვლება ახალი ღირებულებებით, უხიფათო საქმეა და ის ვერავითარ საბედისწერო გავლენას ვერ მოახდენს ერის ცხოვრებაზე, მის შემდგომ ბედზე.

სინამდვილეში **ერი სხვა არაფერია, თუ არა ეს ტრადიციები, თუ არა ეს დაუწერელი ზნეობრივი კანონები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა როგორც სავალდებულო ნორმა ქცევისა, ურთიერთობისა, ურთიერთგაფრთხილებისა, ურთიერთპატივისცემისა.**

საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს მიდის საოცრად ბრძნულ, საოცრად გონივრულ სისტემამდე, რომელშიც ყველა ის დეტალი და ნიუანსია გათვალისწინებული, რომელმაც ადამიანში უნდა აღზარდოს ადამიანი - კეთილი, დიდბუნებოვანი, მიმტევებელი, ზრდილი, შეუპოვარი, თავდადებული, უშიშარი ადამიანი.

ჩვენ დღესაც ამაყად ვამბობთ, რომ ქართველები ვართ, თუმცა, კარგად თუ ავწონ-დავწონით, უცებ აღმოვაჩენთ, რომ **ჩვენი ქართველობიდან ბევრი არაფერი შემოგვრჩა და ძალიან კრიტიკულად თუ განვსჯით, სინამდვილეში ჩვენ უკვე არა ვართ ქართველები - პირჯვარს კი ვიწერთ, ეკლესიაშიც დავდივართ, ქართული გვარ-სახელები გვაქვს, ქართულად ვლაპარაკობთ, მაგრამ სინამდვილეში მაინც არა ვართ ქართველები.**

არ გჯერათ?

**თუ არ გჯერათ, რომელიმე ავტობუსში აბრძანდით და ნახეთ სავარძლებში ნებივრად გადაწოლილი ქართველი ახალგაზრდები და ფეხზე მდგარი ასაკოვანი ადამიანები - ასევე ქართველები.**

იქნებ ვინმემ მითხრას, რომ ეს უმნიშვნელო ნიუანსია და მასზე დაყრდნობით არ შეიძლება ვიმსჯელოთ, ვართ თუ არა ვართ ქართველები.

საქმე ის არის, რომ ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ნიუანსში შესანიშნავად ჩანს ჩვენი გადაგვარების ზოგადი სურათი, ჩვენი გაუკუღმართებული ზნე და ხასიათი, ჩვენი უკვე დამახინჯებული და დეფორმირებული სახე.

**აბა, ერთი სცადეთ და შენიშვნა მიეცით სავარძელში გადაშხლართულ ჯეელს - თუ გალახვას და პანღურის ამორტყმას გადარჩი, ისე გამოგლანძღავს, ისეთი უშვერი სიტყვებით შეგამკობს, გირჩევნია, ისევ ფეხზე იდგე.**

შენიშვნაო კი ვთქვით, მაგრამ ფეხზე მდგარი ასაკოვანი ქართველობა კარგა ხანია, შენიშვნის მიცემას კი არა, ალმაცერად გახედვასაც ვერ უბედავს ამ უშნოდ გაბღენძილ მუტრუკს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ჩვენ უკვე დავმარცხდით და შევეგუეთ იმ აზრს, რომ ქართველები არა ვართ.**

ჩვენ უკვე იქამდე დავედით, რომ ბრძოლის ველს ვინ ჩივის, ავტობუსშიც კი არ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი ქართველობა.

თაობათა შორის ურთიერთობის ფორმა არის ის, რითაც განისაზღვრება ერის რაობა, მისი კულტურა, ხასიათი, თვისებები, მისი შინაგანი ჰუმანურობის ხარისხი.

**ქართული მენტალიტეტის მრავალსაუკუნოვანი შენობა მყისვე ნგრევას იწყებს, თუ მას გამოვაცლით უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის ფუნდამენტურ კონცეფციებს, რაც არა მარტო ურთიერთობის ნორმაა, არამედ ფილოსოფიური ხედვაა ზოგადად ცხოვრებაზე, კაცთა ყოფის არსზე.**

**როგორც ჩანს, ქართული მენტალიტეტის შენობა უკვე დაგვანგრიეს თავზე და ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ჩვენი შვილები ასე იქცევიან.**

**ისინი ნანგრევებში ცხოვრობენ, ნანგრევების ბინადრებს კი რა სინდისით ვთხოვთ მაღალზნეობრივი კატეგორიებით აზროვნებას და ცხოვრებას?**

●

**ჩვენი შვილები დანებით ხოცავენ ერთმანეთს...**

დიდი ხანია არ მომისმენია და არ მინახავს არცერთი სატელევიზიო გადაცემა, არ წამიკითხავს არცერთი პუბლიკაცია, არ მინახავს ავტორიტეტულ, პატივსაცემ ადამიანთა შეკრება, სადაც ვინმეს ეთქვას ამ ახალგაზრდებისთვის, რომ **ქართველი კაცისთვის ყველაზე დიდ სირცხვილად ითვლებოდა, თუ ის ადამიანს დანით დაჭრიდა.**

ასეთი საქციელის ჩამდენს ლაჩრად, მხდალ არაკაცად თვლიდნენ.

**როგორ მოხდა, რომ ის, რაც გუშინ ლაჩრობად და არაკაცობად ითვლებოდა, დღეს ვაჟკაცობის სინონიმად იქცა?**

**გუშინ ლაჩრის იარლიყით მოსიარულე არაკაცი, თავში ჩარტყმული და საზოგადოებისგან მიფურთხებული, დღეს რატომ მოგვევლინა ვაჟკაცად და კაი ბიჭად?**

რატომ არ მოაფიქრდა რომელიმე ტელეარხს, ერთხელ მაინც მოეწვია სტუდიაში ვაჟკაცობით და მართლაც კარგი ბიჭობით ცნობილი ადამიანები და ერთხელ მაინც ეკითხა, **რას ნიშნავს ნამდვილი ვაჟკაცობა? რას ნიშნავს კაცობა? ბოლოსდაბოლოს, რას ნიშნავს ქართველობა?**

ეს ტელეარხები, ქვეყნის ნამდვილი დამაქცევარნი, ნამდვილი **იდეოლოგიური დესანტები,** ჩვენი გონების, ზნის და მრწამსის გასაბახებლად გადმოსროლილნი, ნელ-ნელა რომ ამახინჯებენ ერის ფსიქიკას, უშუალო თანამონაწილენი და თანაავტორნი არიან იმ უბედურებისა, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება.

აბა, ერთი ყური მიუგდეთ ჩვენს ტელეარხებს და **მიხვდებით, როგორ მოხერხებულად და ვირეშმაკულად ხსნიან ისინი ტაბუს სიტყვებს, რომლებსაც ქართველი კაცი არც შინ და არც გარეთ არ იტყოდა.**

ქუჩა ეკრანზე გადმოსახლდა, მთელი თავისი სიბილწით, სიბინძურით, ცინიზმით და ეკრანის საშუალებით ოჯახებში ჩაგვისახლდა, რომ ჩვენს შვილებთან ერთად გასაქცევი და თავშესაფარი არ დაგვრჩენოდა.

**ტიტლიკანა ქართველი გოგონები დარბიან ქართულ ტელეეკრანებზე, ქალური მანერების ქართველი ბიჭები ენაცვლებიან ერთმანეთს და არავინ იფიქროს, რომ ეს შემთხვევით, თავისდაუნებურად ხდება.**

ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ **ჩვენ არ ვიყოთ ქართველები,** რომ ამ ბავშვებმა, ამ პატარა გოგო-ბიჭებმა არ იცოდნენ, ვისი გორისანი არიან და უსამშობლოდ, უეროვნებოდ, ულმერთოდ, უფესვოდ დარჩენილებმა უფრო ადვილად გაიმეტონ ერთმანეთი და, რაც მთავარია, გაიმეტონ საქართველო.

●

კამბოჯაში, პოლ პოტას რეჟიმის დროს, 12-13 წლის ბავშვებს ავტომატები მისცეს ხელში და უფროსები ახოცვინეს.

**საქართველოში, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, სულ რაღაც თხუთმეტი წლის წინათ, ე. წ. საძმოები შეიქმნა პირტიტველა ბიჭებისგან, რომლებიც აკონტროლებდნენ უბანს, ქალაქს და ეგონათ, რომ დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ.**

სულ მცირე ხანში ეს საძმოები გაანადგურეს...

**ახლა ამ ბავშვებსაც ვინმე ხომ არ უჩურჩულებს ყურში, რომ სწორედ ისინი წარმართავენ ქვეყნის სვე-ბედს, ისინი არიან მთავარნი და უპირველესნი?**

**ჯერჯერობით დანები უჭირავთ ამ ბავშვებს ხელში და ერთმანეთის ხოცვით სწავლობენ მოკვლის ხელოვნებას, ეჩვევიან სისხლის სუნს, მაგრამ თუ სიტუაციამ მოითხოვა, ავტომატებსაც მიაჩეჩებენ ხელში „გულმოწყალე“ ბიძიები და ახალ სამიზნეებსაც აჩვენებენ, საბოლოო განაჩენი კი იგივე იქნება, რაც იმ საძმოებს გამოუტანეს.**

**ადვილია ამ ბავშვების ცდუნება, რადგან საქართველოში არ დატოვეს ადამიანი, რომელსაც შეიძლება მათ მიბაძონ, სამაგალითოდ დაისახონ, მათ დაემსგავსონ.**

არა მწერალი, არა მეცნიერი, არა მუსიკოსი, არა მსახიობი, არა მომღერალი, არა სპორტსმენი - **არავინ დატოვეს ქვეყანაზე, რომელსაც ავტორიტეტი და ღირსება არ შეულახეს, უავტორიტეტოდ დარჩენილი ქვეყანა კი იმ ეკლესიას ჰგავს, საიდანაც ხატები გაზიდეს, ფრესკები ჩამოფხიკეს, ამბიონი მილეწ-მოლეწეს.**

ხატებისგან გაცლილ, ფრესკებჩამორეცხილ შიშველ კედლებს შუა იზრდებიან დღეს ჩვენი ბავშვები და სანამ ამ კედლებზე ეშმაკი მიახატავდეს თავის სახეს, ამ ბავშვებს შველა და პატრონობა სჭირდებათ.

●

... სანამ ამ წერილს ვწერდი, **კიდევ ერთი შემზარავი ინფორმაცია გადმოსცეს: - ოცი წლის ბიჭმა დანით მოკლა პატრულის თანამშრომელი.**

მერამდენე მსხვერპლია ეს, თუნდაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში?

**სხვა არავინ მეგულება ამის გამკეთებელი და ისევ „ასავალ-დასავალის“ რედაქციას უნდა ვთხოვო:** - იქნებ მოიძიოთ და გამოაქვეყნოთ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მომხდარ მკვლელობათა ნუსხა?

**მერწმუნეთ, შემაძრწუნებელი სურათი დაიხატება...**

იქნებ ამ სურათმა მაინც გამოგვაფხიზლოს და მიგვახვედროს, რომ გაჩუმება და შორიდან ცქერა ამ სასაკლაოსთვის დიდ ეროვნულ კატასტროფად შეიძლება შემოგვიტრიალდეს **და მართლაც დაგვაჯეროს, რომ ჩვენ ქართველები აღარა ვართ!**

**ვახტანგ ხარჩილავა**







**„- იცოდე, დღეს მაინც მხოლოდ მართალი უნდა მითხრა, ფარსმან“.**

**„- განა ოდესმე ტყუილი მომიხსენებია, მეფევ ბატონო, შენთვის?“**

**„- მხოლოდ სულელები ეუბნებიან მართალს, ჩემო ფარსმან, მეფეს“.**

**„- ეგეც სწორია, მეფევ ბატონო, მაგრამ ერთი დღე მაინც უნდა გამოურიოს მართლის თქმისა კაცმა“.**

კონსტანტინე გამსახურდია. „დიდოსტატის მარჯვენა“

ღიმილი და მილოცვები -
თუმცა ბევრი გავეცით,
ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად! -
მხოლოდ ჩვენ კი დავეცით.
ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს -
უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ
საოცარი ღამეა;
დეკემბერი დააჭენებს
ყინვით ნახატ ეტლებსა,
იმ ღამით ხომ წამებული
ქრისტე იშვა ბეთლემსა,
მერე ზეცად აღევლინე,
არ გიგუეს მიწაზე -
ნუთუ აღარ დაბრუნდები
ცოდვილ დედამიწაზე?!
ზეცად წასულს უკან მოგყვა
ლოცვა - ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი
და იუდა რამდენი?!
ალბათ მისთვის გაიაფდა
ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი,
ადვილია - დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა
ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს
საიდუმლო სერობა.
და წარსული სიზმრად მექცა,
მომავალი ოცნებად,
მეგობარი ველარ მიცნობს,
მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა,
სევდას ვინ დაიბედებს?
ძველი წელი ხსოვნას მართმევს,
ახალი კი იმედებს.
ქრისტე აღდსგა! ქრისტე აღდსგა!
ჩემი სული ცას უხმობს,
ჭეშმარიტად! - კვლავ იუდა
ნიშნისგებით მპასუხობს;
თუმცა შუბლზე სამარცხვინო
მინდა დაღი დავაკრა, -
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს შემდეგ
ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმედილი
ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს
კვლავაც ღამე ეთიოს.
რწმენა ძნელად გადარჩება,
ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღდსგა ჭეშმარიტად!
ქრისტე აღსდგა ნამდვილად!



## ზვიად გამსახურდიას

გადაიჭრები გზნებით მეუფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეაღმართული ჩვენს ეპოქაში
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.
დაუცხრომელო სულიერ ცდაში,
დაუსაბამო სიტყვის მხმობელო,
უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში
დემონთა ხროვის დამამხობელო.
ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ მალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია.
**მერაბ კოსტავა**



## მერაბ კოსტავას

ერზე მჭმუნვარე ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!
გვეტანებოდნენ მაღლნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის!
ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.
**ზვიად გამსახურდია**

# ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი!

*ფილმ „მონანიების“ დაწყებიდან (ტიტრების ჩათვლით) 1 საათისა და 12 წუთის შემდეგ იწყება შემდეგი სცენა: ბნელ ქუჩაში ჩამწკრივებულია რიგი, უსაშველოდ დიდი რიგი. უცებ კადრში ჩნდება ახალგაზრდა ქალი, მისი სახის გარკვევა ჭირს. ხელში უჭირავს ჩვილი ბავშვი, ბავშვს მოხვეული აქვს უფერული შალი (გაურკვეველია ბავშვი ბიჭია თუ გოგო). ქალი რიგის დაუცველად გარბის და რიგში მდგომთ აღელვებული ხმით ეუბნება: „ბავშვიანებისთვის ურიგოა! ბავშვიანებისთვის ურიგოა!“. ძლივსძლივობით აღწევს ჯიხურამდე (ჯიხური ფიცრულისაა, ჟანდარმერიის საპატიო ჯიხურის ასოციაციას ქმნის). ჯიხურს მიღმა ვინ დგას - არ ჩანს, ჩანს მხოლოდ ხელი, შინელის სახელოთი. როდესაც ჯიხურის მისადგომი თავისუფლდება, ეს ქალი კიდევ ერთხელ იტყვის: „ბავშვიანებისთვის ურიგოა“. მერე ჯიხურის გაღებულ სარკმელში გადააწოდებს რაღაცას ვიღაცისთვის, და ასახელებს იმ ვიღაცის სახელსა და გვარს, რომელიც ასე ჟღერს: „სააკაშვილი მიხეილ“.*

## უპრეცედენტო პატიმრები

იდგა მეოცე საუკუნის 20-იანი წლები. იდგა და არ იძროდა, არ უნდოდა წასვლა, ცას უნდოდა გამოკერებოდა...

თითქოსდა გამოეკერა კიდეც...

საბჭოთა კავშირში ბებრების პლეადა იდგა და სახელმწიფო თავისი მოწყობილობებით (პოლიტბიურო, ცკ, პრეზიდიუმი და ა.შ.) საექიმო აპარატებზე იყო შეერთებული. ექიმის მიმართ სახელმწიფოს გაუჩნდა განსაკუთრებული ნდობა, რადგან ასეთ შემთხვევაში ქვეყანა უმართავობის კალაპოტში ჩავარდებოდა. სახელმწიფოს ვამბობ და ადამიანებს ვგულისხმობ, ამ სახელმწიფოს სათავეებში რომ მოკალათებულან ყველა ინსტანციაში. ალბათ ფიქრობდნენ კანცელარიისა და კრემლის ლაბირინთებში სიკვდილი ვერ მოგვაგნებსო. დაცვაც ჰყავდათ სიკვდილთან შესაბრძოლებლად და არა ტერორისტებთან.

ერთბაშად დაბერდა სახელმწიფოც. სახელმწიფო დაცვა ვერ უზრუნველყოფდა პატრონების პატრონობას მოუპირავ სიკვდილთან ბრძოლაში. კანცელარიის დავთრებში ჩამალულებს თუ ცხრაკლიტულა საპირფარეშოებში ჩაკეტილებს მაინც წვდებოდა თავისი მსახვრალი ხელით სიკვდილი. თვეში ერთი-ორჯერ მაინც იმართებოდა სამგლოვიარო პროცესიები და თითქმის სრულყოფილებამდე შევისწავლეთ ჩაიკოვსკის ლირიული შემოქმედება, სათანადოდ გავერკვიეთ მოცარტისა და ვერდის რეკვიემების თითოეულ მუხლში და ტაქტში, საუცხოოდ გავაანალიზეთ ბეთჰოვენისა და ბერლიოზის შემოქმედების მსოფლმხედველობა...

ის კი არადა, გაზეთების კალამი ბელადების ქება-დიდებითა და მათზე შეთხზული ნეკროლოგების მაღალფარდოვანებაში გამოიწრთო, თითქმის მთელი ქვეყანა რომ აწერდა ხელს ამ ტექსტებს. თავისთავად, ყველა ხელმომწერი ავტორი იყო ნეკროლოგის და პარადოქსმაც არ დააყოვნა: ნეკროლოგში სიტყვები რომ დაგეთვალა ცალკე და ავტორთა გვარები ცალკე, თანაფარდობა დაახლოებით ასეთი იქნებოდა - ერთ სიტყვაზე სამიოთხი ავტორი მოდიოდა...

ყველაფერ ამას საბჭოთა მოქალაქე იუმორით უყურებდა. უბრალოდ ვერ ასწრებდა თვალის გადევნებას, ბრეჟნევს თუ შუბლზე რამდენი ნაოჭი ჰქონდა, ანდროპოვს თუ ყურები წინ გამოწეული ჰქონდა (ეს ალბათ სათვალეებისა და პროფესიული უნარჩვევების გამო ჰქონდა), ჩერნენკოს თუ შუბლზე რა სიღრმის შრამი ჰქონდა (Nota bene: სურათებზე ასეთი დეტალები რეტუშის წყალობით ქრებოდა), წუთში თუ რამდენ ამოსუნთქვას აკეთებდა ერთი, მეორე, მესამე... რა ბებრულ უცნაურობებს შევამჩნევდით მათ, რათა მერე გაგვექილიკებინა ისინი... ამ უცნაურობათა დაკვირვებით პროგნოზებს ვაკეთებდით - როდის მოკვდებოდა ერთი, მეორე, მესამე და ა.შ. გულის სიღრმეში კი გვეცოდებოდნენ ისინი, რადგან ისინი ყველაზე დიდი ტყვეები იყვნენ საბჭოთა კავშირში, რომლებსაც მიესაჯათ გენსეკობა სამუდამოდ. აი, სახელმწიფო, მოხუცებსაც არ ინდობდა.

სწორედ ამ ვითარებაში საბჭოეთის ერთ ცეცხლოვან პერიფერიაში ერთ ოთახში იკრიბებოდა ოფიციოზი და არაოფიციოზი, იქამდე ანტიოფიციოზიც. იკრიბებოდნენ ლეგალურ-არალეგალურად. ამ შეკრებათა მიზანი იყო არც მეტი და არც ნაკლები მხატვრული ფილმის გადაღება.

ამაში უცნაური და დამაფიქრებელი თითქოს არაფერია, მაგრამ დამაფიქრებელი ის იყო, რომ სამზეოზე უნდა გამოსულიყო ყველაზე მტკივნეული საკითხი: „ბებერ პატიმართა“ (განზოგადებული თვალსაწიერით) „პატიმრობამდელი“ ყოფა-ცხოვრება. ეს არ იყო მხოლოდ ბრეჟნევი, ხრუშჩოვი, სტალინი, ბერია და ა.შ. ეს კრებითი სახე იყო ამ ბებერი პატიმრის. ამ ფილმის გადაღების ერთადერთი მიზანი მხოლოდ ეს იყო, სხვა დანარჩენი ნიუანსები ბუტაფორიული თუ დეკორაციული დატვირთვის ფუნქციას შეასრულებდა (და შეასრულა კიდეც).

კიდევ ერთი უცნაურობა, რაც შემდგომში გამოირკვა - სცენარის ავტორისა და ლიტერატურული მასალის ჭეშმარიტი ვინაობა რჩებოდა ყოველგვარი ფარდის მიღმა (რკინის ფარდას ვგულისხმობ ამ ნათქვამში). ავტორად, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, სცენარისტთა ჯგუფთან მუშაობდა ნოდარ წულეისკირი მისივე მოთხრობის (თუ ნოველის) „აფთარის“ ირგვლივ.







რა თქმა უნდა, კინოს სპეციფიკაციაა რაღაცის დამატება, რაღაცის ამოღება, თუმცა ძირითადი მოდელი ნაწარმოებისა მაინც უცვლელი დარჩა. ფილმს რომ გასაქანი მისცემოდა, სცენარის ავტორთა ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა ნახევრად დისიდენტი მწერალი ნოდარ წულეისკირი.

კიდევ ერთი - თავდაპირველად ვარლამ არავიძის შვილიშვილის როლი წილად ერგო მსახიობ გეგა კობახიძეს. გადაღების რაღაც ეტაპზე, კერძოდ 1983 წელს თვითმფრინავის გატაცების ინციდენტის შემდეგ იგი დააპატიმრეს და ცოტა მოგვიანებით დახვრიტეს კიდეც. მარტო ამით შეიძლებოდა ფილმის ბედისწერა დამთავრებულიყო, არაფერს ვამბობ რა ბედს არგუნებდნენ შემოქმედებით ჯგუფს.

კიდევ და კიდევ ერთიც - ფილმის ასოციაციური პროტოტიპი იყო დიდი რეპრესიების მსხვერპლი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე. ასოციაციურიო, ვამბობ, თორემ სანდრო ბარათელში გაერთიანებულია მთელი ინტელექტუალური საზოგადოების სახე, მხოლოდ ნიუანსებია დაჭერილი დიმიტრი შევარდნაძის ცხოვრებასთან სანდრო ბარათელის ტიპაჟის მიერ.

და რაც მთავარია, და რისთვისაც იწერება წინამდებარე სტატია.

ფილმის „მონანიებას“ დასაწყისიდან (ტიტრების ჩათვლით) 01 საათსა და 12 წუთზე იწყება შემდეგი სცენა: -

ბნელ ქუჩაში ჩამწკრივებულია რიგი, უსაშველოდ დიდი რიგი. უცებ კადრში ჩნდება ახალგაზრდა ქალი, მისი სახის გარკვევა ჭირს. ხელში უჭირავს ჩვილი ბავშვი, ბავშვს მოხვეული აქვს უფერული შალი (გაურკვეველია ბავშვი ბიჭია თუ გოგო). ქალი რიგის დაუცველად გარბის და რიგში მდგომთ აღელვებული ხმით ეუბნება: „ბავშვიანებისთვის ურიგოთ! ბავშვიანებისთვის ურიგოა!“. როგორც იქნა აღწევს ჯიხურამდე (ჯიხური ფიცრულისაა, ჟანდარმერიის საპატიო ჯიხურის ასოციაციას ქმნის). ჯიხურს მიღმა ვინ დგას - არ ჩანს, ჩანს მხოლოდ ხელი, რომელსაც აცვია შინელი. როდესაც ჯიხურის მისადგომი თავისუფლდება, ეს ქალი კიდევ ერთხელ იტყვის „ბავშვებიანებისთვის ურიგოაო“. მერე ჯიხურის გაღებულ სარკმელში გადააწოდებს რაღაცას ვიღაცისთვის, - და ასახელებს იმ ვიღაცის სახელსა და გვარს, რომელიც ასე ჟღერს: „სააკაშვილი მიხეილ“.

დიახ, ზუსტად ასე, დამარცვლით: „სააკაშვილი, მიხეილ“!

სარკმელს მიღმიდან პასუხობენ - „მიღებულია“. შემდეგ მიადგება სხვა, ვისაც უწევდა რიგი, ის თავისი პატიმრის სახელს და გვარს ეუბნება. ჯიხურის მიღმიდან ცოტა ხანში პასუხობენ: „გადაგზავნილია ჯანდაბაში მიმოწერის გარეშე“. ამ ქალს ისტერია ემართება და მსახვრალ ხელს გაჰყავს ეს ქალი კადრებიდან, შემდეგ კი ფილმი გრძელდება...

### პარადოქსებით აჭრელებული ქვეყანა

ფილმი გადაღებულია 1984 წელს ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. ფილმი დაჯილდოებულია ლენინური პრემიით 1986 წელს. მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო კინო-პრემია. ამ ფილმმა ფურორი მოახდინა იმდროინდელ მსოფლიოში.

2003 წლის 23 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალების (უკვე მერამდენე?!) შემდეგ 40 დღის ამოწურვისთანავე საქართველოს პრეზიდენტად ირჩევენ მიხეილ სააკაშვილს.

ფილმში ბავშვიანი ქალი ბავშვით სპეკულირებს, რადგან იქვე რიგში მოთმინებით ჩამდგარა სანდრო ბარათელის ცოლ-შვილი და ელოდება თავის რიგს. ამ ჩვილბავშვიანი ქალის მიმართ მაინც ჩნდება სიბრალული, რადგან იგი პატიმრის ჭირისუფალია. თითქოსდა ნაკლებად ყურადსაღები ეპიზოდია მთელს ფილმში ეს დეტალი, მაგრამ ამით შეიძლება ფილმმა ახალი სიცოცხლე შეიძინოს, სენსაციური სიცოცხლე: ვინაა მიხეილ სააკაშვილი? - ამ პასუხზე გაცემისათვის.

ვიღაც იტყვის - მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტიაო.

დაგეთანხმები, მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ სახელის და გვარის საკრალური მნიშვნელობა.

მე თუ შემეკითხებით, მიხეილ სააკაშვილი პატიმარია თავისი საქმიანობიდან გამომდინარე. ოღონდ არ ჩანს მისი კონკრეტული ბრალეულობა, სასჯელი რომ დაადეს. იგი ან უსაზღვრო პატრიოტი იქნებოდა თავისი ქვეყნის, რომელიც ვერ გადაურჩა რეპრესიების მსახვრალ მანქანას, ან ბოლშევიკი იქნებოდა, ან მენშევიკი, რომელიც ებრძოდა პატრიოტებს და ბოლოს თვითონვე გახდა თავისივე ხელით შეკოწიწებული მანქანის მსხვერპლი. ერთია, რომ სხვებთან შედარებით ჯანდაბაში არ გადაუგზავნიათ მიმოწერის გარეშე, ეს პრივილეგია კი დასდეს მას... და რატომ? ამისი ცოდნა ან ცოდვაა, ან არ არის საჭირო.

ქართულმა სიტყვიერებამ კარგად იცის ყველაფერი ეს - აი:

***„რა ვქნისა“ ციხე ავაგე,***
***ჯავრი შევაბი კარადა,***
***საიქიოდან მოიდენ,***
***ამ ციხის სანახავადა.***
***ბევრი უარეს ციხესა,***
***კარ ვერ გატეხეს ძალადა.“***

მერე აქვეა ესეც:

***„მემრე თქვეს:***
***დრო რომ მოალის,***
***კარ გაიღების თავადა“***

ცხოვრებამ საუკეთესოდ გასცა პასუხი ამ შეკითხვას, თუ ვინაა მიხეილ სააკაშვილი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში არ შეეძლოთ სცოდნოდათ, რა მოხდებოდა 2003-2004 წლებში. როდესაც ფილმს მფარველობდა ედუარდ შევარდნაძე, იგი ვერც წარმოიდგენდა, თუ ვინ იყო და ვინ იქნებოდა მისთვის მიხეილ სააკაშვილი, როგორ ჩუმად და უცაბედად შევიდა მის ცხოვრებასა და ბედისწერაში ეს სახელი და გვარი. ეს დღესაა იოლი ამ საკითხებზე მსჯელობა, თორემ ვინც სცენარში ეს სახელი და გვარი ჩასვა, მასაც არ ექნებოდა წარმოდგენილი, თუ რა ისტორიულ სახელსა და გვარს ათქმევინებდა ბავშვიან ქალს და რას ამბობდა ეს ბავშვიანი ქალი, და რას ისმენდა იმ მომენტში თენგიზ აბულაძე, მთელი გადამღები ჯგუფი და ბოლოს რომ იტყოდა: Stop! გადაღებულია!.. და თვითონაც ისე ჩავიდა სამარეში, რომ ვერ გაიგო ბოლომდე, რა გადაიღო. რა თქმა უნდა, მის გაოცებას საზღვარი არ ექნებოდა 2003 წლის ნოემბრის მიწურულს, თუ ემახსოვრებოდა თავისავე გადაღებული ფილმის ეს უცნაური კადრები.

### „თითქოს გულში აგიფეთქდა მეხი“

1954 წელია, პოსტსტალინური და მეოცე ყრილობამდელი პერიოდი. საბჭოეთი იწყებს ყამირი მიწების ათვისებას შუა აზიაში (უფრო კონკრეტულად, ნახევარი თბილისის შემსყიდველი კორპორაციის სამშობლოში - ყაზახეთში). იმპერიის ყველა კუთხიდან ირაზმებიან მოხალისეები და მიდიან პარტიის დავალების შესასრულებლად. სახელმწიფო პოლიტიკას სჭირდება იდეოლოგიური მუხტი, შემართება და პათეტიკა. საბჭოთა პოეტი აქაც შეუდარებელი ოსტატური ხედვის გამო-ნახედ-ნი სიტყვებით ისვრის ისეთ ფრაზას, რომელიც ალეგორიულად უხილავ კავშირს აბამს მომავალ დროებებთან, ერთს მეორესთან აკავშირებს, აერთიანებს სააკაშვილის იდეას და ეუბნება ჯერარდაბადებულ მომავალ პრეზიდენტს - „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი, ვისაც ფეხზე ეგ ბორკილი ედოო“.

მართალია, იოსებ ნონეშვილს სიზმრადაც არ დაესიზმრებოდა არც 80-იანი წლების კადრები და არც ოცდამეერთე საუკუნის პირველი არეულ-დარეულობა საქართველოს პარლამენტში. სიზმარი რაა, არც მოაფიქრდებოდა სიზმარი დასიზმრებოდა შესაფერისი მსუბუქი ხასიათის შინაარსით, რადგან თვითონაც ცხადად არ ახდენოდა უკუპროპორციულად ნასიზმრი. იგი თხემით ტერფამდე საბჭოთა პოეტი იყო, და უნდა ითქვას, რომ კარგი პოეტიც. მას ლექსი გაჯერებული აქვს საბჭოური სულისკვეთებით და ნასახიც არაა მის ნებისმიერ მუხლში ქვეტექსტისა და უკუთქმის.

ეს ახლა შეიძლება მსჯელობა უხილავ კავშირთა შესახებ. ამ ლექსის სტრიქონები ყველაზე უკეთ, ყველაზე ზედგამოჭრილად და ყველაზე მორგებულად ამ სიტუაციას მიუდგება მხოლოდ. პასუხი კითხვაზე, - თუ ვინ არის მიხეილ სააკაშვილი, - ამ ლექსმა გასცა: „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი, შეებრძოლა შავ-ბნელ ადათ წესებს... და მიტომაც დაურჩინეს ოხრად გუთნეული და ჩალური ქოხი“.

ახალი კითხვა დროებიდან გამომდინარე: „რომელი პაპის მემკვიდრეა მიხეილ სააკაშვილი?!“

პაპის, რომელიც პატრიოტი იყო?! ან ბოლშევიკ-მენშევიკის, ან სულაც უბირო გლეხის, რომელსაც დასტაცეს ხელი უხამსი ანეკდოტის გამო მოწამლული ხორბლის დათესვის ბრალდებით?! ან იქნებ კულაკობის გამო... ან სულაც ქვეყნიერებაზე ყველაზე საცოდავი პატიმრების - რუდოლფ პესზე და ვიაჩესლავ მოლოტოვზე უფრო საცოდავების, მთელი მსოფლიოს საქილიკოდ რომ იყვნენ გამხდარნი და მისჯილი რომ ჰქონდათ სამუდამო პატიმრობად საბჭოთა კავშირის გენსეკობა...

ამაზე კონკრეტულ პასუხს ალბათ ახალი ფილმები ან იგივე ფილმი სხვა კონკრეტული დეტალებით, ან პოეტური ფრაზები ახალდროების პოეტებისა, ან იქნებ სულაც იგივე პოეტის იგივე ლექსისა, გაგვცემს პირუთვნელად.



### ბავშვიანი ქალის მისტერია

ესეც კი ნიშანდობლივი ფაქტია - ჩვილბავშვიანი ქალი მიხეილ სააკაშვილის ჭირისუფლად მივიჩნიოთ. შესაძლებელია რაღაც შემთხვევას ამოეყვირა სახელ-გვარი და ამით ამოწურულიყო წინასწარმეტყველური მისია, მაგრამ ჩვილბავშვიანმა ქალმა განამტკიცა ამ ფორმულის რეალობასთან უხილავი კავშირი. ფილმის ავტორებს იქნებ გამოცხადებისეული დედაკაცის ინტერპრეტაცია ჰქონდათ ჩადებული ამ კადრებში, „და რაჟამს იხილა ვეშაპმან მან, ვითარმედ გარდამოვარდა ქუეყნად, დევნა უყო დედაკაცსა მას, რომელმან შვა ძე იგი წული“ (გამოცხადება, თ.12. სტ. 13)

ფილმში მიხეილ სააკაშვილის ჭირისუფალი პატივ-დიდებით არაა შემოსილი;

ცხოვრებაში მიხეილ სააკაშვილის ჭირისუფალი კი პატივდიდების მთელი რეგალიებითაა შემოსილი. იგი მის ჩვილთან ერთად ხშირად ჩნდება საზოგადოებაში, თავშეყრის მასიურ ადგილებში.

იმ მიხეილ სააკაშვილის ჭირისუფალი კი იმალებოდა, ეშინოდა რა საკუთარი ჩრდილის.

დღეს ბევრს ამბობენ მიხეილ სააკაშვილის სახელოვან წინაპრებზე, შორს რომ არ წავიდეთ, მიხაკო წერეთლის პერსონით არის შემოსილი მისი გენეტიკური კოდიო და ასეთ სხვა მრავალს ამბობენ.

ტყუილ-მართალი ისტორიკოსებმა არკვიონ, მე კი ერთს დავსძენ იმ ჩვილი ბავშვის გასაგონად: ისტორია არავის არაფერს პატიობს. იმ მიხეილ სააკაშვილის დამსჯელები ღმერთმა დასაჯა იმით, რომ მიაჯაჭვა საჭეთმპყრობლის სავარძელს თავიანთივე შინაგანი ნების საწინააღმდეგოდ. ისინი პატიმრებადვე აქცია საკუთარივე ამბიციის. მათ ოჯახურ წრეში ბევრი ბავშვიანი ქალი ყოფილა და მათ ვერ შეიგრძნეს სრულყოფილად ეს მადლი, პირიქით, ზოგიერთებისთვის ტვირთადაც კი გადაიქცა ბავშვიანი ქალი.

და მსურს ვურჩიო ამ მიხეილ სააკაშვილს, გათავისუფლებულიყოს ხელისუფლების ხელბორკილებისაგან და თავისუფლად, გათავისუფლებული მრწამსით, შეგნებით, გონებით, აზროვნებით, შემართებით ემართოს საქართველო, რათა შემდეგ იმ პატარა ბავშვზე არ გადასულიყოს მამის ხელბორკილები და ცოდვა.

იმ მიხეილ სააკაშვილს კი -

**„ცრემლით არვინ დაუნამა**
**კალთა,**
**ველარ გახდა წყვილი**
**სანთლის ღირსიც,**
**ვარსკვლავებმა გაუნათეს**
**თავთან**
**და სუდარად გადეფარა**
**ნისლი“.**

**მანუჩარ კაჭახიძე**

## უცნაურობა ამ ფილმისა და სააკაშვილის ირგვლივ გრძელდება! P.S.



არსებობდა ოდითგან და ახლაც არსებობს „მსახვრალი ხელი“, რომელიც ყოველთვის და ყოველ დროში სპობდა ნასახს ღირებულისას. ასეა, კვალის წაშლა აუცილებელ პირობად გადაიქცა: ფილმის ორიგინალში აშკარად და გასარკვევად ისმის „სააკაშვილი მიხეილ“... ასე გავიდა ეს ფილმი საკავშირო ეკრანზე, ასე მოიარა მან მსოფლიო და ასეთ ვერსიას მიანიჭეს კანის ფესტივალის სპეციალური პრემია. **მსახვრალ ხელს** კი სურს წაშალოს ნასახი ორიგინალისა, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი გახდა პოლიტიკური ფიგურა, და ფილმში დაუშვეს აუცილებელი ფალსიფიკაციის პრეცედენტი: სააკაშვილი გადაკეთდა ბააკაშვილად.

ეჭვი არ იქნებოდა ე. წ. **„სააკაშვილის ვერსია“** თენგიზ აბულაძის ხელმოწერით რომ გამრავლებულიყო ვიდეოდისკებით მსოფლიოს მრავალ ენაზე და არ არსებობდეს ასევე ე. წ. **„სააკაშვილის ვერსია“**, რომელიც ინახება ჩემს ვიდეოთეკაში.

ვითომ რატომ გაისარჯა მავანი, რომ - რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, პორტუგალიურ, ჰოლანდიურ (?), შვედურ, ებრაულ, არაბულ, ჩინურ და იაპონურ ენებზე გაკეთებულ სუბტიტრებში ფრიადოსანის სიზუსტით დაწერილიყო **„ბააკაშვილი“**?!

**დაბოლოს,** მინდა, მივმართო **კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მესვეურებს:** რა ბედი ეწია მხატვრულ ფილმ „მონანიების“ ორიგინალს, დაიწვა თუ გადარჩა იგი 2005 წლის 15 იანვრის ხანძრის დროს?! ეს მაშინ, როცა ტელეეკრანებზე შეცდომით გაშვებული ე. წ. „სააკაშვილის ვერსიები“ კვლავ და კვლავ გვახსენებენ თავს და მიგვანიშნებენ **იმ ულმობელ მსახვრალ ხელზე.**

**ვითომ რატომ?**

**რა საჭიროა ყველაფერი ეს? ეს ხომ ხელოვნებაა და არა პოლიტიკა?!**


დოდო აბაშიძე - ალექსანდრე

ნი გუგული წესიერი, პატიოსანი კაცია, ნიჭიერი, იცის, ვინ უნდა შეარჩიოს როლზე, ვინ გაუმართლებს. ხომ იცით, ყველაფერი ხელმძღვანელზეა დამოკიდებული. თუ კარგი პიროვნების მეთვალყურეობის ქვეშ ხარ, საქმეც კარგად მიდის, თუ უკუღმა წავიდა მდგომარეობა, ესე იგი თავში მყოფი არ ვარგა. ხომ გაგიგონიათ, თევზი თავიდან ყარსო. მათ, ვინც ცოცხალია, ყველას მივესალმები და მოკითხვას ვუთვლი. ის დრო ნამდვილად მენატრება.

თამარ სხირტლაძე, *მსახიობი, თაზო თოლორაიას დედა:* - ამ ფილმში თაზო 18 წლისაა. უკვე გადაღებული იყო „ცისკრის ზადიაში. თეატრშიც არაერთი ცნობილი როლი შეასრულა. მაგალითად, რუსთავის თეატრის სცენაზე გიგა ლორთქიფანიძესთან ითამაშა „გზა მშვიდობისა, ჯაყო“ (ჯაყოს როლი). მრავალი წელი ხომ თუმანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა. თაზო ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა ეკრანზე გამოჩნდა. ყველა ყურადღებით ეპყრობოდა. სხვათაშორის, „ცისკრის ზარებში“ მამამისთან - კოტე თოლორაიასთან ერთად თამაშობს. თაზოს უყვარდა ის ფილმები, სადაც მონაწილეობდა, თუმცა, ამის შესახებ ხმამაღლა

***რეჟისორ გუგული მგელაძის ფილმის — „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ (სცენარის ავტორი სულიკო ჟღენტი) სათაური რუსულ ენაზე ასე თარგმნეს - „Свет в душах“. ხაზი გაუსვეს იმ ადამიანურ სითბოსა და ურთიერთობას, რითაც სავსეა ეს არაჩვეულებრივი ქართული ფილმი. რომ არა დოდო აბაშიძის პროფესიონალიზმი და მისი პიროვნული სიდიადე, შესაძლოა, ეს კინოსურათი ისეთი არ გამოსულიყო, როგორსაც დღეს ვუყურებთ ეკრანზე.***


დოდო აბაშიძე - „ფესვებიდან“

# «ფესვები» დოდოს არ გაუხმოვანებია!

ზაზა აბაშიძე, *მსახიობ დოდო აბაშიძის ვაჟიშვილი:* - მამაჩემი ამ ფილმში 45 წლის გახლავთ, თამაშობს ახალგაზრდა მამაკაცის როლს, რომელიც ომის შემდეგ ნათელი მომავლის იმედით მშენებლობაზე იწყებს მუშაობას. დიდი სამამულო ომის დროს მამაჩემს ის ასაკი კი ჰქონდა, რომ ომში გაეწვიათ, მაგრამ როგორც ხალხის მტრის შვილს (მამა დახვრეტილი ჰყავდა), ბრძოლაში მონაწილეობა არ მიაღებინეს. ამიტომ მათი ბატალიონი თელავში იდგა. მასთან ერთად იყვნენ ბულატ ოკუჯავა, მხატვარი თემო ყუბანეიშვილი. რა თქმა უნდა, ისინი წინა ხაზზეც რომ გაეშვათ, ტოლს არავის დაუდებდნენ და იბრძოლებდნენ. ამ ფილმში მამაჩემი თამაშობს ომიდან დაბრუნებული ახალგაზრდა მამაკაცის როლს, რომელიც მშენებლობაზე იწყებს მუშაობას, იქ დაუმეგობრდება ბიჭებს, მათ შორის მამაშვილური ურთიერთობა იწყება. ვერ ვიტყვი, მამა თავის თავს თამაშობს-მეთქი, მაგრამ რომ არა ამ გმირთან მსგავსება, ალბათ, ბატონი გუგული არც მიიწვევდა... საერთოდ, მამაჩემი თავის მიერ შესრულებულ როლებს იშვიათად უყურებდა, არც ლაპარაკობდა გადაღების ეპიზოდებზე, ფილმის შეფასებაზე. კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მსახიობი გამოვსულიყავი. მართალია, არც მე მქონია სურვილი, თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა, მაგრამ არც დოდოს უნდოდა ეს. იგი 1990 წელს გარდაიცვალა, მისი ბოლო ფილმი იყო „ფესვები“, რომლის პრემიერასაც ვერ დაესწრო, უკვე ცუდად იყო. იმდენად სუსტად გრძნობდა თავს, რომ გმირი თვითონ არ გაუხმოვანებია. ბატონმა გუგულიმ იპოვა მსახიობი, რომლის ხმაც დოდოს ხმას ჰგავდა.

გრიგოლ წიტაიშვილი, *მსახიობი:* - ამ ფილმში მონაწილეობის მიღება მაინცდამაინც არ მინდოდა. სცენარი კი მომეწონა, მაგრამ რატომღაც უარი ვთქვი. გუგულის დამსახურებაა, რომ არ მომეშვა, მაინც დამითანხმა. დღეს უკვე ძალიან მიყვარს ჩემი გმირი. როცა ტელევიზიით აჩვენებენ, სიამოვნებით ვუყურებ. გუგულისთან ვითამაშე „ცისკრის ზარებშიც“. სინჯები გადამიღეს, სამხატვრო საბჭომ დამამტკიცა, მერე მოხდა ფარული კონფლიქტი, აღარც გუგულის უნდოდა ჩემი გადაღება, მაგრამ ბოლოს მაინც შევთანხმდით. „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ - თბილი, სიკეთით დატვირთული ფილმია. მონაწილეობდნენ არაჩვეულებრივი მსახიობები - დოდო აბაშიძე, თაზო თოლორაია (თაზოსთან ერთად გადაღებული ვარ „ცისკრის ზარებში“), თემურ წიკლაური, რუსიკო კიკნაძე, ლეილა ყიფიანი, ნანა პირველი... ვიღებდით აფხაზეთშიც, ენგურჰესის მშენებლობასთან ახლოს. კარგი დრო იყო. მეც ახალგაზრდა ვიყავი 32 წლის. ახლა 16 წელია, უმუშევარი ვარ. თეატრშიც ვმოღვაწეობდი - ვიყავი გორის თეატრში, რუსთაველისა და კინომსახიობთა თეატრებში. ახლა უმოქმედოდ ვარ, რაც ძალიან მაწუხებს. დიდი სიყვარულით ვიხსენებ იმ დროს, როცა კინოში მიღებდნენ, თუნდაც ამ ფილმის გადაღების პროცესს. არაჩვეულებრივი ჯგუფი იყო, თვითონ ბატო-


თემურ ნიკლაური - ბელაფონტე


თაზო თოლორაია - ბიძინა


გრიგოლ წიტაიშვილი - გერასიმე


რუსუდან კიკნაძე - ტატა

რებში“, „ღიმილის ბიჭებში“. გუგული კარგად იცნობდა მას. საერთოდ, თაზო კულისებში გაიზარდა, თითქმის ყველა მსახიობი თუ რეჟისორი მისთვის ნაცნობი იყო. თაზოს 50-მდე ფილმში აქვს ნათამაშევი, იღებდნენ მოსკოვის სტუდიაში, გერმანიის კინოსტუ-



ნანა პირველი და დოდო აბაშიძე

კადრი ფილმიდან „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“

არ ლაპარაკობდა, კრიტიკულიც იყო. ქებით არც ჩვენ ვანებივრებდით. როდესაც „ჩვენს შუშაბანდში“ ითამაშა, ისეთი აღტაცებული იყო, გვეკითხებოდა, ჩვენი აზრი აინტერესებდა - არავითარი კრიტიკა, შესანიშნავად ითამაშე-მეთქი, ვეუბნებოდი. განსაკუთრებით უყვარდა საზამთროს გამყიდველის, ალის როლი ფილმიდან „კუკარაჩა“. თაზო 55 წლის გარდაიცვალა, დარჩა ორი ქალიშვილი, რუსუდანი და თამარი. თამარს უკვე 2 შვილი ჰყავს. თაზოს დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩვენი ოჯახისათვის.

ლეილა ყიფიანი, *ბიოლოგი:* - ფილმში 21 წლისა ვარ. რამდენიმე როლში უკვე გადაღებული ვიყავი, კინოსტუდიაში მიცნობდნენ. მიმიწვია ბატონმა გუგული მგელაძემაც. სინჯები გადამიღეს. ეტყობა, მოვეწონე. მანამდე ბატონ დოდოს მხოლოდ ეკრანიდან ვიცნობდი, პატივს ვცემდი. გავიცანი ქალბატონი ნანა პირველი, ბატონი გრიშა წიტაიშვილი, თემურ წიკლაური. თაზოს ხომ უკვე ვიცნობდი. გადაღება რთული არ იყო, მითუმეტეს, ჩემი თაობის გოგონას როლს ვთამაშობდი. მიუხედავად იმისა, რომ კინოში გარკვეული როლები მაქვს შესრულებული, ბოლომდე კინომსახიობობა არ ვისურვე. პროფესიით ბიოლოგი ვარ, დიაგნოსტიკური ცენტრის ლაბორატორიაში ვმუშაობ.

ციალა გურგენიძე, *მსახიობი:* - „კუჩხი ბედინერი“ ჩემი სადებიუტო ფილმია. მიმიწვიეს სრულიად შემთხვევით, ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილის ვაჟების წყალობით. მუსკომედიის თეატრის მსახიობი გახლდით, ხშირად ვთამაშობდი კომიკურ როლებს. ბავშვებს უყვარდათ ჩემი პერსონაჟები, ხშირად ესწრებოდნენ სპექტაკლებს. ერთ მშვენიერ დღეს ირაკლის ვაჟებს მასწავლებელმა თემის დაწერა დაავალა - „ვინ არის ჩემი საყ-ვარელი მსახიობი?“ ბავშვებს ცნობილი და სახელოვანი მსახიობები კი არ გახსენებიათ, არამედ ჩემს შესახებ დაუწერიათ - ციალა გურგენიძე მოგვწონს, სულ გვაცინებს, კეთილი და საყვარელი ქალიაო. ჩემით დაინ-ტერესდა მათი მამა - ირაკლი ონოფრიშვილი, შესანიშნავი პროფესიონალი. მოვიდა თეატრში, დაესწრო სპექტაკლს. შემდეგ შემხვდა და მითხრა - გურამ პატარაია ფილმს იღებს, მობრძანდით და სინჯები გადავიღოთო. მივედი. მომცეს სცენარი. მეგრული არ ვიცოდი, არც მეგრელის როლი მითამაშია მანამდე. ტექსტი ჩემებურად წავიკითხე. გადამიღეს თუ არა სინჯი, გურამმა თქვა, რა კარგი ვქენი, ამ როლზე ციალა გურგენიძე რომ მოვიწვიეო. სხვათაშორის, მანამდე სინჯები სხვებსაც ჰქონდათ გადაღებული, ცნობილ მსახიობებს (გვარებს არ დავასახელებ), მაგრამ მე დამამტკიცეს. ოთხი თვე მეგრულს ვსწავლობდი, ბაზარში რომ მივდიოდი, მეგრელებს ვაკვირდებოდი, როგორ ლაპარაკობდნენ. შემდეგ, როდესაც უკვე ეს ფილმი ცნობილი გახდა ყველასთვის, მეუბნებოდნენ - ახალი წელი მოვა, ერთად ვიქნებითო. ერთს ვკითხე, ერთად როგორ ვიქნებით-მეთქი. ამიხსნა: მეგრულ სოფელს ვხედავთ ამ ფილმში, ჩვენს ყოფას, წესებსო. უხაროდათ, ეკრანზე რაღაც მშობლიურს რომ ხედავდნენ.

ამ ფილმში ჩემს გმირს რომ კოსტიუმი აცვია, ჩემი გარდერობიდანაა, ის შალიც, მხრებზე რომ მაქვს შემოხვეული. უკვირთ ხოლმე, ძველ ტანსაცმელს რატომ ინახავო. რა ვქნა, ტანსაცმელს ვერ გადავყრი. თქვენ წარმოიდგინეთ, შენახული მაქვს ის პარიკიც, რომელიც ამ ფილმში მიკეთია. საერთოდ, თეატრშიც ხშირად მეკეთა პარიკი - ხან ძალიან ახალგაზრდას ვთამაშობდი, ხან - ხანდაზმულს. ყველაფერს ჩემი სახსრებით ვყიდულობდი, ჩემი დანაზოგი ფულით.

რაც შეეხება ფილმში მონაწილე მსახიობებს, ჩემი მეუღლის როლი გოვენ ჭეიშვილმა შეასრულა. როდესაც სინჯებზე მიმიყვანეს, ის უკვე დამტკიცებული იყო ამ როლზე. არაჩვეულებრივი პიროვნება, უნიჭიერესი კაცი, უპრეტენზიო, ერთგული. კარგად ცეკვავდა, გარდასახვის დიდი ოსტატია. მიუხედავად მისი ნიჭიერებისა, ვფიქრობ, ქართულმა კინომ გოვენი ვერ გამოიყენა, კინოში პატრონი არ ჰყავდა - უპატრონო ხალხი კი ყოველთვის იჩაგრება.

დიდი სიყვარულით მინდა გავიხსენო ბატონი ვასილ კახნიაშვილი, ნიჭიერი მსახიობი, უპატიოსნესი, კულტურული კაცი. საოცრად მოუხდა ეს როლი. გამოირჩეოდა დარბაისლობით. ჯუნა მიქატაძემ ხომ შესანიშნავი პერსონაჟი შექმნა, რა კარგად მოერგო ამ როლს. ჯერ კიდევ მაშინ, სცენარის კითხვისას, ჯუნა რომ დაიწყებდა ლაპარაკს, სიცილით ვიხოცებოდით. ნიჭიერი კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს. გაწამებული ცხოვრება ჰქონდა - გადაჰყვა შვილის ტრაგედიას, ვერ გაიხარა საწყალმა... „ბროლიამ“ ხომ პირდაპირ დაამშვენა ფილმი. ვერ გეტყვით, ვისი ძაღლი იყო, მხოლოდ ის მახსოვს, რომ გაწვრთნილი, მოვლილი იყო, ნარკოტიკების აღმომჩენი. მოიყვანეს ეს ნაფერებები ძაღლი, ჩვენ კი გამოვეკიდეთ, ცოცხი ვესროლეთ, პარიკი, ფეხსაცმელი *(იცინის)*. ძაღლი ასეთ მოპყრობას არ იყო მიჩვეული. ეს სცენა გადავიღეთ თუ არა, რამდენიმე წუთში პატრონიც მოვიდა, ამოიღო რევოლვერი, კინაღამ დაგვხოცა, გადაირია, ძაღლი როგორ გამილახეთო. იტირა ძაღლმა - კადრში ცრემლები რომ ჩამოსდის, ნამდვილად ტირის. იმ ეპიზოდში, როცა სახლიდან იპარება, მართლა გაიპარა, ისე გავიდა გარეთ, ვერ დავინახეთ. საწყალი, გაოცებული იყო, რა დავაშავე, რატომ გამლახესო...

ფილმში სასიამოვნო გოგონები თამაშობენ. იშვიათად ვხედავ ამ ბავშვებს, მათ სპექტაკლებზე დავდივარ, მაგრამ მერიდება ახლოს მივიდე და შევახსენო - ერთ დროს ჩვენ ერთად ვითამაშეთ-მეთქი. ვიცი, ავღელდები, ამეტირება...

სხვათაშორის, ეს ფილმი სრულმეტრაჟიანი უნდა ყოფილიყო, კომიკური ეპიზოდებით გაჯერებული, მაგრამ მოსკოვიდან ნება არ დაგვრთეს, ამოჭრეს კადრები, რაც ჩვენთვის ნამდვილად სამწუხარო იყო. მახსოვს, ერთ ეპიზოდში თოვლში წინდებისამარა ვიდექი... ბედნიერი ვარ, თუ ჩემი ნამუშევრით მაყურებელს სიამოვნება მივანიჭე. მსახიობი ხომ ამას ემსახურება. მაგრამ ერთი კი არის - ფილმში, ცოტა არ იყოს, რბილი სიდედრი ვარ. ახლანდელ დროში ასეთი არ ვიქნებოდი, უფრო სიმტკიცეს გამოვიჩენდი.

სამწუხაროა, რომ ფილმის გადამღები ჯგუფიდან რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. კარგი ურთიერთობა მაქვს ტექნიკურ რეჟისორთან ლია გოგელიასთან, ამ ფილმის შემდეგ ძალიან მეხმარება. მისი წყალობით მოვხვდი გიორგი შენგელაიას ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“. საერთოდ, მორცხვი ვიყავი, მოკრძალებული. არ დამიჯერებთ და, ამ ფილმის პრეზენტაციაზე ძალით წამიყვანეს. ორმოცი წელი თეატრში ვიყავი, დღეს გამოძევებული ვარ. ახალმა დირექტორმა გამომიშვა. რას ვიზამთ, ხანშიშესული აღარავის უნდა. 200-მდე როლი მაქვს ნათამაშევი თეატრში, კინოში („კუჩხი ბედინერი“, „სიყვარული ყველას უნდა“, „თბილისი ჩემი სახლია“, „ყავა და ლუდი“, „ცხელი ძაღლი“). ქუჩაში მცნობენ, მაჩერებენ, მეკითხებიან - თქვენ ხომ მსახიობი ხართ? ვპასუხობ - ვიყავი!

ბაია დვალიშვილი, *მსახიობი:* - მეათე კლასის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ამ ფილმში გადამიღეს. გურამ პატარაიამ დაურეკა ჩემს მშობლებს და ფილმში მიმიწვია, გადაღება მიმდინარეობდა კუს ტბაზე მდებარე ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში - ის მეგრული ოდა სწორედ იქ დგას. თან ზამთარი იყო, თოვლი. ნაძვის ხეც მოვრთეთ. საახალწლო განწყობა შეგვექმნა. გავიცანი არაჩვეულებრივი პიროვნებები, ნიჭიერი მსახიობები. მე და ბატონი გოვენ ჭეიშვილი „ნეილონის ნაძვის ხეშიც“ ერთად გადაგვიღეს... პაჭუს როლის შემსრულებელი, ბატონი ჯუნა მიქატაძე მამაჩემის მეგობარი იყო, ნიჭითა და იუმორით გამოირჩეოდა. ფილმშიც ასეთია. არაჩვეულებრივად ითამაშეს ქალბატონმა ციალა გურგენიძემ და ვასილ კახნიაშვილმა. ბატონი ვასო გორის თეატრის მსახიობი გახლდათ, დახვეწილი პიროვნება. არ დამავიწყდება მის მიერ შესრულებული როლი ფილმში „ცისფერი მთები, ანუ ტიან-შანი“... ბროლიამ ხომ პირდაპირ დაამშვენა ეს ფილმი. გაწვრთნილი, თვინიერი ძაღლი იყო, ნარკოტიკების მეძებარი კოკერ-სპანიელი.

იმ მსახიობებს, რომლებიც ამ ფილმში მონაწილეობენ და რომლებიც ჩამოაშორეს თავის პროფესიას, ალბათ, დიდი ტკივილი მიაყენეს, მაგრამ, დამერწმუნეთ, უკვალოდ არაფერი ქრება. მათი ღვაწლი ქართულ კინოში აუცილებლად დარჩება.

***ყველას კარგად გვახსოვს გურამ პატარაიას არაჩვეულებრივი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კუჩხი ბედინერი“, კოჩიას ოჯახში ახალი წლის მოლოდინი, „სასურველი“ მეკვლე „ბროლია“, რომელმაც თავის პატრონს უზომო სიხარული და ბედნიერება მოუტანა...***

# იტირა ძაღლმა, კადრში ცრემლები რომ ჩამოსდის, ნამდვილად ტირის




ეზუ - ვასილ კახნიაშვილი






კოჩია და პაჭუ - გოვენ ჭეიშვილი და ჯუნა მიქატაძე


თათული - ბაია დვალიშვილი
ეზუ - ვასილ კახნიაშვილი






პაჭუ - ჯუნა მიქატაძე


ბროლია

იმგზავრეთ ჩვენთან ერთად
PANORAMA TRAVEL

ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელია: Georgian Airways

ორი გზა: ნიუ-იორკი-თბილისი 400 $-დან + Tax



MANHATTAN
156 Fifth Avenue, Suite 934, New York, NY 10010, USA
(212) 741-0033

ვსაუბრობთ ქართულად

BROOKLYN
1035 Brighton Beach Ave. Office #2, Brooklyn, N Y 11235, USA
(718) 615-0088

www.panoramatravel.com



მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლოესი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ექიმ მერაბ ბოთერის
VEIN & LASER CENTER




ექიმი მერაბ ბოთერი - ქირურგი, 35 წლიანი მუშაობის გამოცდილებით ყოფილ საბჭოთა კავშირსა და და აშშ-ში. ქირურგიის ამერიკული საბჭოს დიპლომირებული. აგრეთვე ატარებს თიაქარის, ბუასილის, სწორი ნაწლავის დაავადებების და კანის წარმონაქმნების ოპერაციებს.

მსხვილი ვარიკოზული ვენების ლაზერულ ცენტრში ვიყენებთ ყველაზე ეფექტურ, უახლეს მსოფლიო კლასის ტექნოლოგიას და მკურნალობის მეთოდებს, ვატარებთ კომპლექსურ მკურნალობას უკანასკნელი თაობის ლაზერის საშუალებით.

- მიკროქირურგია ულტრაბგერის გამოყენებით;
- თანამედროვე სკლეროთერაპია.
- პროცედურის ხანგრძლივობა – 30-90 წუთი
- პროცედურის დროს შემოგთავაზებთ კინოფილმების ნახვას

პროცედურის შემდეგ შეიძლება სახლში ან სამსახურში წასვლა.

*მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობა საჭიროა დროულად, ვიდრე არ წარმოიქმნა:*

ყავისფერი ლაქები კანზე; ფეხის კანის გამსხვილება და შემჭიდროება; სისხლდენა დაზიანებული ვენებიდან; წყლულები;

660 92nd Street, Bay Ridge, Brooklyn, NY 11228
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
102-51 Queens Blvd, Forest Hills, Queens, NY 11375
(კონსულტაცია და გამოკვლევა); 1-718-238-1555

ვსაუბრობთ ქართულად!

იმკურნალეთ, ვიდრე არ გახდა განუკურნავი!

წვრილ ვარიკოზულ კაპილარებს „ქსელებს" წარმატებით განვკურნავთ ლაზერით და სკლეროტირებით. მსხვილი და წვრილი ვარიკოზული ვენების ამ მეთოდით მკურნალობას ანაზღაურებს უმეტესი სადაზღვევო კომპანია.



GIFTS.GE

საჩუქრების ინტერნეტ-მაღაზია

კომპანია NovaCom წარმოგიდგენთ საჩუქრების ინტერნეტ მაღაზიას Gifts.ge

გსურთ გაახაროთ თქვენთვის ძვირფასი ადამიანები, რომლებიც ამჟამად თქვენგან შორს, საქართველოში იმყოფებიან? ამისთვის საჭიროა ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს www.gifts.ge, სადაც მაღალხარისხიანი პროდუქციის ფართო არჩევანია წარმოდგენილი: ყვავილები, სუვენირები, სასმელები, ნამცხვრები, ტკბილეული, წიგნები, საათები, კომპიუტერები, აუდიო-ვიდეო და კიდევ უამრავი სხვა პროდუქტი. სასურველი საჩუქრის შერჩევის შემდეგ, მიუთითეთ საჩუქრის მიმღების მისამართი, ხოლო კურიერი დათქმულ დროსა და ადგილას მოახდენს გზავნილის მიწოდებას.

ასევე გთავაზობთ უნიკალურ სერვისს „შეინახე ემოცია", რომელიც სასიამოვნო აღმოჩენა იქნება საზღვარგარეთ მყოფი ქართველებისთვის. სურვილის შემთხვევაში პროფესიონალი ფოტოგრაფი, ფოტო ან ვიდეო ფირზე დააფიქსირებს ადრესატის ემოციებს საჩუქრის გადაცემის პროცესში, ხოლო გადაღებული მასალა უმოკლეს დროში გადმოიგზავნება თქვენთან ელ.ფოსტის საშუალებით. თქვენ ჩუქნით საჩუქარს - ჩვენ ვაფიქსირებთ ემოციას.




გაზეთ „მამულის" მკითხველებისათვის 10% ფასდაკლებაა. ნებისმიერი მომსახურების შეკვეთისას სპეციალურ ფასდაკლების გრაფაში მიუთითეთ სიტყვა-კოდი: mamuli

WESTERN UNION VISA MasterCard



გიწვევთ უფასო განათლების მისაღებად (პირობების გათვალისწინებით)

- ✓ სამედიცინო კურსები -
- ✓ ინგლისური ენის შესწავლა - Business English;
- ✓ ოფისის ადმინისტრაცია - Office Admin/mos;
- ✓ ბროკერი ფინანსისტი - Financial Licenses (series 7/63/66);
- ✓ ბიზნეს ბუღალტერია - Business Accounting;
- ✓ სამედიცინო ბილინგი - Medical Billing;
- ✓ ყველა სახის კომპიუტერული სწავლება.

დაგეხმარებით სამსახურის მოძებნაში (PCA, HHA)

EAI Consulting & Training

დაგვიკავშირდით:
212-268-8909 Ext 109, Dr. MAIA

Empire state Bldg, Suite 1701
350 5th ave, NY, NY 10118



ექიმი ბორის პიკმანი 20-წლიანი სამედიცინო გამოცდილებით სიხარულით ამცნობს საზოგადოებას ახალი კბილის კლინიკის გახსნას

205 Avenue U
Brooklyn, NY 11223

DENTAL OFFICE



- საფერის კოსმეტიკა;
- კბილის ბჟენი;
- გვირგვინები, ხიდები, პროთეზები;
- ღრძილის მკურნალობა;
- გათეთრება

* ვღებულობთ დაზღვევას
** ვმკურნალობთ ბავშვებსაც

წინასწარი ჩაწერა:
718-449-2607

საღამოს საათებშიც და შაბათ-კვირას



ცნობილი «საიას» მაღაზია
Discount Store Plus

2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn



სატელეფონო ბარათები ფასდაკლებით

T-Mobile cingular WESTERN UNION GIROSOL






☐ მონიშნეთ




☐ მონიშნეთ

თითოეული DVD-ის ღირებულებაა 20$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი DVD-ის უჯრედი, ფურცელზე მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი, მისამართი, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

**Gela SACHALELI**
3405 Kings Hwy, Apt 3C
Brooklyn, NY 11234






MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

შემოწირულობა „მამულის" არსებობისთვის

☐ სურვილი მაქვს გაზეთ „მამულის" არსებობისათვის გავიღო ——— დოლარი.

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

უახლოეს ხანში შეიქმნება „მამულის" საგამომცემლო საბჭო 10-კაციანი შემადგენლობით, რომელთა საწევრო გადასახადით გამოვა გაზეთის თითოეული ნომერი. მსურველებმა დაუკავშირდით საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგ ნომერზე: 908-910-3639



ტურისტული აგენტი
მაია ნინოშვილი

ავიაბილეთები საქართველომდე და მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214




გია ბოჭორიშვილი

## ემიგრანტის ახალი რვეულიდან

**დედულეთის ნოსტალგია**

საირმის თუ ნაქერალას უღელტეხილს აივლი,
ბუხრის კვამლში გახვეული გამოჩნდება ოდები,
მოგონების ბევრი ფიქრი უცებ თავში დაგივლის,
რომ მშვენიერ დედულეთს რაჭას ვუახლოვდები.
შენს სალოცავებს: ნიკორწმინდას, ხოტევს, ბარაკონს,
დიდებულია, რა შეედრება ქვეყნად ნეტავი?
ვხედავ წინაპრის ამ ქმნილებებს დიად ნახელავს,
შფოთავს, კანკალებს, მიკრთის გული გაუბედავი.
ლამაზ კალთებზე მოჩხრიალებს მედგრად რიონი,
მნახველს თვალსა სჭრის შენი ლაღი, ნაზი ბუნება,
შთამომავლობის ნაკეთები დიადი საქმით,
არ ღირსებოდეს წინაპრის ძვლებს გადაბრუნება.
აქ არე-მარე მე ოდესღაც ფეხით მივლია,
ჩემი ბავშვობის ლამაზი წლების არ მოგონება.
ირგვლივ სუყველა გორა-ფერდობი გადამივლია,
ამ ყოველივეს ვიხსენებ და მიმძიმს გონება.
არ დაელიოს სამუდამოდ შენს მთას და ტყეებს,
დათვი, არჩვი, თუ მონარნარე სოკო მანჭკვალა,
არ მოჰკლებოდეს დღენიადაგ მადლიან სუფრას,
ვაზის ნაჟური, ეს ღვთიური ღვინო ხვანჭკარა.
საირმის თუ ნაქერალას უღელტეხილს ჩაივლი,
ბუხრის კვამლში გახვეული აღარ სჩანან ოდები,
გულში სევდა, ხოლო ტანში ჟრუანტელი დაგივლის,
რომ მშვენიერ დედულეთს რაჭას უკვე შორდები!!

**ქართული სუფრა**

საოცრებაა ქართული სუფრა,
ჩვენ უფლის მადლი გადაგვდებია,
ის არის ერის ნამდვილი სახე,
თანაც სწავლების აკადემია.
არვის ეგონოს სუფრის გაძღოლა,
იყოს ადვილი, თუნდაც მარტივი,
თამადობა ხომ რჩეულთ ხვედრია,
დიდი გამოცდა, დიდი პატივი.
სადღეგრძელოში გადმოსჩქეფს სიბრძნე,
ასეთი არის აქ განაწესი,
რაც უნდა ბოლმა კაცს გულში ჰქონდეს,
არ გაწყენინებს, არ არის წესი.
თუ მოადუნე შენ ყურადღება,
გაგინაწყენდა ამით თამადა,
სასჯელად დიდ ყანწს მოგაწოდებენ.
ხვდები რომ შენთვის მეხი გავარდა.
პურ-მარილს გემო არნახული აქვს,
ღვინოს შემოაქვს სულში ხალისი,
მერიქიფენი თავს დაგსტრიალებს,
ნაზად გიღიმის დიასახლისი.
გული გიტოკავს, როდესაც გესმის,
ლაღად გუგუნი ტკბილი ჰანგების,
აზრთა ჭიდილი, წარმოთქმა ლექსის,
შენ მადლობელი ხდები განგების.
მადლიანია ქართული სუფრა,
სხვისი ელფერი არა რგებია,
ზრდილი, ურყევი, ალალი, სუფთა,
ერის დიდების აკადემია!!!

**სვეტიცხოველთან**

აქ სილაღეში მტკვარი-არაგვი ერთმანეთს ბაძავს,
ამათ შემყურე გაგიელვებს ფიქრი რამდენი,
მე ბოროტების მუდმივობის არასდროს არ მწამს,
მხოლოდ კაცია დღეს ამ ქვეყნად მისი ჩამდენი.
დგეხარ, შესცქერი სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს,
ქართველი კაცის ნიჭს და გონებას ლოცავს გამჩენი,
დასანანია, ამ ქმნილების ავტორს რომ ნაღდად:
შურმა, ღვარძლმა, უგუნურებამ მოსჭრა მარჯვენი!

**ჩემი სიამაყე**

მე ვამაყობ თქვენით,
თქვენით! განა სხვისით?
ჩემი მეგობრებითა და
ჩემი ქუთაისით!
ან რა დამავიწყებს,
ბაღის კიდეს, რიონს,
რომელიც ალხენდა,
თვით დიდ გალაქტიონს.
საფიჩხიის კალთებს,
ბაღში ავდარს, სიოს,
ბალახვანს და გორას,
თან უქიმერიონს.
მე ვამაყობ თქვენით,
თქვენით! განა სხვისით?
ჩემი ბავშვობითა და
ჩემი ქუთაისით!
მუდამ შენს წალკოტში,
ვარდი გიხარისო,
შენი იუმორით,
ხალხმა იხალისოს.
შენთან დაშორებით,
გული უკმარისობს,
ქვეყნის დედოფალო,
ჩემო ქუთაისო.
მე ვამაყობ თქვენით,
თქვენით! განა სხვისით?
ჩემი წინაპრებითა და
ჩემი ქუთაისით!
მადლი მასპინძლობის,
რომ არ დაგელიოს,
შენზე სადღეგრძელო,
ყანწით დაგველიოს.
მარად ოცნებები,
გულს ვერ დაეტიოს,
მინდა სიყვარულის,
რომ ქარებმა გდიოს.
მე ვამაყობ თქვენით,
თქვენით! განა სხვისით?
ჩემი მოგონებებით და
ჩემი ქუთაისით!!!

* * *

საოცარია რომ გაზაფხული,
შემოპარულა ჩუმად დამდგარა,
ფიქრებში ვიყავ გადაკარგული,
ყინვა გადნა და მიწაც გამთბარა.
ბაღში ყვავილობს ატამი, ნუში,
და მორაკრაკებს წყარო ანკარა,
სითბო, ალერსი შემოდის გულში,
ზამბახი, იაც უკვე ამდგარა.
ლაღად ბიბინებს მთა და მდელონი,
არ დარჩენილან ნადირთ ამარა,
ყვავილს პეპლები დასტრიალებენ,
ჩიტებს შეუკრავს ცაში კამარა.
მიძინებული რომ იყო გუშინ,
ფუტკრის ოჯახიც ფეხზე დამდგარა.
ვაზის მწკრივში თუ ყანების ხნულში,
დილაააადრიან გლეხი ჩამდგარა.
მე ნეტარება ვიგრძენი სულში,
ბოროტება ხომ გვერდზე გამდგარა,
მამულო! მომკლა შენს სიყვარულში,
ვხედავ, სიზმარი ცხადად ამხდარა.

**გელათს**

ჟამთასვლის ბევრი ჭირი-ვარამი,
გამოგივლია თუმცაღა ძნელად,
დიდი დავითის ნამოღვაწარით,
სულიერების დღეს დგეხარ მცველად.
შენს ლამაზ კალთებს რომ არ ვემთხვიო,
ნათელი მექცეს იმავ წამს ბნელად,
მე ვერ აგიხსნით რა მემართება,
როცა შევსცქერი ჩემს ლამაზ გელათს!

ირაკლი აბაშიძე

## პირველი თოვლი

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

დგას ბუცები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს, თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია,
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც, უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!

ქალბატონ
**ზაირა გოგიაშვილს**



გაზაფხულის შემობრძანებას და დაბადების დღეს გილოცავთ ძვირფასო ქალბატონო... დაგლოცავთ და თქვენთან ერთად ჩვენსავე თავსაც დავლოცავთ: ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა ერთგული მკითხველები და ქართველები.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ გაზეთ „მამულის" ყოველი ნომრის გამოსვლა თქვენთვის პატარა დღესასწაულია, მაშინვე გიხარიათ, და ნომრის გამოსვლიდან გამოსვლამდე ივსებით სულიერი საზრდოთი...

დიდხანს ვიფიქრეთ, რა გაგახარებდათ ყველაზე მეტად, ვიპოვეთ კიდეც: ქართული ლექსი, მართლა ქართული... ამაზე კარგი საჩუქარი არ გვეგულება მთელს დუნიაზე!

პატივისცემითა
და მოწიწებით:
**გაზეთ „მამულის" რედაქცია**


გიწვევთ
სამსტრადო და კლასიკური მუსიკის
საღამოზე
მონაწილეობენ: ვაჟა აზარაშვილი, ნუკრი კაპანაძე,
თემურ გუგუშვილი, პოეტი მანანა დანგაძე,
ვაჟა აზარაშვილის ახალგაზრდული ტრიო,
კონცერტმაისტერი ნათია აზარაშვილი,
კონცერტის შემდეგ დისკოთეკას წაუძღვება ვადიმ როსტინჯაიერი

6 მაისს, საღამოს 6 საათზე
რესტორან "ატლანტიკ ოუშენაში"
(მილენიუმის პირველ სართულზე)
www.russianny.com

ბილეთები იყიდება
მილენიუმის სალაროებში.
დარეკეთ: 718-844-7644;
718-975-7373 ბილ.ფასი 40$-დან
(ბანკეტით) 100$-მდე





ასავალ დასავალის პარტნიორობით
რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე
მამული
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE



MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770